საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰეიდარ
ალიევის
ფონდი

ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

23 სექტემბერი პარასკევი 2011
№ 224 (13521) ფასი 80 თეთრი

თბილისის ლიგამუსმა გამარჯვებით დაიწყო



11

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ევროპაში მწვრთნელებს ცვლიან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინტერი რანიერის ჩააბარებს

6

7

რალფ რანგნიკი გადაინვა და წავიდა

5

პრიმეერაში უდანაკარგოდ ბეგისი დარჩა

გესიკ ჯანგავაძე
მასტერტონიდან

lariwin.com
the better way to play
მეტი, ვიდრე თამაში

რეპორტაჟების სპონსორია ონლაინ კაზინო „ლარივინი“

როუმინგულ კავშირს უზრუნველყოფს GOODLINE

ბორჯღალოსნების მხარდამჭერი ალლუმი ახალ ზელანდიაში

9

ნაწილს გაუმართლა, დანარჩენები ბევრს იბრძოლებენ

საქართველოს თასის მერვედფინალის წილისყრა

2

ქართული ფეხბურთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● საქართველოს თასი. მერვედფინალის წილისყრა

ნაწილს გაუმართლა, დანარჩენები ბევრს იბრძოლებენ



წილისყრის პროცედურას ნოდარ კაკულია (მარჯვნივ) უძღვებოდა

მარცხნიდან: მურთაზ ხურცილავა, დავით თავართქილაძე, მიხეილ აფხაზავა, ჯემალ ჭიპაშვილი

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საშეჯიბრო განყოფილებაში საქართველოს თასის გათამაშების მერვედფინალური ეტაპის წილისყრა მოეწყო.

პროცედურას, ტრადიციულად, საშეჯიბრო განყოფილების ხელმძღვანელი **ნოდარ კაკულია** უძღვებოდა, რომელმაც დასაწყისში დამსწრეებს თასის გათამაშების დებულების მნიშვნელოვანი პუნქტები და განთესვის წესები შეახსენა.

წილისყრა გუშინდელი დღისთვის იმიტომ დაინიშნა, რომ გუშინწინდელი გადადებული მატჩების ჩატარების შემდეგ ყველა უმაღლესლიგელს შეხვედრათა თანაბარი რაოდენობა დგროვებოდა. ეს კი იმისთვის იყო საჭირო, რომ განთესილი რვა გუნდი ობიექტურ ვითარებაში გამოვლენილიყო. შეგახსენებთ, პრივილეგირებულ მდგომარეობაში აღმოჩდნენ ის კლუბები, რომლებსაც წილისყრის დღისთვის უმაღლეს ლიგაში ზედა რვა ადგილი ეკავათ.

პროცედურის დაწყებამდე კლუბების წარმომადგენლები ნოდარ კაკულიას იმაზეც დათანხმდნენ, რომ საჭიროების შემთხვევაში, ფოთის "კოლხეთისთვის" მატჩების ჩატარების თანმიმდევრობა გაეცვალათ. როგორც იცით, ამჟამად "კოლხეთი" საშინაო შეხვედრებს ზუგდიდში, "ბაიას" სტადიონზე ატარებს და ბუნებრივია, ორივე კლუბი ერთსა და იმავე დღეს ერთსა და იმავე არენაზე ვერ ითამაშებს.

წილისყრის შედეგები კი ნამდვილად საინტერესოა:

ტორპედო-გათუმი
ჭიათურა-ვიტ ჯორჯია
დინამო-დილა
ზესტაფონი-კოლხეთი
ბაია-სიონი
ჩიხურა-მეტალურგი
მერანი-სპარტაკი
სულორი-გაგრა

პირველი შეხვედრები პირველად დასახელებული გუნდების მოედნებზე 28 სექტემბერს, 16 საათზე დაიწყება, განმეორებითები კი – 2 ნოემბერს, 15 საათზე.

თავად შეგიძლიათ იმსჯელოთ, რომელ წყვილებშია მოსალოდნელი შეუპოვარი ბრძოლა და სად შეიძლება გამოვლინდეს მეოთხედფინალისტი პირველივე დაპირისპირებაში.

ჩვენი აზრით კი, სხვებზე მეტად გამოსარჩევი ოთხი წყვილია: "დინამო"-"დილა", "ზესტაფონი"-"კოლხეთი", "ჩიხურა"-"მეტალურგი" და "ტორპედო"-"ბათუმი". "დინამოსა" და "დილას" დაპირისპირება ცალკე ისტორიაა და ჩემპიონატსა თუ თასზე ამ გუნდებს შორის არაერთი ხმაურიანი და სანახაობრივი მატჩი გამართულა; "დილასთან" ორი დღისწინანდელი საშინაო 0:4-ის მერე, ძალიან გაგვიჭირდება, "ზესტაფონი" "კოლხეთთან" ბრძოლაში უპირობო ფავორიტად რომ მოვიხსენიოთ; "მეტალურგს" პირველი ლიგის ერთ-ერთ გამორჩეულ კლუბთან მოუწევს დაპირისპირება, რომელთანაც თასის მერვედფინალში მარცხი შარშანწინ იწვნია; ქუთაისურ-ბათუმური ბრძოლაც ყოველთვის საინტერესო იყო და "ტორპედოს" პირველი ლიგის ერთ-ერთ ფავორიტთან იოლი გასეირნება ნამდვილად არ ელის.

თავისი წყვილის ფავორიტად შეგვიძლია მივიჩნიოთ "ბაია" და "მერანი", მაგრამ მეოთხედფინალში გასვლის არცთუ უსაფუძვლო ამბიცია "სიონსა" და "სპარტაკსაც" აქვთ.

წილისყრაში კი ყველაზე მეტად თასის მფლობელ "გაგრასა" და "ვიტ ჯორჯიას" გაუმართლათ, რომელთა მოწინააღმდეგეებიც პირველ ლიგაშიც კი არ არიან დიდად გამორჩეულნი. ეს განსაკუთრებით "სულორზე" ითქმის, რომელსაც საწყისი ხუთი ტურის შემდეგ ერთადერთი ქულა აქვს.

წილისყრის დასრულების შემდეგ კომენტარი კლუბების წარმომადგენლებს ვთხოვეთ.

მიხეილ აფხაზავა ("გაგრას" საზოგადოებასთან ურთიერთობისა და იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი): *"რასაკვირველია, პირველი ლიგის გუნდთან თამაში გვერჩივნა. წილისყრის შედეგებით, ბუნებრივია, კმაყოფილი ვართ, თუმცა "სულორს" არ ვიცნობთ, რადგან როცა ჩვენ პირველ ლიგაში ვასპარეზობდით, ვანელები რეგიონულში გამოდიოდნენ".*

ჯემალ ჭიპაშვილი ("სიონის" გენერალური მენეჯერი): *"ბაია" დღეს აღმავლობის გზაზეა და მასთან ბრძოლა ნამდვილად არ იქნება იოლი. თუმცა "სიონს" შესწევს იმის ძალა, რომ მას ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიოს და მეოთხედფინალისთვის ბოლომდე იბრძოლოს".*

დავით თავართქილაძე ("ვიტ ჯორჯიას" სპორტული დირექტორი და მედიაოფიცერი): *"უკმაყოფილოები ნამდვილად არ ვართ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თავი ქუდში გვაქვს. ნებისმიერი მეტოქე სათანადოდ უნდა დააფასო, თორემ დაისჯები. ბრძოლა კი პირველლიგელსაც შეუძლია".*

დავით ყენია ("ტორპედოს" სელექციონერი): *"ჩვენ თასისთვის ვიბრძვით და ამიტომაც ნებისმიერ მეტოქესთან საბრძოლველად მზად ვართ. "ბათუმი" მაღალი დონის გუნდია, პირველ ლიგაშიც გამორჩეულია და არც "ტორპედოსთან" დაპირისპირებაში იქნება უშანსოდ. საინტერესო მატჩების მოლოდინში ვართ".*

● U17

ვასილ მაისურაძე

მოლდოვას კარგი სტატისტიკით ვხვდებით

დღეს საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის პირველი შესარჩევი რაუნდის მეორე მატჩს ჩაატარებს და გამარჯვების შემთხვევაში, სავარაუდოდ, ელიტრაუნდის საგზურსაც დაიბევებს. **ვასილ მაისურაძის** გუნდი დღეს მასპინძელ მოლდოვას ხვდება, რომელიც პირველ ტურში შვედეთთან 0:3 განადგურდა, ჩვენებმა კი, შეგახსენებთ, ბულგარეთს 3:2 სძლიეს.

ბულგარელებს გოლების გარდა, სხვა სტატისტიკური მაჩვენებლებითაც ვაჯობეთ. კარის ჩარჩოში ქართველებმა 6-ჯერ დაარტყეს, ბულგარელებმა 5-ჯერ; კარის მიმართულებით ჩვენ 7-ჯერ, იმათ – 5-ჯერ; ჩვენ 3 კუთხური ჩავაწიდეთ, მათ – 2; ჯარიმების რაოდენობა თანაბარია – 13, გაფრთხილება კი ქართველებმა 3 მიიღეს, ბულგარელებმა – 2.

შეგახსენებთ, ბულგარეთს გოლები **ნიკა ახვლედიანმა, ჭიაბერ ჭეჭელაშვილმა** და **ნიკა ახვლედიანმა** გაუტანეს, ერთი საგოლე პასია გუნდის კაპიტნის, **გიორგი აბურჯანიას** ანგარიშზე; ქართველთაგან ყველაზე მეტჯერ, 4-ჯერ ჭეჭელაშვილი დაჯარიმდა, ორჯერ კი **პაპუნაშვილის** წინააღმდეგ დაჯარიმდნენ.

● გაგრა

ლაზარეთი უკვე სოლიდურია

ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელების დაშავებამ ნებისმიერი გუნდისთვის მძიმე მოვლენაა, განსაკუთრებით კი იმ კლუბისთვის, რომელსაც გრძელი სათადარიგოთა სკამი არ აქვს. ასეთთა კატეგორიას უთუოდ მიეკუთვნება "გაგრა", რომელსაც ტრავმირებულები უკვე მრავლად ჰყავს.

ნიგერიელი **ოვონიკოოს** დაშავება საქართველოს თასის მფლობელთათვის ყველაზე მძიმე დარტყმა იყო, მაგრამ "გაგრა" მის გარეშე თამაშს, ასე თუ ისე, უკვე შეეგუა, ბოლოდროინდელი ტრავმები კი გუნდის შედეგებზე აშკარად აისახა.

"გაგრამ" დაახლოებით ორი კვირით დაკარგა **ლევან შარიქაძე** და **ზვიად ჩხეტიანი,** გაცილებით უარესი კი ძირითადი შემადგენლობის კიდევ ერთი მუდმივი წევრის, **ირაკლი ხუციძის** მდგომარეობაა. მან "სპარტაკთან" მატჩში კოჭის მყესი გაიწყვიტა და "გაგრას" წელს ვეღარ დაეხმარება. მართალია, ხუციძე უარეს დაზიანებას გადაურჩა და არც ოპერაცია დასჭირდა, მაგრამ ზამთრამდე ვარჯიშის გაგრძელებით საკუთარ ჯანმრთელობას დიდი რისკის ქვეშ დააყენებდა.

"გაგრა" ფონს გასვლას ამჟამინდელი კადრებით აპირებს, უახლოესი მომავლისთვის შემადგენლობის გაძლიერება ნავარაუდევი არ არის.

გვერდი მოამზადა
ლევან ჯანეზაშვილმა

ირაკლი ხუციძე (მარცხნივ) — გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:20

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გეჟდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

● ინფრასტრუქტურა

საბურთალო სტადიონი ააშენა

მალე თბილისში კიდევ ერთ მცირე ზომის მოედანს აიღებენ – "ირაო" იხურება, მის ადგილზე სხვა შენობა წამოიჭიმება და თბილისში მოედნების კიდევ უფრო მწვავე პრობლემა შეიქმნება.

ამ ვაკუუმის შევსებას საფეხბურთო სკოლა "საბურთალო" ცდილობს, რომელიც ოქტომბერში სამედიცინო უნივერსიტეტის სტადიონის განახლებას დაასრულებს.

"სამედიცინო უნივერსიტეტის სტადიონზე ბოლო თაობის ჰოლანდიური ხელოვნური საფარი დავაგეთ, რომელიც უეფას მოთხოვნებს სრულიად აკმაყოფილებს. მალე დასრულდება გასახდელების, სამსაჯო და სხვა დამხმარე ოთახებისა და კიდევ ერთი, მცირე ზომის მოედნის მშენებლობა.

სტადიონის განახლება ორ ეტაპად დავგეგმეთ, მთავარი იყო მაღალი ხარისხის საფარი დაგვეგო. ამიტომაც არ შეგვიძენია იაფფასიანი ხალიჩა, ჰოლანდიიდან ჩამოვიტანეთ. ახლა ველოდებით უეფას ექსპერტებს, რომლებიც გაწეულ სამუშაოს შეაფასებენ და შესაბამის ვარსკვლავს მიანიჭებენ.

მანამდე კი 500 ლუქსამდე სიმძლავრის განათების სისტემას დავამონტაჟებთ, რომელიც სათამაშოდ სავსებით საკმარისი იქნება. შეკვეთილია ბოლო მოდელის 10 პროჟექტორი, მის დასამონტაჟებელ კონსტრუქციებს კი 31-ე ქარხანაში აწყობენ.

სტადიონი 15 ოქტომბრამდე გაიხსნება და ვფიქრობ, იმ სტანდარტებს დააკმაყოფილებს, რომ უმაღლესი ლიგის გუნდებმა და ასაკობრივმა ნაკრებებმაც ითამაშონ. ამის შემდეგ საფეხბურთო სკოლა "საბურთალოს" ჯგუფები ორგან ამოქმედდება: იოსებიძის ქუჩაზე მდებარე ძველ მოედნებზე პატარა ასაკის ბავშვები ივარჯიშებენ, სამედიცინოს განახლებულ მოედნებზე კი - უფროსი ასაკის. ამ უკანასკნელთათვის დიდ მოედნებზე ვარჯიში აუცილებელია.

მეორე ეტაპზე ვფიქრობთ 1000 მაყურებელზე გათვლილი ტრიბუნის, პრეს და ვიპ ლოუების, კაფეების და საკონფერენციო დარბაზის მოწყობას, სტადიონის ტერიტორიაზე გვექნება პარკირების ადგილიც.

საბოლოოდ, გვსურს, რომ 2013 წლამდე "საბურთალოს" ინფრასტრუქტურამ ყველაზე მკაცრი მოთხოვნები დააკმაყოფილოს და სრული ინფრასტრუქტურა ჩამოვაყალიბოთ, ერთი სტანდარტული და ბუნებრივსაფრიანი სტადიონითა და ექვსი პატარა მოედნით. სრულყოფილი ბაზის მოწყობასაც ვგეგმავთ. ორი ვარიანტია: შეიძლება რომელიმე ბაზა იჯარით ავიღოთ და მოვაწესრიგოთ, ან მინა შევისყიდოთ და ბაზის მშენებლობა ნულიდან დავიწყოთ, რადგან "საბურთალოს" სკოლაზე დიდი მოთხოვნაა.

ამ ყველაფერს იმიტომ მოვკიდეთ ხელი, რომ ჩვენი ამოცანა ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებებისთვის ფეხბურთელების აღზრდაა. რეალურად უნდა ჩამოყალიბდეს ისეთი ძლიერი აკადემია, სადაც სიარული პრესტიჟული და სასურველი გახდება," – გვითხრა "საბურთალოს" მეპატრონემ, "იბერია ბიზნესჯგუფის" დამფუძნებელმა **ტარიელ ხეჩიკაშვილმა**.

აქვე გეტყვით, რომ "საბურთალოს" სკოლაში ახლახან დაიწყეს მუშაობა ვეტერანმა ფეხბურთელმა **დავით სოლოლაშვილმა** და "დინამო 2"-ის ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა **დავით კვლიშვილმა**.

მერაბ მამულაშვილი

● ახალგაზრდული

მირცხულავა ბენფიკადან სამშობლოში

ქუთაისის „ტორპედომ", არცთუ დიდი ხნის წინ, მორიგი შენაძენი გააკეთა და თავის რიგებში **ბაქარ მირცხულავა** ჩარიცხა, რომელიც სამი წლის განმავლობაში პორტუგალიური „ბენფიკას" დუბლებში ასპარეზობდა. ახალგაზრდა ფეხბურთელს საქართველოს 16, 17, 19 და 21-წლამდელთა ნაკრებებშიც ხშირად იწვევდნენ.

თავდაპირველად არაერთხელ გაჟღერდა ინფორმაცია, რომ მირცხულავა "ტორპედოში" ჩარიცხვისგან თავს იკავებდა, რადგან მას ხელფასად 200 ლარი შესთავაზეს; რამდენად შეესაბამება ეს ინფორმაცია სიმართლეს, ამის გასაგებად „ლელო" ბაქარ მირცხულავასა და "ტორპედოს" გუნდის უფროსს **ბესო აბაშიძეს** ესაუბრა.

„ნამდვილად არ შეგვითავაზებია ფეხბურთელისთვის 200 ლარი ხელფასად, ეს იყო გზის ხარჯის დაფარვის თანხა; ვინაიდან ბაქარი მაისის შემდეგ უგუნდოდაა, შევთავაზეთ, დუბლებში აღედგინა ფორმა და ტრანსპორტირების ხარჯებს დაუფარავდა კლუბი, როგორ გაიგო ეს, ნამდვილად არ ვიცი", - განაცხადა ბესო აბაშიძემ „ლელოსთან" საუბრისას.

ბაქარ მირცხულავას სანაცვლოდ ქუთაისელებს პორტუგალიური მხარისთვის კომპენსაცია (90 ათასი ევროს ოდენობით) არ გადაუხდიათ. როგორც აბაშიძე ამბობს, უეფას რეგულაციები ამის თაობაზე კარგად გამოიყენეს და თუკი „ბენფიკა" ამ თანხას მოითხოვს, 1 თეთრსაც ვერ მიიღებს.

„ფიფას რეგულაციების მიხედვით, ის კლუბი, რომელმაც გაუშვა ფეხბურთელი და არ შესთავაზა სხვა კონტრაქტი, ვერ მოითხოვს ტრენინგკომპენსაციას. მეორე, რის გაკეთებასაც ვგეგმავდით, იყო ის, რომ მირცხულავა წყალტუბოს გუნდში უნდა დაგვერეგისტრირებინა, რომელიც უეფას წესების თანახმად, მეოთხე კატეგორიის გუნდია. მეოთხე კატეგორიის გუნდი კი, მის ზემოთ მყოფ გუნდს ამ თანხას არ უხდის. ჩვენი უმაღლესი ლიგა, ამ რეგულაციით, მესამე კატეგორიაში შედის, „ბენფიკა" კი - პირველშია. ფედერაციამ ამაზე თანხმობა არ მოგვცა, ამიტომ პირდაპირ გავაფორმეთ ფეხბურთელთან კონტრაქტი. როდესაც კლუბს მიჰყავს ფეხბურთელი, მას მიჰყვება სათამაშო ისტორია, თუკი რამეა გადასახდელი, ერთი თვის ვადაში უნდა გადაირიცხოს, როდესაც ეს არ ხდება, მიდის უკვე დავა, ამ შემთხვევაში, თუკი „ბენფიკა" ჩვენგან თანხას მოითხოვს, ვერაფერს მიიღებს".


ბაქარ მირცხულავა

თავად ფეხბურთელს ამ დეტალებზე საუბარი არ სურს. როგორც მირცხულავა ამბობს, მისი საქმე ვარჯიში, თამაში და ფორმაში ყოფნაა. კითხვაზე, თუ რატომ დაბრუნდა საქართველოში, როდესაც მისი ასაკის ფეხბურთელებს თვალი ევროპაზე უჭირავთ, ჰასუსობს, რომ ის იმ ასაკში არ არის, რომ მომავალში ვერ მოასწროს ეს.

„კონტრაქტი „ბენფიკასთან" 30 ივნისს დამისრულდა. 7 მაისს მქონდა ჩემპიონატის ბოლო ტური და წამოვედი გუნდიდან. შემეძლო დარჩენა, მპირდებოდნენ, რომ სხვა ქვეყანაში უკეთესი პირობები მექნებოდა, იყო რამდენიმე ვარიანტი, მაგრამ არც ერთი გამოვიდა. არ ვაპირებდი დაბრუნებას აქ, მაგრამ ისე მოხდა, რომ ჩამოსვლა მომიწია. მადლობას ვუხდი „ტორპედოს" ხელმძღვანელობას, რომ შემომთავაზეს გუნდში თამაში. მეც დავთანხმდი. სწორედ „ტორპედოდან" წავედი „ბენფიკაში". აქ პირველ გუნდში მაშინ ვითამაშე, როდესაც პირველ ლიგაში იყო და არაა უცხო ჩემთვის აქ თამაში. ჯერ „ტორპედოს" დავეხმარები. ასაკი არ მაქვს ისეთი, რომ ევროპაში ველარ წავიდე. მოვა დრო და მომავალში გავაგრძელებ თამაშს იქ".

ბაქარ მირცხულავას დებიუტი „ტორპედოში" მას შემდეგ შედგება, რაც მისი სატრანსფერო ფურცელი ჩამოვა პორტუგალიიდან, მანამდე კი ფეხბურთელი ფორმის მაქსიმალურად აღდგენას აპირებს.

„მითხრეს, რომ სატრანსფერო ფურცელი ერთ კვირაში ჩამოვა, მოგვარდება ეს ყველაფერი და მომცემენ თამაშის უფლებას. 3 თვე გამიცდა, უვარჯიშებელი ვიყავი, ერთი თვეა რაც დავიწყე ვარჯიში. ახლა უკვე კარგად ვგრძნობ თავს, დანარჩენს მწვრთნელი გადაწყვეტს. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ვითამაშო და დავეხმარო ქუთაისის „ტორპედოს", აქ სწორედ ამისთვის ვარ", —გვითხრა მირცხულავამ.

მაგდა კლდიაშვილი

P.S წუხელ შევიტყვეთ, რომ პორტუგალიიდან ბაქარ მირცხულავას სატრანსფერო ფურცელი ჩამოვიდა და ახალგაზრდა ფეხბურთელს „ტორპედოში" თამაშის უფლება ექნება.

● მეტოქეები

დაჯაბული ოქტომბრის მოლოდინში

მართალია, ხორვატიასა და ლატვიასთან ორივე მატჩი მოვითავეთ, მაგრამ ჯერაც არ გარკვეულა, რომელ ადგილზე დავასრულებთ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფს. ამიტომაც სხვა შეხვედრების მიმართ გულგრილი მაინც ვერ ვიქნებით.

ხორვატიის ნაკრები 7 ოქტომბერს სტუმრად საბერძნეთს, 11 ოქტომბერს კი შინ ლატვიას ეთამაშება. ხორვატთა თავკაცმა **სლავენ ბილიჩმა** ამ მატჩებისთვის შემდეგ ფეხბურთელებს უხმო:

მეკარეები: **სტიპე პლეტიკოშა** ("როსტოვი"), **დანიელ სუბაშიჩი** ("ჰაიდუკი"), **ივან კელავა** ("დინამო" ზ.);

მცველები: **შიმე ვრსალკო, იოსიპ შიმუნიჩი, დომაგოი ვიდა** (ყველა - "დინამო", ზაგრები), **დარიო სრნა** ("შახტარი"), **ვედრან ჩორლუკა** ("ტოტენჰემი"), **დეიან ლოვრენი** ("ლიონი"), **ივან სტრინიჩი** ("დნიპრო"), **გორდონ შილდენფელდი** ("აინტრახტი"), **მანუელ პამიჩი** ("სპარტა");

ნახევარმცველები: **ლუკა მოდრიჩი, ნიკო კრანჩარი** (ორივე - "ტოტენჰემი"), **ოგნენ ვუკოევიჩი** ("დინამო" კიევი), **დანიელ პრანიჩი** ("ბაიერნი"), **ივან რაკიტიჩი** ("სევილია"), **ტომისლავ დუიმოვიჩი** ("დინამო" მოსკოვი), **მილან ბადელი** ("დინამო" ზ.), **ივო ილიჩევიჩი** ("ჰამბურგი"), **მატო იაიალო** ("კიოლნი"), **ივან პერიშიჩი** ("დორტმუნდი");

თავდამსხმელები: **მარიო მანჯუკიჩი** ("ვოლფსბურგი"), **ედუარდო** ("შახტარი"), **ნიკიცა იელავიჩი** ("რეინჯერსი"), **ნიკოლა კალინიჩი** ("დნიპრო"), **ივან კლასნიჩი** ("ბოლტონი"), **ივიცა ოლიჩი** ("ბაიერნი"), **მლადენ პეტრიჩი** ("ჰამბურგი").


სლავენ ბილიჩი

■ ■ ■

ცნობილია ლატვიის ნაკრების საოქტომბრო შემადგენლობაც. საქართველოს ნაკრებისგან განსხვავებით, ბალტიისპირელებსაც ორი შეხვედრა დარჩათ – 7 ოქტომბერს საკუთარ მოედანზე მალტასთან, 11-ში კი ხორვატიასთან.

ლატვიელთა მთავარი მწვრთნელის, **ალექსანდრს სტარკოვსის** რჩეულთა სია ასეთია:

მეკარეები: **ანდრის ვანინსი** („სიონი"), **პაველს დოროშევსი** („გაბალა") **გერმანს მალინში** („სკონტო");

მცველები: **რიტუს კრიაუკლისი, პაველს მიხადიუკსი** (ორივე -„მეტალურგსი"), **ოსკარს კლიავა** („ხიმკი"), **დენის ივანოვსი** („ბაკი"), **კასპარს გორკშსი** („რედინგი"), **რიტვარს რუგინსი** („ვენტსპილსი");

ნახევარმცველები: **ალეკსანდრს ფერტოვსი, ოლეგს ლაიზანსი** (ორივე "სკონტო"), **ალეკსანდრს ცაუნია** (ცსკა მ.), **ალექსეის ვიშნიაკოვსი** ("კრაკოვია"), **ივანს ლუკიანოვსი** ("ლეხია"), **ანდრეის რუბინსი** ("სიმურგი"), **არტის ლაზდინში** ("იელგავა" შ);

თავდამსხმელები: **მარის ვერპაკოვსკისი** ("ბაკი"), **არტიომს რუდნევსი** ("ლეხი"), **ედგარს გაურაკსი** ("ენისეი"), **ანდრეის პერეპლიოტკინსი** ("ნასაფი").

ლევან ჯანელიძაშვილი

ქართული ფეხბურთი

● ახალგაზრდა მწვრთნელები

გია ცეცაძე: ქართული ცეკვაც შეტევაა, ეს ჩვენი სტილია

მესამე ტურის გამოტოვებულ შეხვედრაში გორის "დილამ" "ზესტაფონი" გასვლაზე 4:0 გაანადგურა. ამას სენსაციური შედეგიც აღარ ჰქვია. ისიც ფაქტია, რომ სამწვრთნელო სარბიელზე ძალიან საინტერესო ახალგაზრდა სპეციალისტი, 37 წლის გია ცეცაძე გამოჩნდა, რომელიც გორის "დილას" შემტევ ფეხბურთს ათამაშებს. ინებეთ სტატისტიკა და არა ლირიკა – მერვეადგილოსანმა "დილამ", თბილისის "დინამოს" შემდეგ (12 გოლი), ყველაზე მეტი (11) გოლი გაიტანა. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ ამ გუნდში ბევრი რიგითი მოთამაშე საკმაოდ კარგად გამოჩნდა. ესეც მწვრთნელის დამსახურებაა.

ცეცაძეს მკაფიოდ ჩამოყალიბებული შეხედულებაც გააჩნია, თუ რატომ ათამაშებს "დილას" ამგვარად. მანამდე კი ბოლო მატჩზე ვილაპარაკეთ.

- "ზესტაფონში" ძალიან უცნაური ამბავი მოხდა.

- "ზესტაფონი" ძლიერი გუნდია და ნიჭიერი ახალგაზრდა კაცი ავარჯიშებს, მაგრამ ბიჭებს ვუთხარი, რადგან ჩვენზე მდიდრები არიან, ამის გამო თავს ნუ დაუხრით-მეთქი. მთავარია მოედანზე საბრძოლო განწყობით გახვიდე და მოწინააღმდეგეს საკუთარი თამაში მოახვიო. შენ რომ "მარშუტკით" მგზავრობ, სულაც არ ნიშნავს, რომ "პორშეს" პატრონზე უნიჭო ხარ - ისიც "მარშუტკით" მგზავრობდა, მაგრამ მოინდომა, ივარჯიშა და ასე გადაჯდა "პორშეში".

გამახარა მაყურებლის რეაქციამ – ზესტაფონელებმა ტაშით გამოგვაციელეს. გინდა არ გინდა, ყურს მაინც ხვდება ხალხის შეძახილები და ერთი გადაბრუნებული სიტყვაც არ გამიგონია. თუმცა გაორებული გრძნობით წამოვედი, "ზესტაფონის" მთავარი მწვრთნელი ჩემი ძმაკაცი გიორგი ჭიაბრიშვილია და ბოლომდე ბედნიერი არ ვიყავი. იშვიათად არის მატჩი, როდესაც ერთ გუნდს ყველაფერი გამოსდის, მეორეს კი არაფერი და მაინცადამაინც ჩემი ძმაკაცის გუნდის წინააღმდეგ გვქონდა ეს თამაში.

- ამ მატჩის შემდეგ შეგიძლიათ თქვათ, რომ "დილა" "დაიქოქა"?

- ამ ლამაზი გამარჯვების შემდეგაც ამაყი მზერით არ მინდა ვთქვა, რომ გუნდს პრობლემები აღარ აქვს. მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ დრო გვჭირდებოდა და "დილა" ათამაშდებოდა, რადგან არც ერთ წაგებულ მატჩში მეტოქეს უპირატესობა არ ჰქონია და ჩვენივე გამოუცდელობით დავმარცხდით, მათ შორის, თბილისის "დინამოსთანაც".

- საერთოდ, "დილამ" საკუთარი სტილი შეიძინა, როდესაც ჩვენში კლუბების უმრავლესობა უფერულია. შემტევი ფეხბურთი აშკარად გიყვართ...

- ფეხბურთში რომელი გუნდები და მოთამაშეები მოგვწონს? შემქმნელები და შემტევები, შემთხვევით ვიღაცას ბურთი რომ მოხვდება და გაიტანს, ეს ფეხბურთი არაა. ბავშვობიდან იმიტომ მომწონდა თბილისის "დინამო", ჰოლანდიის ნაკრები და "ბარსელონა", რომ მათი ლაღი თამაში სიამოვნებას მანიჭებდა. გავიხსენოთ, როდის იყო ქართული ფეხბურთი ყველაზე წარმატებული? როდესაც შემტევი სტილით თამაშობდა. ასე იყო ბორის პაიჭაძიდან დაწყებული, 13 მაისის თაობით დასრულებული. მართალია, ცხადაძე-არველაძე-ნემსაძე-ჯამარაულის თაობას წარმატება არ ჰქონია, მაგრამ ლამაზ ფეხბურთს აჩვენებდა.

ეს დიდი და საინტერესო თემაა, რომელზე ფიქრის დროსაც წარსულს, ისტორიას და ჩვენი ხალხის ხასიათს ვაანალიზებ; ვინც არ გაითვალისწინებს, ძალიან შეცდება. გენეალოგიაც კი გვკარნახობს, რომ ჩვენ ასეთი ფეხბურთი უნდა ვითამაშოთ. ჯერ ქართველს გერმანელის ნებისყოფა არ აქვს და არც "ფიზიკა", დაცვაში ჩამჯდრებმა ხანგრძლივ შეტევებს რომ გავუძლოთ, ქართველის სტიქია კი შეტევაა. აიღეთ ჩვენი ცეკვები, ხორუმი, აჭარული, მთიულური - სულ შეტევაა და შეუძლებელია ფეხბურთში ეს არ გაითვალისწინო, რადგან ჩვენი შემოქმედება ქართულ ხასიათს ასახავს.

ამიტომაც არ მესმის, რატომ უნდა ვითამაშო "მეორე ნომრად", როდესაც ასე ვერც ლამაზ ფეხბურთს ვაჩვენებ, ვერც მაყურებელს გავახარებ და საკუთარ ბუნებასაც ვეწინააღმდეგები. სანამ ჩვენ "მეორე ნომრობას" არ შევეშვებით და საკუთარ ძალებს არ ვირწმუნებთ, არაფერი გვეშველება. სამწუხაროდ, ბევრ მოთამაშეს აქვს სინდრომი, რომ უფრო მაღალანაზღაურებად ჩემპიონატებში უკეთესი ფეხბურთელები თამაშობენ, თავად კი ფასი არ აქვთ. ამ დროს, უნგრეთის, პოლონეთის, ბულგარეთის, სლოვაკეთის, ხორვატიის ჩემპიონატებში მხოლოდ მეტი ფული ტრიალებს, მეტი არაფერი. თოფი რომ დამადონ, საპირისპიროში ვერ დამარწმუნებენ, რადგან ნიჭი ფულზე არ არის დამოკიდებული.

მაგრამ მათი ფეხბურთი სისტემაშია მოქცეული, ჩვენ კი განვითარების გეგმაც არ შეგვიდგენია, ამ მონახაზით ყველამ რომ ვიმუშაოთ და ქართული ფეხბურთის რეალური პოტენციალი გამოვავლინოთ, ვისწავლოთ ორგანიზებული თამაში და შეტევა ქაოსში არ გადაგვეზარდოს.

- გულშემატკივარი კარგად არც გიცნობთ, რადგან დიდი ფეხბურთი არ გითამაშიათ . მწვრთნელობა როგორ დაიწყეთ?

- 35-ე სკოლაში თემურ ლორთქიფანიძესთან 16 წლამდე ვვარჯიშობდი, მერე, რადგან ჯერ თბილისს ომი დაიწყო, მერე სამოქალაქო და ამ უბედურებაში არავის გვეფეხბურთებოდა, ვარჯიშს მეც შევეშვი. გულახდილად რომ ვთქვა, დიდი ნიჭიც არ მქონია და გულშემატკივრად დავრჩი, მაგრამ ფეხბურთი ძალიან მიყვარდა და გული სულ მოედნისკენ მიმიწევდა. მახსოვს, ბუცები ვიყიდე, "შიპები" შევაჭერი და ასე დავდიოდი, ფუტსალის გუნდშიც ვთამაშობდი...

მერე მეგობრებთან ერთად ბიზნესის წამოწყება ვცადე, მაგრამ გული მაინც ფეხბურთისკენ მიმიწევდა. მწვრთნელობა 2000 წელს სკა-ს სტადიონზე საფეხბურთო სკოლაში ცხონებულმა კოტე ჯალიაშვილმა დამაწყებინა, მე და გელა სანაია ვეხმარებოდით, წელინად-ნახევარი უხელფასოდ ვმუშაობდი. 2002 წელს "ბ" კატეგორიის მწვრთნელის ლიცენზია ავიღე, 2003 წელს კი "ოლიმპში" გადავედი და 1993-წლიანებში თემურ ფოცხვერიასთან ვმუშაობდი, დამოუკიდებლად კი 1994-წლიანებს ვავარჯიშებდი. 2008 წელს გიორგი დევდარიანი 16-წლამდელებში დანიშნეს და ასისტენტად მიმიწვია. იმავე პერიოდში ფოცხვერია "საბურთალოში" გადავიდა და მალე მეც გავყევი, "ა" კატეგორიის ლიცენზიაც ავიღე...

მიხარია, ასეთ ნიჭიერ მწვრთნელებთან რომ ვმუშაობდი, ეს არის თანამოაზრეთა წრე და, მიმაჩნია, რომ ხალასი, ლაღი ფეხბურთის მიმდევრები არიან და უნიჭიერესი მოთამაშეებიც გაუზრდიათ. თითოეული მათგანისგან ძალიან ბევრი ვისწავლე. დევდარიანი დღემდე მეხმარება, ხშირად ვეკითხები აზრს, რადგან კამათისა და აზრთა გაცვლისას ბევრს ვიგებ და ვიხვეწები.

აქვე ვიტყვი, გვერდი ჩემი ბავშვობის მწვრთნელი თემურ ლორთქიფანიძე რომ არ მყავდეს, გორის "დილა" ასეთი გუნდი არ იქნებოდა. ის იყო ძალიან სერიოზული ბავშვთა სპეციალისტი, ავარჯიშებდა ქინქლაძეს, ანჩაბაძეს, გოგობერიშვილს, დავითაშვილს, დათუაძეს ... ახლა ფიზმომზადებაში გვეხმარება და მომზადების ისეთ მეთოდებს იყენებს, რაც ევროპაში თანამედროვედ ითვლება. თბილისის "დინამოსთან" და "ზესტაფონთან" კი ფიზიკურად არაფერი დაგვითმია, ამ უკანასკნელთან ბიჭებს დაღლაც არ დაეტყოთ, რადგან თემურმა მშვენივრად მოამზადა. მერე იტყვიან, ჩვენ სპეციალისტები არ გვივარგაო. ლორთქიფანიძე და ივანე ლუცენკო თუ დილეტანტები არიან, მაშინ საქართველოში მათზე უკეთესი პროფესიონალები მაჩვენეთ და ხელებს ავწევ. აქაც იგივე სინდრომია, რაც ფეხბურთელებთან მიმართებაში – ჩვენებს, რატომღაც, უცოდინრებად თვლიან. ესეც "მეორე ნომრის" სინდრომია, რომელიც მალე უნდა მოვიშოროთ. საუკეთესო მწვრთნელები გვყავს და არ ვაფასებთ.

- დაბოლოს: შიდა ქართლის ახალი გუბერნატორი "დილას" დაფინანსებას აპირებს?

- პირადად ჩემთვის არაფერი უთქვამთ, მხოლოდ ის ვიცი, რომ კლუბის ანგარიშზე თანხა ზის და გარკვეული პერიოდი გვეყოფა. გუბერნატორი ახალი დანიშნულია და, ალბათ, ჯერ სხვა საკითხებს გაარკვევენ და მერე მოგვხედავენ. თუმცა დამაიმედებელი ხმები მოვიდა, რომ ბიუჯეტის გაზრდაზეც კი ფიქრობენ და ჩვენც ეს გვინდა – ფეხბურთში ფული ძალიან ბევრს ნიშნავს.

მერაბ მამულაშვილი

● ლეგიონერები

ჯაბა ლიპარტია

თასზე მხოლოდ ლიპარტიამ გაიტანა

ანანიძე ისევ დაშავდა, კვერკველია ძირითადს დაუბრუნდა

რუსეთის თასის მერვედფინალი ქართველებისთვის დიდად წარმატებული ვერ გამოდგა. იმ კლუბებიდან, რომელთა ღირსებასაც ჩვენი თანამემამულეები იცავენ, მეოთხედფინალში სამი გავიდა, ორი კი გათამაშებას გამოეთიშა. უშუალოდ ქართველი ლეგიონერებისთვის კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მერვედფინალების დღემ უფერულად ჩაიარა.

ეს დღე განსაკუთრებით ცუდად გასახსენებელი იქნება **ჯანო ანანიძისთვის**, რომელმაც წლეულს, ვინ მოსთვლის, მერამდენე ტრავმა მიიღო. იგი მოსკოვის "სპარტაკის" ძირითადში გაამწესეს, მაგრამ 39-ე წუთზე შესაცვლელი შეიქნა. წესით, დაზიანება არ უნდა იყოს საგანგაშო, მაგრამ მაინც უსიამოვნოა, ხშირი ტრავმიანობა ჯანოს სტაბილურად თამაშის საშუალებას რომ არ აძლევს. "ვოლგასთან" საშინაო მატჩში "სპარტაკი" მე-4 წუთზე **ეიდენ მაკგიდიმ** დააწინაურა, 86-ეზე კი ანგარიში **შოთა ბიბილოვმა** გაქვითა და საქმე პენალტების სერიაზე შიდგა, სადაც ნიჟნინოვგოროდელებმა 6:5 გაიმარჯვეს. **გია გრიგალავა** ერთადერთი ვოლგელია, ვინც მატჩისშემდგომი თერთმეტმეტრიანი გაიფეჭა. "ვოლგას" განაცხადში სხვა ჩვენებური არ შეუყვანიათ.

"რუბინის" ძირითად შემადგენლობას დაუბრუნდა **საბა კვერკველია**, რომელმაც ბოლო დროს სათადარიგოთა სკამზე ესპანელი **სესარ ნავასის** გამოჯანმრთელების გამო გადაინაცვლა. ყაზანელთა თავკაცმა **ყურბან ბერდიევმა** ამჯერად ნავასი დაასვენა, საბა კი 90 წუთით ათამაშა. "რუბინმა" პერმში "ამკარს" პირველივე ტაიმში მოუმთავრა საქმე და 2:0 გაიმარჯვა. საინტერესოა, რომ "ამკარის" სათადარიგოთა სკამზე იჯდა აშშ-ის მოქალაქე **ზურაბ ცისკარიძე**.

გროზნოს "ტერეკმა" შინ 2:0 სძლია ქვედალიგელ ვლადიმირის "ტორპედოს". **ლევან გვაზავა** მასპინძელთა სასტარტო შემადგენლობაში იყო და მე-60 წუთზე შეცვალეს. "ანჟი" მოსკოვში "დინამოს" ძირითად დროში უგოლოდ ეთამაშა, დამატებით დროში კი გამარჯვების გოლი დედაქალაქელებმა გაიტანეს. მახაჩყალელთა კარს, ცხადია, **ნუკრი რევიშვილი** იცავდა.

სათასო მატჩები გაიმართა უკრაინაში, სადაც მერვედფინალისტები თითო თამაშით გამოვლინდნენ. "ზარიამ" სტუმრად "სლოვჰლებს" 2:0 მოუგო, ანგარიში კი **ჯაბა ლიპარტიამ** გახსნა.

"კარპატიმ" ასევე გასვლაზე 1:0 აჯობა "პოლტავას". **სანდრო გურული** ლვოველთა ძირითად შემადგენლობაში იყო და გოლამდე მცირე ხნით ადრე, 64-ე წუთზე შეცვალეს.

"კრივბასმა" სტუმრად ბელაია ცერკოვის "არსენალი" 3:2 დაამარცხა. კრივოიროგელთა რიგებში 33-ე წუთზე გამოჩნდა **ჯაბა კანკავა**, ახლად გამოჯანმრთელებულ **უჩა ლობჟანიძეს** კი ... უთამაშია.

ქართველთა გუნდებიდან გათამაშებას ორი გამოეთიშა – **მათე ღვინიანიძის** "სევასტოპოლი" დნეპროძერჟინსკის "სტალთან" 1:2 დამარცხდა, **ლაშა ჯაკობიას** "ზაკარპატიემ" კი ზაპოროჟეს "მეტალურგთან" 0:1 წააგო. ღვინიანიძემ სრულად ითამაშა, ჯაკობიამ – ბოლო 9 წუთი.

ლევან ჯანეზაშვილი

ჯანო ანანიძე

ლუჭაშვილი დაჩიასგან გათავისუფლების ფურცელს ელოდება



ვასილ ლუჭაშვილი

ვასილ ლუჭაშვილი მოლდოვურმა „დაჩიამ" 2009 წელს დაიმატა, წელინად-ნახევრის შემდეგ კი დედაქალაქის მეორე კლუბში „ზიმბრუში", სეზონის ბოლომდე ივჯარით გაუშვა; თუმცა ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ლუჭაშვილი კლუბმა აღარ მიიღო. ქართველი ფეხბურთელისადმი ასეთი დამოკიდებულება იმან განაპირობა, რომ „დაჩია" ევროპის ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპიდან ქართულმა კლუბმა, „ზესტაფონმა" გამოაგდო.

„დაჩიასთან" ქართველს კონტრაქტი წლის ბოლომდე აკავშირებს, მაგრამ ფეხბურთელს არც თამაშის უფლებას აძლევენ და არც გათავისუფლების ფურცელს, რომლის საანაცვლოდაც კიშინიოველები ლუჭაშვილს ფულს სთხოვენ.

როგორც თავად ფეხბურთელი ამბობს, კლუბსა და მას შორის ინტენსიური მოლაპარაკებები მიმდინარეობს და სავარაუდოდ,რამდენიმე დღეში, ის გათავისუფლების ფურცელს მიიღებს.

შეგახსენებთ, რომ ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპიდან გამოვარდნის შემდეგ, მოლდოველებმა გუნდიდან სხვა ქართველი ფეხბურთელებიც , **დავით გამეზარდაშვილი** და **ლევან კორღალიძეც** დაითხოვეს.

მაგდა კლდიაშვილი

● ესპანეთი. ლა ლიგა. IV ტური

შეხედეთ ცხრილს!

პრიმერადივიზიონის 4 სრული ტური ჩამთავრდა და ლიდერი... ელიტაში დაბრუნებული „ბეტისია". **პეპე მელის** გუნდი რომ აუტსაიდერობისთვის არ იქნებოდა განწირული ყველამ იცოდა, მაგრამ სევილიელთა ერთპიროვნულ ლიდერობას, ქულათა მაქსიმუმით ვინ წარმოიდგენდა. „ბეტისს" მხოლოდ ორ გუნდზე ნაკლები აქვს გატანილი და ის ორე გუნდი „ბარსელონა" და „რეალია".

ესპანიოლი–ხეტაფე 1:0

ესპანიოლი (4-3-3): ალვარესი - გალანი, ამატი, მორენო, დიდაკ ვილა - ვერდიუ, ბაენა, მარკესი (77. პანდიანი) - ს. გარსია, ა. ვასკესი (59. ვეისი), ტიევი (86. რუი ფონტე).

ხეტაფე (4-1-4-1): მოია - ვალერა, კატა დიასი, ლოპო, მასილელა (31. მ. ტორესი) - რ. პერესი - პ. რიოსი (63. დ. კასტრო), კასკერო, ლასენი, აბდელი - მიკუ (80. გუისა).

გოლი: 1:0 პანდიანი (91)

გაფრთხილება: მორენო, პანდიანი, ტიევი, ვეისი, ს. გარსია - პერესი

კუთხური: 10-0; **ჯარიმა:** 25-16; **თამაშგარე:** 1-5; **კარში დარტყმა:** 16-9 (6-0); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

მაყურებელი: 21 000

ბეტისი–სარაგოსა 4:3

ბეტისი (4-2-3-1): კასტო - ჩიკა, ამაია, დორადო, ნაჩო - ბენატი, ირინეი - პერეირა (70. გოიტია), სევილია (46. ხუანმა), მონტერო (60. სერხიო) - სანტა კრუსი.

სარაგოსა (4-2-3-1): რობერტო - ხუარესი, მატეოსი, დ. სილვა, აბრაამი - პონსიო, რუბენ მიკაელი (66. სუულინი) - ბარერა (52. ხუან კარლოსი), ლ. გარსია, ლაფიტა - პოშტიგა.

გოლები: 1:0 სანტა კრუსი (7), 2:0 სევილია (12-პენ), 2:1 ხუარესი (36), 3:1 ბენატი (53), 4:1 სანტა კრუსი (50), 4:2 ხუან კარლოსი (77), 4:3 ხუან კარლოსი (79)

გაფრთხილება: მატეოსი, პონსიო

გაძევება: კასტო (69)

კუთხური: 3-9; **ჯარიმა:** 8-13; **თამაშგარე:** 2-5; **კარში დარტყმა:** 9-21 (6-9); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

მაყურებელი: 45 000

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ბეტისი	4	4	0	0	9-5	12
2. ვალენსია	4	3	1	0	8-5	10
3. მალაგა	4	3	0	1	7-2	9
4. ბარსელონა	4	2	2	0	17-4	8
5. სევილია	4	2	2	0	5-3	8
6. ლევანტე	4	2	2	0	4-2	8
7. რეალი	4	2	1	1	10-3	7
8. ატლეტიკო	4	2	1	1	8-1	7
9. სოსიედადი	4	2	1	1	5-4	7
10. ესპანიოლი	4	2	0	2	4-4	6
11. ვალენსია	4	1	2	1	3-3	5
12. ოსასუნა	4	1	2	1	2-9	5
13. ვილიარეალი	4	1	1	2	4-8	4
14. სარაგოსა	4	1	1	2	5-11	4
15. მალიორკა	4	1	0	3	1-4	3
16. გრანადა	4	1	0	3	1-6	3
17. რასინგი	4	0	2	2	3-8	2
18. ხილბაო	4	0	1	3	4-7	1
19. ხეტაფე	4	0	1	3	3-7	1
20. სპორტინგი	4	0	0	4	2-9	0

● ბარსელონა

აფელაი 6 თვე ვერ ითამაშებს?

„ბარსელონამ" კვლავ დაკარგა ახლახან გამოჯანმრთელებული ჰოლანდიელი **იბრაჰიმ აფელაი**, მაგრამ ახლა საქმე გაცილებით რთულადაა - მუხლის ტრავმის გამო აფელაიმ შესაძლოა 6 თვე გამოტოვოს. მუხლის ჯვარედინი იოგები მან ხუთშაბათის ვარჯიშზე დაიზიანა.

ახლა 25 წლის შემტეკე ნახევარმცველს ოპერაცია ელის, რომელიც მას საავარაუდოდ აპრილამდე ჩამოაშორებს ფეხბურთს. შეგახსენებთ, რომ „ბარსას" ლაზარეთში იმყოფებიან **ანდრეს ინიესტა** და **ალექსის სანჩესი**.

● ვალენსია-ბარსელონა. გამოხმაურება

სპექტაკლი მესტალიაზე

რომელმაც ორივე მხარე კმაყოფილი დატოვა

ფეხბურთის ბრნყინვალე ღამე „მესტალიაზე" და საბრძოლო 2:2. ვფიქრობთ, ეს ის შემთხვევაა, როცა ფეხბურთის მოყვარულები, „ვალენსიას" და „ბარსელონას" გულშემატკივრები, ყველანი კმაყოფილნი დარჩნენ. ჩემპიონი ორჯერ აგებდა და ორჯერვე შეძლო გათანაბრება, ბოლოს შტურმიც მოაწყო მასპინძელთა კართან და ქულას გამორჩა. პრეტენდენტი, მართალია, ორჯერ იგებდა, მაგრამ სეზონის მთავარ ფავორიტთან ქულაც მიღწევაა.

ბოლო ათი დღის განმავლობაში ეს კატალონიელთა მესამე 2:2-ია, მაგრამ წინა ორ შემთხვევას მესტალიური მატჩი იმით გამოარჩევს, რომ ვალენსიაში „ბარსას" სულაც შეიძლება წაეგო. „ბარსამ" „ანოეტაზე", ბასკებთან მატჩში 2:0 გაანიავა, „მილანთან" ჩემპიონთა ლიგაზე კი ბოლო წამებზე გაუშვა გოლი.

პირველ ტაიმში **უნაი ემერის** გუნდმა ისე ითამაშა, რომ „ბარსა" ერთი ჩვეულებრივი გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებდ. ამაში მასპინძლებს სტადიონის ხელმძღვანელთა ეშმაკობა დაეხმარა - ბალახი სათანადოდ არ გაკრიჭეს, რითაც ბარსელონურ ტიკი-ტაკას ხელი უსათუოდ შეეშალა.

„ვალენსიას" ორივე გოლი მარცხენა ფლანგიდან შეტევების შემდეგ გავიდა, სადაც **ჟერემი მატიო** და **ხორდი ალბა** მოქმედებდნენ. მოკლედ, **დანი ალვეშმა** ფლანგზე მოისუსტა და ეს ხვრელი მასპინძლებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ.

სხვათა შორის, ამ მატჩში კარიერაში 350-ე მატჩი ითამაშეს ჩემპიონატებში **კარლეს პუიოლმა** და **დავიდ ალბელდამ**. პუიოლი ჯერაც ვერაა სათანადო ფორმაში, ვეტერანი ალბელდა კი ემერიმ შესვენებაზე შეცვალა.

ბარსელონელები ანგარიშის გათანაბრებას ხარობენ

უნაი ემერი: *„შედეგით კმაყოფილები ვართ, თუმცა არა ბედნიერები, რადგან მოსაგებად გავედით. მათი დატოვებული სივრცეები კარგად გამოვიყენეთ, მაგრამ ამან საბოლოოდ სამი ქულა მაინც ვერ მოგვიტანა".*

ხოსეპ გვარდიოლა: *„ეს იყო დიდებული სპექტაკლი. ჩვენ ბოლოს მოგებაც შეგვეძლო, მაგრამ, თუ „ვალენსიას" ადრეულ შანსებს გავიხსენებთ, სწორი იქნება, რომ ფრე სამართლიან შედეგად ჩავთვალოთ".*

სერხიო კანალესი: *„მატჩს რომ ვიხსენებ, ცოტა მწყინს, რომ ვერ მოვიგეთ, მაგრამ ფრეც კარგი შედეგია. ჩვენ დინამიკურ ფეხბურთს ვთამაშობთ და შედეგებიც შესაბამისი გვაქვს. ახლა ცხრილის თვალიერება არა მგონია სერიოზული საქმე იყოს, უნდა ვიფიქროთ, რომ „სევილიასაც" ასევე კარგად ვეთამაშოთ და მოვუგოთ".*

ვიქტორ ვალდესი: *„ამ სტადიონზე მოგება ძალიან ძნელია, თუმცა თამაშის მიწურულს ასპროცენტიანი შანსები მოგვეცა საამისოდ. პირველ ტაიმში „ვალენსიამ" უბრალოდ გვაჯობა, მეორე ჩვენი იყო".*

goal.com-მა მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად (8 ბალი) „ვალენსიას" ფრანგი მცველი ჟერემი მატიო დაასახელა, უარესად კი - ბრაზილიელი დანი ალვეში (4,5 ბალი). კარგი შეფასებები მიიღეს არგენტინელებმა, **ლიონელ მესიმ** და **ევერ ბანეგამ** (7,5 ბალი).

სესკ ფაბრეგასი „ბარსას" ისტორიაში ერთადერთი ნახევარმცველია, რომელმაც ზედიზედ ოთხ ტურში შეძლო გოლის გატანა.

„მესტალიაზე" ყველაზე მეტი ზუსტი პასი **ჩავიმ** გააკეთა - 103.

დანი ალვეშმა, მიუხედავად იმისა, რომ სუსტად ითამაშა, ყველაზე მეტი, 14 ორთაბრძოლა მოიგო.

პედრომ „ბარსელონას" მაისურით 47-ე გოლი გაიტანა, აქედან 23 მან სტუმრად შეაგდო.

დაახლოებით ასე წარიმართა შეხვედრა უნაი ემერისა და ხოსეპ გვარდიოლას გუნდებს შორის 2008/09 წლების სეზონშიც. მაშინაც **პაბლო ერნანდესმა** გაიყვანა 2:1 წინ „ვალენსია", ხოლო **ტიერი ანრიმ** საბოლოო შედეგი, 2:2 დააფიქსირა, თუმცა მაშინ ანგარიში სტუმრებმა გახსნეს და არა მასპინძლებმა.

● რასინგი-რეალი. გამოხმაურება

კუპერი: რასინგმა ითამაშა დიდი გუნდივით

მოურინიო შეშფოთებულია

ქარიმ ბენზემა პაპე დიოპს გაურბის

„სამეფო კლუბში" კრიზისზე ალაპარაკდნენ - ბოლო ორ მატჩში „რეალმა" 6-დან 5 ქულა დაკარგა. განგაშის ზარები თავად **ჟოზე მურინიომ** შემოჰკრა თამაშის შემდეგ, რომელმაც განაცხადა, რომ სტუმრად ამდენი ქულის დაკარგვა შემაშფოთებელია. *„ბოლოს ჯამდება ქულები და დგება ცხრილი, მეტი არაფერი - ჩვენ კი სწორედ ქულები დავკარგეთ, ერთბაშად ხუთი ქულა სტუმრად. პირველ ტაიმში ცუდად ვითამაშეთ, მაგრამ მეორეში ჩვენი ნახევარდაცვა დომინირებდა, აი, შანსებს მაინც ცოტას ვქმნიდით. არადა, ბოლო 30 წუთი აბსოლუტური უპირატესობა გვქონდა. „რასინგს" გარჯას არ დავუკარგავ, მეტოქემ დაცვაში კარგად ითამაშა".*

შეშფოთებულია **იკერ კასილიასიც**: *„მართალია, ჯერ ძალიან ადრეა, სეზონი ახლა იწყება, მაგრამ ჩვენ აღარ გვაქვს უფლება ასე უშნოდ ვკარგოთ ქულები",* - განაცხადა კაპიტანმა.

29 წლის **ჩაბი ალონსოსთვის** კანტაბრიული მატჩი საიუბილეოა - მან ოფიციალურ შეხვედრებში მე-100-ედ მოირგო „რეალის" მაისურა. ბასკი ნახევარმცველი მესამე სეზონს ატარებს მადრიდულ გრანდში, მანამდე ის „ლივერპულში" გამოდიოდა.

აი, რა თქვა ნამატჩევს საქართველოს ნაკრების ყოფილმა თავკაცმა **ექტორ კუპერმა**: *„ძალიან ბედნიერები ვართ, რომ ქულა მოვიპოვეთ. „ატლეტიკოსთან" მარცხის შემდეგ ბიჭები იყვნენ სასტიკ მდგომარეობაში. ჩემთვის, „რასინგმა" დღეს დიდი გუნდივით ითამაშა და ცოტა გამაკვირვა კიდევაც. დაცვაში ბრწყინვალედ ვითამაშეთ, მადრიდული შეცდომები აღარ გავიმეორეთ. ის კი არა, მოგებაც შეგვეძლო - გატანის ორი კარგი შანსი გვქონდა, ერთხელ კასილიასმა „რეალი" გადაარჩინა".*

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

● ამბები ერთიანი ბიბლიოთეკა

ბრაულიო ნობრეგა

მოძალადე ბრაულიო?

„სარაგოსას" 26 წლის ნახევარმცველი **ბრაულიო ნობრეგა** პოლიციამ კლუბის ბაზაზე დააკავა, დაკითხა და გაათავისუფლა, თუმცა ჯერჯერობით ნახევარმცველს თავი ქუდში არ აქვს, მას სექსუალურ ძალადობაში ადანაშაულებენ, ბრალდება მის წინააღმდეგ არ მოუხსნიათ. მას ბრალს 30 წლის ქალის გაუპატიურების მცდელობაში სდებენ. ინციდენტი ორშაბათს დილით მოხდა სარაგოსას ქუჩებში, დაზარალებული კუარტე დე უერვას ქუჩაზე მიდიოდა, როცა უკნიდან ახალგაზრდა მამაკაცი დაესხა თავს და მისი მანქანაში ჩასმა მოინდომა. ქალმა გაქცევა შეძლო, მაგრამ დაიმახსოვრა შავი „პორშე". სხვათა შორის, ფეხბურთელს დაზარალებულის აღნერით ვერც მიაგნეს (მას უკნიდან დაესხნენ და სახე არ დაუნახავს), არამედ, ქუჩაში დამონტაჟებული კამერის მიხედვით ამოიცნეს მანქანა. აქამდე ბრაულიოს პოლიციაში საქმე არასოდეს ჰქონია.

დონ ბალონი გაჩერდა

დონ ბალონის ბოლო ნომერი

გამოცემა შეწყვიტა ცნობილმა ესპანურმა ჟურნალმა „დონ ბალონმა". მიზეზი ეკონომიკური კრიზისი და მისი ერთ-ერთი გამომცემლის დაპატიმრებაა. „დონ ბალონი" 1975 წლიდან გამოდიოდა ბარსელონაში. ის **ხოსე მარია კასანოვასმა**, ცნობილმა სპორტულმა ჟურნალისტმა დააარსა, მანვე დაიწყო ყოველდღიური გაზეთის, „სპორტის" გამოცემა. 1976 წლიდან ჟურნალი დღემდე „დონ ბალონის" სახელობის პრიზებს გასცემდა, რომელსაც საუკეთესო ესპანელი ფეხბურთელი, ლეგიონერი, ახალბედა, მწვრთნელი და მსაჯი იღებდნენ. 2010/11 წლების სეზონის შეჯამება ჯერ არ ყოფილა და გვეეჭვება, რომ იყოს. ამჟამინდელი ხელმძღვანელი **როგელიო რენგელი** ცდილობს ჟურნალს არსებობა შეუნარჩუნოს, თუმცა ფაქტია - მკითხველმა ვერ მიიღო სექტემბრის ნომერი და აღარც ჟურნალის ვებსაიტი ფუნქციონერებს.

● იტალია. სერია A

ინტერს ახალი მწვრთნელი ჰყავს

პატო ერთ თვეს იუძმეზს



კლაუდიო რანიერი

მარად კმაყოფილი ალეგრი

რომ არა გასულ სეზონში მოპოვებული სკუდეტო, **მასიმილიანო ალეგრი** უთუოდ **ჯანპიერო გასპერინის** ბედს გაიზიარებდა; დიახ, "ინტერის" არ იყოს, "მილანიც" წარუმატებლად ასპარეზობს სერია A-ს მიმდინარე გათამაშების სტარტზე და სამი ტურის შემდეგ, სატურნირო ცხრილის ფსკერზე იმყოფება. შეიძლება მე-14 ადგილი მაგალითად "სიენასთვის" არ იყოს ფსკერი, მაგრამ "მილანისთვის" სწორედაც რომ კატასტროფული შედეგია, რომელსაც გამოსწორება სჭირდება. "მილანმა" საკუთარ მოედანზე "უდინეზეს" ვერ დააკლო ვერაფერი და მხოლოდ ქულას დასჯერდა, ნამატჩევს კი ალეგრიმ შემდეგი კომენტარი გააკეთა:

"მთლიანობაში, საკმაოდ კარგად ვითამაშეთ და როგორც მინიმუმ, ქულას ნამდვილად ვიმსახურებდით. შესაძლოა, ბევრს გაუკვირდეს ჩემი სიტყვები, რადგან როდესაც "მილანი" საკუთარ მოედანზე ვერ იგებს, წესით მწვრთნელს კმაყოფილების საბაბი არ უნდა ჰქონდეს. ეს შესაძლოა ასეც არის, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ჩემი შეგირდები ნელ-ნელა შედიან ფორმაში და სულ მალე, მცირე ჩავარდნასაც დავძლევთ".

არადა, თამაშის წინ, ალეგრი ჯიუტად გაიძახოდა, დროა მოვიგოთ და სხვა რეზულტატი ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელი იქნებაო. როგორც ჩანს, პირველ ტურებში სენიორ მასიმილიანოსთვის პრიორიტეტული მაინც თამაშის ხარისხია, რომელსაც დღევანდელ "მილანს" არცთუ სახარბიელო შედეგების მიუხედავად, მინასთან ვერ გავუსწორებთ. დიახ, გუნდი უტევს, საკმაოდ მრავალფეროვნად და მომენტსაც უხვად ქმნის, მაგრამ შედეგი ჯერჯერობით არ ჩანს.

პატოს ერთი თვე

"უდინეზესთან" შეხვედრაში **ალეშანდრე პატომ** ტრავმა მიიღო და პირველივე ტაიმში შესაცვლელი შეიქნა. როგორც ექიმების პირველადმა გამოკვლევამ ცხადყო, ბრაზილიის ნაკრების თავდამსხმელს მინიმუმ ერთი თვით მოუწევს უქმობა – ეს ცნობა თავად ფეხბურთელმაც დაადასტურა:

"ტრავმა შეიძლებოდა უფრო მძიმეც ყოფილიყო, ამიტომ, ვცდილობ არ ვინერვიულო და სარეაბილიტაციო კურსის გავლა დროულად დავიწყო. როგორც მითხრეს, ერთი თვით უნდა ვიუქმო, მე კი შევეცდები, რომ ყველა მითითება ზუსტად შევასრულო და მოედანს უფრო ადრე დავუბრუნდე".

ინტერი რანიერის ჩააბარეს

ალბათ ამ ამბით უნდა დაგვეწყო – "ინტერს" ხომ ახალი მთავარი მწვრთნელი **კლაუდიო რანიერი** ჰყავს; გუშინ, "ნერაძურის" მესვეურებმა ოფიციალურად დაადასტურეს, რომ ჯანპიერო გასპერინის სწორედ რანიერი ჩაენაცვლება და შეეცდება, რომ გუნდი კრიზისიდან უმოკლეს დროში ამოიყვანოს. არ გეგონოთ, რომ კლაუდიო დროებით ინიშნებოდეს "ინტერის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე, მისი ხელშეკრულება ორ წელიწადზეა გათვლილი და 2013 წლის ივლისში ეწურება ვადა. კონტრაქტის სხვა დეტალები ჯერჯერობით უცნობია და როგორც ამბობენ, ხვალ ნაშუადღევს გაცხადდება. ჯერჯერობით, პრესისთვის კომენტარი არც **მასიმო მორატის** გაუკეთებია და არც თავად რანიერის.

კონტეს წინათგრძნობა

"ბოლონიასთან" საკუთარ მოედანზე დაკარგული ორი ქულის შემდეგ, "იუვენტუსის" მთავარმა მწვრთნელმა პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში საკმაოდ საინტერესო კომენტარი გააკეთა. მოვუსმინოთ **ანტონიო კონტეს**:

"შესაძლოა ბევრმა ვერ გამიგოს, მაგრამ სათქმელს მაინც ვიტყვი – მიუხედავად იმისა, რომ შეგირდებში ბოლომდე დარწმუნებული ვარ, "ბოლონიასთან" ქულების დაკარგვას მოველოდი. დიახ, ასეთი წინათგრძნობა მქონდა, რომელიც არავისთვის გამიმხელია. ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს სამუშაო იმისთვის, რომ ყველა თამაში სტაბილურად მაღალ დონეზე ჩავატაროთ. ეს ყველამ კარგად უნდა გააცნობიეროს, კლუბის მესვეურებით დაწყებული, გულშემატკივრებით დამთავრებული. ჯერ კიდევ გუნდის შენების პროცესში ვართ და ასეთ დროს, შეცდომებისგან და ზღვეული არავინაა. სიმართლე გითხრათ, ჩემი მუშაობის რეალურ ნაყოფს სეზონის მეორე ნახევრიდან ველოდები".

ისევ კიევი

უკვე მერამდენედ ხდება, რომ "ნაპოლის" წარმატებულ ასპარეზობას "კიევი" აჩერებს - გუნდი, რომლის პროგრამა მაქსიმუმი ელიტარულ დივიზიონში ადგილის შენარჩუნებაა. სტატისტიკის მოყვანით ნამდვილად არ გადაგღლით, მხოლოდ იმას დავძენთ, რომ ნეაპოლელებს ძალიან უჭირთ ვერონელებთან თამაში, განსაკუთრებით ცუდი შედეგები კი გასვლით პაექრობებში აქვთ. ამჯერადაც, "კიევომ" დაამარცხა "ნაპოლი", რის შემდეგაც სამხრეთელთა თავკაც **ვალტერ მაძარის** კრიტიკა დაატყდა თავს.

სენიორ ვალტერმა რატომღაც ძირითადი შემადგენლობის ხუთი-ექვსი ფეხბურთელი დაასვენა და "კიევოს" ნახევრად ექსპერიმენტული შემადგენლობა დაუპირისპირა. თავად განსაჯეთ, ძირითად შემადგენლობაში არც **ესეკილ ლავეცი** იყო, არც **მარეკ ჰამშიკი** და არც **ედინსონ კავანი**. სამაგიეროდ, ითამაშეს **ჯუზეპე მასკარამ** და **გორან პანდევმა**, რამაც შედეგი ვერ გამოიღო. თუ რატომ მოიქცა ასე მაძარი, ამას თავად ახსნის:

"ძნელია ყველა გადაწყვეტილებაზე კომენტარი გააკეთო, შემადგენლობა გადავახალისე იმიტომ, რომ ასე ჩავთვალე საჭიროდ. სეზონი გრძელია და რთული, ფეხბურთელებმა ძალები უნდა დაზოგონ, ამიტომ, როტაცია ჩვეულებრივი ამბავია".

ბერგამოული სიურპრიზი

სანამ მილანური "ნერაძური" ღრმა კრიზისშია ჩაფლული, ბერგამოული თამაშს თამაშზე იგებს და საყოველთაო ყურადღების ცენტრშია მოქცეული. რომ არა ჩამოკლებული ექვსი ქულა, "ატალანტა" სატურნირო ცხრილის სათავეში იქნებოდა და 1-4 ადგილებს "ჯენოასთან", "იუვენტუსთან" და "უდინეზესთან" ერთად გაიყოფდა. "ატალანტასგან" ასეთ სტრატს არავინ ელოდა, გუნდმა სამ ტურში მოახერხა მინუს ქულებიდან ამოძრომა და თუ ასე გააგრძელა, ძალიან მალე გადაინაცვლებს ცხრილის ზედა ნაწილში. ოთხშაბათს, ბერგამოელებმა "ლეჩე" დაამარცხეს გასვლაზე, შეხვედრის მთავარი გმირი კი დუბლის ავტორი **ხერმან დენისი** გახლავთ, რომელმაც "გაძეტა დელო სპორტს" შემდეგი განუცხადა:

"გინდ დაიჯერეთ, გინდ არა – ქულების ჩამოკლებამ და მკაცრმა სასჯელმა მოტივაცია გაგვიორმაგა. გვსურს დავუმტკიცოთ ყველას, რომ სერია A-ს საგზური გუნდმა არა ჩაწყობილი თამაშებით, არამედ ჯანსაღი ბრძოლით მოიპოვა. დარწმუნებული ვარ, რომ წარმატებულ სვლას გავაგრძელებთ და როგორც მინიმუმ, ელიტაში ადგილის შენარჩუნება არ გაგვიჭირდება".

რომა-სიენა 1:1

რომა (4-3-3): ლობონტი – პეროტა (74. სისინიო), კიაერი, ბურდისო, ხოსე ანხელი – პიზარო (46. გაგო), დე როსი, პიანიჩი – ოსვალდო, ტოტი, ბორიელო (66. ბორინი).

სიენა (4-4-2): ბრეიჩი – ვიტიელო, კონტინი, პეზოლი, დელ გროსო (74. როსი) – ვერგასოლა, ბოლცონი, ანჯელო (46. გონსალესი), გროსი (63. ტერეი) – კალაიო, ბრიეფცა.

გოლები: 1:0 ოსვალდო (25), 1:1 ვიტიელო (88).

გაფრთხილება: ბურდისო - როსი.

კუთხური: 6-4; **ჯარიმა**: 7-10; **თამაშგარე**: 0-7; **კარში დარტყმა**: 11-9(6-4); **ბურთის ფლობა**: 66%-34%.

მაყურებელი: 40 000

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ჯენოა	3	2	1	0	7-3	7
2. უდინეზე	3	2	1	0	5-1	7
3. იუვენტუსი	3	2	1	0	6-2	7
4. ფიორენტინა	3	2	0	1	5-2	6
5. ნაპოლი	3	2	0	1	6-3	6
6. კალიარი	3	2	0	1	6-5	6
7. პალერმო	3	2	0	1	7-6	6
8. ნოვარა	3	1	1	1	6-5	4
9. კიევო	3	1	1	1	4-4	4
10. ლაციო	3	1	1	1	5-5	4
11. კატანია	3	1	1	1	1-3	4
12. ლეჩე	3	1	0	2	3-4	3
13. პარმა	3	1	0	2	3-8	3
14. რომა	3	0	2	1	2-3	2
15. სიენა	3	0	2	1	1-2	2
16. მილანი	3	0	2	1	4-6	2
17. ატალანტა	3	2	1	0	5-3	1
18. ინტერი	3	0	1	2	4-7	1
19. ბოლონია	3	0	1	2	1-5	1
20. ჩეზენა	3	0	0	3	2-6	0

ატალანტა - 6 ქულა

მომდევნო ტური

24 სექტემბერი: ბოლონია-ინტერი, მილანი-ჩეზენა, ნაპოლი-ფიორენტინა; **25 სექტემბერი:** კიევო-ჯენოა, ატალანტა-ნოვარა, კალიარი-უდინეზე, კატანია-იუვენტუსი, ლაციო-პალერმო, სიენა-ლეჩე, პარმა-რომა.

ბომბარდირები:

3 – კავანი (ნაპოლი), მიკოლი (პალერმო), ჯოვინკო (პარმა), დენისი (ატალანტა), დი ნატალე (უდინეზე).

ლაშა ნიკლაური

● ვუნდერკინდი ერთვნული ბიბლიოთეკა

მარიო გიოტცე

მორიგი შეჯვარება გიოტცეზე

რუმენიგე: მარიო ფანტასტიკური ფეხბურთელია!

როგორც ჩანს, მიუნხენის „ბაიერნის" ხელმძღვანელებმა დორტმუნდის „ბორუსიას" ვუნდერკინდ **მარიო გიოტცეზე** ფიქრი ძალიან სერიოზულად დაიწყეს, რადგან რეკორდმაისტერის პრეზიდენტ **ული ჰაინესის** შემდეგ, რომელსაც დორტმუნდული კლუბის ბოსებმა ლამის გიოტცეს სახელის ხსენება აუკრძალეს, გერმანული ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავის ქებას „ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგეც** მოჰყვა.

„მარიო გიოტცე ფანტასტიკური ფეხბურთელია, რომელიც ნებისმიერ გუნდს დაამშვენებდა, მათ შორის, რა თქმა უნდა, „ბაიერნსაც". შეუძლებელია, უყურო ამ ბიჭის თამაშს, დააკვირდე მის ასაკს, შეაფასო გიოტცეს სამომავლო პერსპექტივა და არ იფიქრო მის გადმობირებაზე. საუკეთესო გერმანელი ფეხბურთელები გერმანიის საუკეთესო კლუბში უნდა თამაშობდნენ და მე იმედი მაქვს, რომ გიოტცეს ერთხელაც „ბაიერნის" ფორმაში გამონყობილს ვიხილავ", - აცხადებს რუმენიგე „შპორტ ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

ამას წინათ, მარიოს გადაბირების სურვილი ჰაინესმაც არ დამალა და ისიც თქვა, როცა „დორტმუნდთან" მისი კონტრაქტის ამონურვის დრო მოახლოვდება, ტრანსფერზე აუცილებლად ვიფიქრებთო, რაზეც „ბორუსიას" ხელმძღვანელებს მძაფრი რეაქცია ჰქონდათ. თუმცა ჰაინესი აგრძელებდა, არაერთი შემთხვევა მახსოვს, როცა ამა თუ იმ ფეხბურთელს ჩვენთან გუნდი არ უშვებდა, ან თვითონ ამბობდა, „ბაიერნში" გადასვლა არ მინდაო, მაგრამ ბოლოს თითქმის ყველანი ჩვენთან აღმოჩნდნენო.

19 წლის მარიო გიოტცეს „ბორუსიასთან" კონტრაქტი 2014 წლამდე აქვს გაფორმებული, „შავ-ყვითლების" მენეჯერი **ჰანს-იოახიმ ვატცკე** კი თითქმის ყოველდღე იმეორებს, ჯერ ერთი, მარიოს გაშვებას არ ვაპირებთ და თუ მას ოდესმე მაინც შეველევით, „ბაიერნს" ნაღდად არ დავუთმობთო.

რუმენიგეს ვატცკეს ამ განცხადებაზე თავისი მოსაზრება აქვს: „ნებისმიერ ტრანსფერში სამი მხარეა ჩართული, რაც იმას ნიშნავს, რომ გადაწყვეტილების მისაღებად ორი მხარის თანხმობაც საკმარისია. ვნახოთ, რას იტყვის გიოტცე, როცა ამის დრო მოვა."

ეს ყველაფერი იმას ჰგავს, რომ „ბაიერნმა" გიოტცესთვის ბრძოლა უკვე დაიწყო. რაც ყველაზე საინტერესოა, თვითონ მარიო ჯერჯერობით დუმს.

გოტფრიდ ლენცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● შალკე

შალკეს შოკი: რალფი გადაიწვა და წავიდა!



ლევან ყენიას გუნდის ექიმი: რანგნიკი გადაღლილი და გადამწვარია, მას მუშაობის გაგრძელება აღარ შეეძლო

რალფ რანგნიკმა შალკე გადაღლილობის გამო დატოვა

გუშინ გელზენკირხენიდან ინფორმაცია გავრცელდა, არა მარტო ეს ქალაქი, არამედ მთელი საფეხბურთო გერმანია შოკში ჩააგდო: „შალკეს“ მთავარი მწვრთნელი **რალფ რანგნიკი** ყველასათვის მოულოდნელად თანამდებობიდან გადადგა. შოკისმომგვრელი კი ის არის, რომ 53 წლის სპეციალისტს ე.წ. *Burn Out*-სინდრომი სჭირს – ანუ იმდენად გადაღლილი და გადამწვარია, რომ კლუბის გაწვრთნა აღარ შეუძლია.

ცხადია, რანგნიკმა თავის გადაწყვეტილებას დეტალური ახსნა-განმარტებაც მოაყოლა, რომელიც გუშინ გელზენკირხენული კლუბის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა და ასე ყღერს: *„საკმაოდ ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ იმ დასკვნამდე მივედი, რომ სასწრაფოდ პაუზა მჭირდება. გადაწყვეტილებას ასეთ დროს და ამ სიტუაციაში მიღება ძალიან გამიჭირდა, რადგან სეზონი ახლახან დაიწყო, ჩვენ კი ძალიან სერიოზული გეგმები გვქონდა, მაგრამ ენერგიისგან იმდენად ვარ დაცლილი, პოსტზე რომც დავრჩე, დარწმუნებული ვარ, ბევრი არაფერი გამომივა. ასე რომ, ამ ნაბიჯს არა მარტო ჩემი, არამედ გუნდის ინტერესებიდან გამომდინარეც ვდგამ. ფეხბურთელებს, ხელმძღვანელებს, გულშემატკივრებს და საერთოდ მთელ კოლექტივს წარმატებებს ვუსურვებ. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ მომხდარის გამო ძალიან ვწუხვარ.“*

„პროფესორ რალფის“ ამბავმა შოკში პირველ რიგში კლუბის ხელმძღვანელები ჩააგდო – ისინი რანგნიკის მუშაობით ხომ ძალიან კმაყოფილები იყვნენ. რალფის ჯანმრთელობის პრობლემების გამო კი მთელი გერმანია შეწუხდა. გუშინვე, „შალკეს“ მთავარმა ექიმმა **ტორსტენ რარეკმა** სპეციალური პრეს-კონფერენცია გამართა, სადაც რანგნიკის მდგომარეობაზე ისაუბრა.

„დღეს ასეთი შემთხვევები ძალიან გახშირდა, რადგან ადამიანები სამსახურებში უკვე დასაშვებზე მეტად იტვირთებიან. Burn Out-სინდრომი ავადმყოფობა არ არის, მაგრამ შესაძლოა, სერიოზული ავადმყოფობა გამოინვიოს – იმდენად სერიოზული, რომ ადამიანის ფსიქიკას და ზოგადად სიცოცხლესაც კი შეიძლება საფრთხე დაემუქროს. რალფ რანგნიკი ძალიან გადაღლილი, ფაქტობრივად გადამწვარია და მუშაობის გაგრძელება აღარ შეუძლია. მახსენდება ჯოვანი ტრაპატონის სიტყვები, რომელმაც „ბაიერნში“ მუშაობისას „დაცარიელებული ბოთლი“ ახსენა – რანგნიკის შემთხვევაში სწორედ ასეა!“ - განაცხადა დოქტორმა რარეკმა.

ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, რალფმა „შალკეს“ ხელმძღვანელებს თავისი მდგომარეობის შესახებ ოთხშაბათს საღამოს შეატყობინა. რალფის ზუსტი დიაგნოზი ასე ყღერს: „ვეგეტატიური გადაღლილობის სინდრომი“. რარეკმა პრეს-კონფერენციაზე საუბრისას გელზენკირხენული კლუბის ან უკვე ყოფილი მწვრთნელის მდგომარეობა იმ ფეხბურთელის მდგომარეობას შეადარა, რომელსაც ვარჯიშებზე ზედმეტად დატვირთავენ, რის გამოც ფეხბურთის თამაშს რაღაც დროის განმავლობაში ვეღარ შეძლებს. რარეკის თქმით, გარკვეული პაუზის შემდეგ, პროფესორი რალფი სამწვრთნელო საქმიანობაში დაბრუნებას შეძლებს.

„ფეხებქვეშ მიწა გამოგვეცალა! რალფს ვერაფერს ვატყობდით და ფაქტია, რომ თვითონაც ბოლომდე იბრძოლა. სანამ გადაღლილობამ ბოლო არ მოუღო, არ დანებდა, რის გამოც ჩვენ დღეს ცარიელი ხელებით ვდგავართ. რამე რომ გვეგუმანა, ამ ამბავს მომზადებულები შევხვდებოდით, ახლა კი უმწვრთნელოდ დარჩენას აბსოლუტურად მოუმზადებლები ვხვდებით. თამამად ვიტყვი, რომ შოკში ვართ. ვიმედოვნებ, რომ რალფ რანგნიკი მალე მომჯობინდება და საქმეს, რომელიც ასე კარგად გამოსდის, მალე დაუბრუნდება“, - ეს „შალკეს“ მენეჯერ **ჰორსტ ჰელდტის** სიტყვებია, „ხუმარების“ ბოსი **კლემენს ტიონიესი** კი ამბობს, მეც ვერაფერს ვამჩნევდი და კიდევ კარგი, რომ გადაღლილობა დროზე გაამხილა, თორემ რობერტ ენკეს ტრაგიკული შემთხვევის შემდეგ ყველამ ვიცით, რაოდენ საშიშია ასეთი ავადმყოფობებიო. არა, რანგნის დეპრესიები არ აქვს, მაგრამ *Burn Out*-დან დეპრესიამდე ერთი ნაბიჯია!

„რანგნიკის შემთხვევამ ჩამაფიქრა. რალფს დიდი ხანია ვიცნობ და ჩემი აზრით, ჩემი ერთ-ერთი ყველაზე ენერგიული კოლეგაა. იმედი მაქვს, რომ მალე გამოჯანმრთელდება და თავის საქმეს დაუბრუნდება, რადგან ფაქტია, რომ რანგნიკი ბუნდესლიგას ძალიან დააკლდება. ზოგადად, მწვრთნელები მართლაც უმძიმესი ნწეხის ქვეშ ვართ მოქცეულები, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ეს მარტო მწვრთნელებს არ გვეხება. სხვა ადამიანებიც მუდმივად საკმაოდ მძიმე ზეწოლის ქვეშ არიან“, - ასეთია დორტმუნდის „ბორუსიას“ მთავარი მწვრთნელის, **იურგენ კლოპის** კომენტარი.

ცხადია, ძალიან საინტერესოა ისიც, თუ ვინ შეცვლის რანგნიკს „შალკეში“. კლუბის შეფებს ამ საკითხზე სერიოზულად დაფიქრების დრო პირველად გუშინ მიეცათ და ცხადია, კანდიდატები პრესაშიც კი არ დასახელებულა. ტიონიესის თქმით, „შალკეს“ ხელმძღვანელები შექმნილი ვითარებიდან არა სწრაფ, არამედ საუკეთესო გამოსავალს იპოვიან.

რანგნიკი შეგირდებს გუშინ დილას დაემშვიდობა, დღის განმავლობაში კი გუნდი მისმა ასისტენტებმა **მარკუს გისდოლმა** და **ზეპო აიხკორნმა** ავარჯიშეს. შეფების გადაწყვეტილებით, სწორედ აიხკორნი იქნება ის კაცი, ვინც „შალკეს“ შაბათს, „ფრაიბურგთან“ კალენდარულ მატჩში უთავკაცებს.

აღსანიშნავია, რომ რალფ რანგნიკი ჯერ კიდევ „ჰოფენჰაიმიდან“ წამოსვლის შემდეგ ამბობდა, ხანგრძლივი პაუზა მჭირდებაო, მაგრამ მერე, როცა მისი გადაბირებით „შალკე“ დაინტერესდა, გელზენკირხენული კლუბის შეფებთან მოლაპარაკებები მაინც წამოიწყო და ბოლოს მათ წინადადებას დათანხმდა. „პროფესორმა რალფმა“ ლევან ყენიას გუნდი წინა სეზონის მიწურულს ჩაიბარა, სადაც გათავისუფლებული **ფელიქს მაგათი** შეცვალა. რანგნიკმა გუნდს გერმანიის თასი მოაგებინა და ბუნდესლიგაში ადგილი შეუნარჩუნა – გეხსომებათ, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალისტ „შალკეს“ სეზონის ბოლოს ყველასათვის მოულოდნელად, მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხე ემუქრებოდა.

რალფ რანგნიკის სამწვრთნელო კარიერა ასე გამოიყურება: პროფესორი თავიდან „ულმს“ ავარჯიშებდა, რის შემდეგაც „შტუტგარტში“ გადაინაცვლა, სადაც 1999-დან 2001 წლის თებერვლამდე იმუშავა. მერე იყო „ჰანოვერი“ (2001-დან 2004 წლის მარტამდე), „შალკე“ (2004 წლის სექტემბრიდან 2005 წლამდე), „ჰოფენჰაიმი“ (2006 წლის ივნისიდან 2011 წლის იანვრამდე) და ბოლოს ისევ „შალკე“.

● ჰამბურგი

სამი უარის შემდეგ...

ჰუუბ სტევენსი პირველი კანდიდატია!

დაბრუნდება ჰუუბ სტევენსი ჰამბურგში?

თუკი „შალკეს“ ხელმძღვანელებმა ახალი მწვრთნელის ძებნა გუშინ დაიწყეს, „ჰამბურგის“ ბოსები ამ საქმეს კვირის შემდეგ შეუდგნენ და მართალია, უკვე საკმაოდ შორს არიან წასულები, თუმცა ახალი მწვრთნელი ჯერაც არ წარუდგენიათ. გუშინ ჩრდილოგერმანული კლუბის ბოსებმა სამი სასურველი სპეციალისტისგან უარი მიიღეს.

პირველმა, HSV-სთან მოლაპარაკებებზე უარი 47 წლის **მიქაელ ლაუდრუპმა** განაცხადა. ეს უკანასკნელი ჩრდილოგერმანული კლუბის სპორტული დირექტორის, **ფრანკ არნესენის** მეგობარია, მაგრამ ამ უკანასკნელმა ლეგენდარული დანიელი მოთამაშის დათანხმება ვერ მოახერხა. „ჰამბურგის“ განვრთნა იუარა კიდევ ერთმა დანიელმა, 62 წლის **მორტენ ოლსენმაც**, რომელიც ეროვნულ ნაკრებს უდგას სათავეში. ჰამბურგელებს მისთვის დანიის ნაკრებიდან ნამოსვლა არ მოუთხოვიათ: ორივე პოსტზე ერთდროულად მუშაობა შესთავაზეს, მაგრამ ოლსენმა მაინც უარი შეუთვალა, რადგან დანიის ნაკრებისთვის ყურადღების მოკლება არ სურს. არადა, არნესენს მისი დანიშვნა ძალიან უნდოდა. შეგახსენებთ, რომ როცა ეს უკანასკნელი ლონდონის „ჩელსის“ სპორტული დირექტორი იყო, მთავარ მწვრთნელად **გუუს ჰიდინკიც** ისე დანიშნა, რომ ამ უკანასკნელს რუსეთის ნაკრები არ მიუტოვებია.

გერმანულ პრესაში „ჰამბურგთან“ მიმართებაში **ლოთარ მათეუსის** ვვარამაც გაიყღერა, რომელიც რამდენიმე დღის წინ ბულგარეთის ნაკრების დამრიგებლის თანამდებობიდან გაათავისუფლეს და ახლა უმუშევარია. გერმანიის ნაკრების რეკორდსმენისთვის „ჰამბურგის“ გაწვრთნა არავის შეუთავაზებია, HSV-ს შეფებმა თვითონ უარყვეს გავრცელებული ცნობა იმის შესახებ, თითქოს მათეუსით იყვნენ დაინტერესებულები. არნესენმა თქვა, ლოთარზე არც კი ვფიქრობთო.

„ბილდის“ ინფორმაციით, ამ ყველაფრის შემდეგ, „ჰამბურგში“ დანიშვნის მთავარი კანდიდატი ახლა 57 წლის **ჰუუბ სტევენსია**, რომელიც ჩრდილოგერმანულ კლუბს ძალიან კარგად იცნობს. სტევენსი აპრილამდე ავსტრიაში, კერძოდ ზალცბურგში მუშაობდა, საიდანაც გაათავისუფლეს და ახლა უმუშევარია. აღსანიშნავია, რომ „ჰამბურგის“ გულშემატკივრების უმრავლესობა სწორედ სტევენსის დანიშვნას ემხრობა – „ბილდის“ გამოკითხვაში, კანდიდატებს შორის ყველაზე მეტი ხმა სწორედ ჰუუბმა მიიღო (65%).

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

ინგლისური და რუსული ენების შემსწავლელი ცენტრი FutureWorld გთავაზობთ:

- ენების შესწავლა ჯგუფურად და ინდივიდუალურად!
- მოსამზადებელი კურსები PET, FCE, CAE, CPE, IEILTS, TOEFL.
- საბავშვო საერთაშორისო Helen O'Grady ინგლისური ენის დრამნრე.
- საზაფხულო საერთაშორისო ბანაკები ევროპაში.
- აბიტურიენტების მომზადება ეროვნული გამოცდებისათვის.
- სტუდია სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის
- კურსდამთავრებულთათვის გაიცემა შესაბამისი სერთიფიკატი.

FutureWorld

ჩვენი მისამართია:
თბილისი, საბურთალო,
მიცკევიჩის ქ. 17, ბ. 10
238-22-96, 599-53-61-96
www.futureworld.ge

lariwin.com
the better way to play

მეტი, ვიდრე თამაში

რეპორტაჟების სპონსორია ონლაინ კაზინო „ლარიბეტი"

ერეკვნული ბასკეტბოლი

ლელოს სპეციალური კორესპონდენტი ბესიკ ჯანგავაძე მასტერტონიდან

● რაგბი. მეტოქეები

რუმინელები ძალებს ზოგავენ, მთავარი მაჯრი ოთხშაბათსაა

ხვალ დანიდინში, "ოტაგო სთედიუმზე" საქართველოს ნაკრების მორიგი მეტოქე, რუმინეთის ეროვნული გუნდი ჯგუფის ლიდერს, ინგლისის ნაკრებს დაუპირისპირდება.

რუმინელთა თავკაცმა, წარსულში ამ ნაკრების შუამარბმა **რომეო გონტინიაკმა,** ბევრი იფიქრა თუ ცოტა, "პომების" წინააღმდეგ სათამაშოდ სათადარიგო შემადგენლობა გამოიყვანა. "სტეჟარის" მწვრთნელთა შტაბმა ძირითადი გუნდიდან სასტარტო შემადგენლობაში მხოლოდ ოთხი მორაგბე შეიყვანა.

სათადარიგოთა შორის იქნება გუნდის კაპიტანი, შერკინების კვაჭი **მარიუს ტინკუ.** მის ნაცვლად "სტეჟარის" მოედანზე მეორეხაზელი **კრისტიან პეტრე** უხელმძღვანელებს.

22-კაციან შემადგენლობაში არ არის მგეზავი **იონუც დიმოფტე,** მისი ადგილი **დანუც დუმბრავამ** დაიკავა, რომელიც წინა ორ შეხვედრაში სათადარიგოთა შორის იყო.

განვლილ ორ შეხვედრაში გარემარბად ითამაშა **იონელ კაზანმა,** რომელიც ამჯერად შუამარბად გაირჯება. მას პარტნიორობას ძირითადის კიდევ ერთი მორაგბე იულიან **დუმიტრაში** გაუწევს, რომელიც სათამაშო ამპლუით ფულბეკია. ამ პოზიციას აქამდე თადარიგში მყოფი **ფლორინ ვლაიკუ** დაიკავებს.

შემადგენლობაში 11 ცვლილების განხორციელება გვაფიქრებინებს, რომ "მუხის ფოთლები" გონებით უკვე საქართველოს ნაკრებთან მატჩში არიან. მათთვის "ბორჯლალოსნებთან" თამაში ამ ტურნირზე ბოლო იქნება და, ცხადია, მთელი ძალებით შეგვებრძოლებიან.

თუმცა გონტინიაკს მიაჩნია, რომ მან ისეთი შემადგენლობა შეარჩია, რომელსაც ინგლისელებისთვის ბევრი პრობლემის შექმნა შეუძლია.

"ინგლისის ნაკრებთან ბევრი ახალგაზრდა მორაგბე ითამაშებს. ჩვენ მათ ვენდობოდით მსოფლიოს თასის დაწყებამდე და ვენდობით ახლაც.

წინა ორი მატჩი თითქმის ერთი შემადგენლობით ვითამაშეთ. ახლა გვინდა, თავის გამოჩენის საშუალება სხვებსაც მივცეთ. გვინდა, რომ ყველამ მიიღოს სიამოვნება მსოფლიოს თასზე ასპარეზობით, თანაც, წინა შეხვედრაში არგენტინასთან, გუნდის თამაშით კმაყოფილი არ ვიყავით" – თქვა რომეო გონტინიაკმა.

რუმინეთის ნაკრები: 15. ფლორინ ვლაიკუ, 14. სტეფან ჩუნტუ, 13. იონელ კაზანი, 12. იულიან დუმიტრაში, 11. ადრიან აპოსტოლი, 10. დანუც დუმბრავა, 9. ლუჩიან სირბუ. 1. ნიკოლაე ნერე, 2. ბოგდან ზებეგა, 3. სილვიუ ფლორეა, 4. ვალენტინე პოპარლანი, 5. კრისტიან პეტრე, 6. სტელიან ბურეა, 7. კოზმინ რატიუ, 8. ოვიდიუ ტონიცა.

16. მარიუს ტინკუ, 17. პაულიკა იონი, 18. მიჰაი მაკოვეი, 19. Gაბრიელ იანუსი, 20. ვალენტინ კალაფეტეანუ, 21. ჩაბა გალი, 22. კატალინ ნიკოლაე.

ცვლილებებს მარტინ ჯონსონმაც მიმართა

ცვლილებებს ვერც ინგლისის ეროვნული გუნდი გადაურჩა. "პომების" თავკაცი, **მარტინ ჯონსონი** საქართველოს ნაკრებთან მატჩში თავისი შეგირდების გარჯით უკმაყოფილო იყო. ამიტომ მან რუმინეთთან შეხვედრისთვის რამდენიმე ცვლილება განახორციელა.

უკანა ხაზიდან ძირითად შემადგენლობაში ადგილი მხოლოდ ოთხმა შეინარჩუნა, ესენია **ბენ ფოდენი, კრის ეშტონი, მანუ ტუილაგი** და **ბენ იანგზი.** ჯონსონმა შუამარბად **მაიკ თინდოლი** დააბრუნა, რომელიც ერთი კვირის წინათ ქვინზთაუნში სკანდალში გაეხვია და საქართველოს ნაკრებთან არ უთამაშია. როგორც ადგილობრივი მედია იუწყება, მისი მეუღლე, ინგლისის დედოფლის შვილიშვილი, **ზარა ფილიპსი** ოქლენდში ჩავიდა და ხვალ დანიდინს ესტუმრება. ცხადია, ზარას თავისი მოღალატე ქმრის თამაშის თვალდათვალ ნახვა სწადია.

რუმინელებთან გუნდს ისევ **ჯონი ვილკინსონი** დაგეზავს, **ტობი ფლუდმა** კი კვლავ სათადარიგოთა შორის გადაინაცვლა. გარემარბი **დელონ არმითიჯი** კი **მარკ კუეტომ** შეცვალა.

პირველ ხაზში ორი ცვლილებაა, რუმინელებს **ალექს კორბშეირო** და **სტივ ტომსონი დაუპირისპირდებიან.** თადარიგში მყოფ **ლი მეარსს** და **დევიდ ვილსონს** კი ამ მსოფლიოს თასზე პირველად მიეცემათ თამაშის საშუალება.

ინგლისის ნაკრები: 15. ბენ ფოდენი, 14. კრის ეშტონი, 13. მანუ ტუილაგი, 12. მაიკ თინდოლი, 11. მარკ კუეტო, 10. ჯონი ვილკინსონი, 9. ბენ იანგზი. 1. ალექს კორბშეირო, 2. სტივ ტომსონი, 3. დენ კოლი, 4. ლუის დიკონი, 5. ტომ პალმერი, 6. ტომ კროფტი, 7. ლუის მუდი, 8. ჯეიმზ ჰესკელი.

16. ლი მეარსი, 17. დევიდ ვილსონი, 18. საიმონ შოუ, 19. ტომ ვუდი, 20. რიჩარდ ვაიგსლვორსი, 21. ტობი ფლუდი, 22. დელონ არმითიჯი.

სკოტები გადამწყვეტი ბრძოლისთვის მზად არიან

კვირას, 25 სექტემბერს ჯგუფში, რომელშიც საქართველოს ნაკრები ასპარეზობს, შეიძლება ითქვას, რომ გადამწყვეტი ორთაბრძოლა შედგება. ველინგტონში ერთმანეთს არგენტინისა და შოტლანდიის ნაკრებები დაუპირისპირდებიან. თუ თამაშს "სკოტები" მოიგებენ, მეოთხედფინალის საგზურს მოიპოვებენ, თუ არა და, არგენტინას პლეი ოფში გასასვლელად კიდევ დასჭირდება ერთი გამარჯვების მოპოვება 2 ოქტომბერს საქართველოს ნაკრებთან მატჩში.

ცხადია, "ნარშავების" მთავარმა მწვრთნელმა **ენდი რობინსონმა** "პუმებთან" საბრძოლველად საუკეთესოები შეარჩია.

"ისეთი მორაგბეები შევარჩიე, რომლებსაც არგენტინის ნაკრების დამარცხება რეალურად ხელეწიფებათ. ამ შეხვედრას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს და, ცხადია, მთელი სერიოზულობით ვეკიდებით.

2007 წლის მსოფლიოს თასის შემდეგ "პუმებს" ხუთჯერ ვეთამაშეთ. კარგად ვიცნობთ ერთმანეთს, შარშან ბუენოს აირესში ზედიზედ ორჯერ დავამარცხეთ კიდეც, თუმცა მათი ამჟამინდელი ნაკრები იმდროინდელზე ბევრად უკეთესია" – თქვა ენდი რობინსონმა.

შოტლანდიის ნაკრები: 15. კრის პატერსონი, 14. მაქსი ევანსი, 13. ნიკ დე ლუკა, 12. გრეგ მორისონი, 11. შონ ლამონტი, 10. რუარიდ ჯეკსონი, 9. რორი ლაუსონი. 1. ალან იაკობსენი, 2. სკოტ ლაუსონი, 3. ჯოფ გროსი, 4. რიჩი გრეი, 5. ჯიმი ჰამილტონი, 6. ალასდაირ სტროკოში, 7. ჯონ ბარკლი, 8. კელი ბრაუნი.

16. დაგ ჰალი, 17. ალასდაირ დიკინსონი, 18. ნათან ჰაინსი, 19. რიჩი ვერნონი, 20. მაიკ ბლერი, 21. დენ პარქსი, 22. საიმონ დანიელი.

რუმინგულ კავშირს უზრუნველყოფს GOODLINE

რუბრიკა

● მსოფლიოს თასი

ბორჯღალოსნების მხარდამჭერი აღლუმი მასტერტონში

საქართველოს ნაკრები ახალი ზელანდიის ჩრდილოეთ კუნძულის პატარა სამხრეთ ქალაქში უკვე მეოთხე დღეა იმყოფება. მასტერტონელები "ბორჯღალოსნების" გაოცებას განაგრძობენ. ადგილობრივები ჩვენს ბიჭებს, დიდი სითბოთი და სიყვარულით მასპინძლობენ.

გუშინ კი სულაც მასტერტონის ცენტრალური ქუჩა, ქუინზ სტრიტი გადაკეტეს და საქართველოს ნაკრების პატივსაცემად აღლუმი გამართეს. ადგილობრივებმა ქალაქის მთავარ ქუჩაზე საქართველოს დროშებით მორთული მანქანებით ჩაიარეს, მათ მასტერტონის სარაგბო და საჯარო სკოლების მოსწავლეები მიჰყვნენ.

მოსახლეობა უკლებლივ ქუინზ სტრიტზე შეკრებილიყო. აქვე იყო ქალაქის ეროვნული საკრავების ორკესტრი, რომელმაც ჩვენი გუნდის გამოჩენაზე "სკოტური მარში" დაუკრა. "ბორჯღალოსნები", ისევე როგორც წინა დღეს, ეროვნული სამზარეულოს წარდგენისას, ამჯერადაც ქართულ ჩოხებში წარსდგნენ მასტერტონული პუბლიკის წინაშე. მათმა გამოჩენამ აქაურებზე უდიდესი ეფექტი მოახდინა.

მთელი აღლუმის განმავლობაში მოსახლეობა საქართველო, საქართველოს გაიძახოდა. აქ იყო ყველა - დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა. ყველას უხაროდა, ყველა ბედნიერი იყო, რომ მათ პატარა ქალაქში პატარა ქვეყნის დიდი გუნდი სტუმრობდა. ყველა წარმატებას გვისურვებდა დარჩენილ ორ მატჩში და პალმერსტონში მხარდაჭერას გვიპრდებოდა.

"ბორჯღალოსნებმა" ბევრი სხვა გუნდისგან განსხვავებით, ყველა ქალაქში, სადაც კი ფეხი დაადგეს, განსაკუთრებული სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეს. ეს კი ყველაზე კარგად, მასტერტონელებმა გამოამჟღავნეს.

საქართველოს ნაკრები ხვალ, ადგილობრივი დროით 15 საათზე ღია ვარჯიშს გამართავს და მასზე დასწრების უფლება ჟურნალისტებთან ერთად, ნებისმიერ მსურველსაც ექნება.

შეგახსენებთ, რომ "ბორჯღალოსნები" მორიგ შეხვედრას მსოფლიოს თასის გათამაშებაში 28 სექტემბერს, პალმერსტონში რუმინეთის ნაკრებთან გამართავენ.

D ჯგუფი

სამხრეთ აფრიკა-ნამიბია	87:0

საბურნირო მდგომარეობა

1. სამხრეთ აფრიკა – 14 ქულა, 2. სამოა – 6, 3. უელსი – 5, 4. ფიჯი – 5, 5. ამიბია - 0

დღეს

ავსტრალია-აშშ	12:30

ავტორის ფოტოები

ქართული სვეტები

● სუმო. აკი ბაშო. 11-25 სექტემბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს რა შანსი გავუშვით ხელიდან!

გაგამარუს (თეიმურაზ ჯუღელი) რომ მოეგო სექტემბრის ბაშოს დასრულებამდე სამი დღით ადრე, თანალიდერი გახდებოდა, რადგან ზედიზედ 11 გამარჯვების შემდეგ დიდმა ჩემპიონმა **ჰაკუჰომ** მარცხი იწვნია. მონღოლს იაპონელთა იმედმა, სეკივაკე **კისენოსატომ** მოუგო, აგერ უკვე მესამედ ბოლო 9 თვის განმავლობაში!

199-კილოიანი ქართველის მეტოქე სეკივაკე **კოტოშოგიკუ** იყო, რომელიც ჩემპიონობის კანდიდატია. იაპონელი შუბლით ეტაკა მთა-კაცს, ორივე ხელით მისი მავაში მოიგდო და ძლიერი მიწოლით განდევნა რკალიდან ჩვენებური. გაგამარუს ზედიზედ 10-მატჩიანი მოგებათა სერია (რომელიც ქართული რეკორდია) შეწყდა. თეიმურაზს, ისევე როგორც კოტოშოგიკუს და კიდევ ერთ რიგით მაეგაშირას, 10-2 ბალანსი აქვს, ანუ იმპერატორის თასისთვის ბრძოლა კიდევ შეიძლება. საამისოდ გაგამარუმ დღეს გუშინდელი გმირი კისენოსატო უნდა დაამარცხოს.

ტოჩინოშინმა (ლევან გორგაძე) მე-6 გამარჯვება იზეიმა - მისი მეტოქე ბრაზილიელი **კაისეი** იყო, დაჯახებისას ქართველი ოდნავ მარცხნივ გაიწია და ისე იხელთა მეტოქის მავაში, შემდეგ კი უვატენაგეს ილეთით დააგდო თიხნარზე. 6-6 - ბალანსი, ასეთია ქართველის მონაგარი, დღეს მას მნიშვნელოვანი დაპირისპირება მოელის **ტოიოჰიბიკისთან** (4-8).

კოკაიმ (ლევან ცაგურია) **ტოჩინოვაკასთან** წააგო და 8 მოგება დარჩა. „შავი ზღვა" დღეს მონღოლ **კიოკუტენჰოს** (9-3) დაეჭიდება.

XII დღე

კისენოსატო-ჰაკუჰო (კოტენაგე) , კაკურიუ-ბარუტო (უვატედაშინაგე), ჰარუმაფუჯი-ტოჩიოძანი (ოშიდაში), კოტოშოგიკუ-**გაგამარუ** (იორიკირი), არანი-ტაკაკეძე (ჰიკიოტოში), ტოიონოშიმა-იოშიკაძე (სუკუინაგე), ოკინოუმი-ვაკანოსატო (იორიკირი), გოეიდო-ჰომაშო (იორიკირი), ტოკიტენკუ-ფუჯიაზუმა (კეტაგური), **ტოჩინოშინი**-კაისეი (უვატენაგე), მიაბიამა-საგაცუკასა (ცუკიდაში), კიტატაიკი-ვაკაკოიუ (იორიკირი), ამინიშიკი-ტაკაიასუ (ოშიტაოში), ტოჩინოვაკა-**კოკაი** (იორიკირი), შოტენრო-ტოიოჰიბიკი (ოშიდაში), კიოკუტენჰო-ტაკანოიამა (იორიტაოში), ტამავაში-ტოსაიუტაკა (ოშიტაოში), ასასეკირიუ-ტამაასუკა (იორიკირი), ჰოჩიამა-იოშიაზუმა (იორიკირი), დაიდო-კიმურაიამა (ოშიდაში).

საბურნირო მდგომარეობა

11-1: ჰაკუჰო (იოკოძუნა).

10-2: **კოტოშოგიკუ** (სეკივაკე), **კიტატაიკი** (მაეგაშირა 11), **გაგამარუ** (მ 11).

9-3: **კისენოსატო** (სეკივაკე), **კიოკუტენჰო** (მ 10)... 8-4: **კოკაი** (მ 16)... 6-6: **ტოჩინოშინი** (მ 4).

XIII დღე

ჰაკუჰო-კოტოშოგიკუ, ბარუტო-ჰარუმაფუჯი, **გაგამარუ**-კისენოსატო, კაკურიუ-იოშიკაძე, ტოიონოშიმა-ტაკეკაძე, არანი-ტოკიტენკუ, ჰომაშო-კიტატაიკი, ოკინოუმი-ტოჩიოძანი, ვაკანოსატო-ფუჯიაზუმა, **ტოჩინოშინი**-ტოიოჰიბიკი, მიაბიამა-ამინიშიკი, გოეიდო-ასასეკირიუ, ტაკაიასუ-შოტენრო, ვაკაკოიუ-კიმურაიამა, ტოჩინოვაკა-დაიდო, კაისეი-ტაკანოიამა, საგაცუკასა-ტამაასუკა, **კოკაი**-კიოკუტენჰო, იოშიაზუმა-ტოსაიუტაკა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

● ჩოგბურთი

ორი მოგება ამერიკაში

21 წლის **ანა ტატიშვილი** (96) ამერიკულ ალბუკერკში (75 ათასი დოლარი) მსოფლიოს მოწინავე ასეულის ერთადერთი ჩოგბურთელია. ბუნებრივია, ჩვენებური იქ პირველ ნომრად არის განთესილი. ანამ პირველ წრეში 18 წლის პორტუგალიელი ტალანტი **მიშელ ლარშერ დე ბრიტო** (199) დაამარცხა, რომელიც ორი წლის წინათ მსოფლიოს 76-ე ჩოგნობამდე ამაღლდა - 7:6 (4), 6:2. მისი მოწინააღმდეგე ფრანგი **ირენა პავლოვიჩია** (263), რომელსაც ჩვენებურმა შარშან ამერიკის ღია პირველობის კვალიფიკაციაში იოლად აჯობა. წყვილებში ტატიშვილისა და ამერიკელი **ჯეიმი ჰემპტონის** დუეტი უკვე მეოთხედფინალშია.

ნიკოლოზ ნეფარიძე

● ᲡᲣᲞᲔᲠᲚᲘᲒᲐ. ᲨᲡᲚ

რობო კრეპსი და ქართველები

ᲔᲕᲠᲝᲩᲔᲚᲔᲜᲯᲨᲔ მოასპარეზე ქართული კლუბების პარალელურად ძლიერდებიან სუპერლიგის სხვა წარმომადგენლებიც. როგორც შარშან, შსს-ს ხელმძღვანელობამ დროულად ჩამოიყვანა ამერიკელი უკანახაზელი და ჩემპიონატისთვის მზადებას დიდი ხანია შეუდგა.

რობო კრეპსი - ეს გახლავთ ახალგაზრდა, სწრაფი უკანახაზელი, რომელიც შსს-ში სეზონის ბოლომდე ითამაშებს. მის გარდა ძალოვანთა გუნდში მივიდნენ: **ილია ლონდარიძე** (თსუ-დან), **ნოდარ თენიეშვილი** (სამედიცინოდან), **აკაკი დვალიშვილი** (სამედიცინოდან), **აკაკი ლომოური** (სტუ-დან), **მერაბ ბოქოლიშვილი** (აველინოდან, იტალია). ლონდარიძისა და კრეპსის გარდა ოთხივე კალათბურთელი გასულ ზაფხულს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ღირსებას იცავდა. გუნდს კი შსს-ს თავკაცი **დავით უსტიაშვილი** წვრთნიდა.

- ახალი სეზონის წინ რამდენიმე ახალგაზრდა დაგვემატა, რომლებიც შსს-ს სათანადოდ გააძლიერებენ. ისინი მზარდი კალათბურთელები არიან და ვიმედოვნებთ, რომ ამაში ჩემპიონატის მსვლელობისასაც დაგვარწმუნებენ, - გვითხრა გუნდის თავკაცმა დავით უსტიაშვილმა.

მას ამერიკელი ახალწვეულის დახასიათებაც ვთხოვეთ.

- რობო კრეპსი ახალგაზრდა, მონდომებული კალათბურთელია. დიდი ხანი არაა, რაც შემოგვიერთდა და კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. შეუძლია როგორც გამთამაშებლის, ასევე მსროლელის ამპლუაში თამაში.

ახლა მათ შესახებ, ვინც გუნდში გასული სეზონის შემდეგ დარჩა. უკანახაზელთაგან შსს-ს ღირსებას იცავენ **ბექა წივწივაძე, გიორგი ნიკოლაძე** და **ლექსო ლაფანაშვილი**. წინა ხაზში კი ორი გამოცდილი კალათბურთელია - **ჟულიეტ ტუჯანი** და **დავით იმნაძე**. მათ ახალგაზრდა ახალწვეულებიც შეერწყმებიან და მივიღებთ საინტერესო გუნდს.

შსს 14 სექტემბრამდე მეორე მწვრთნელის, **არჩილ ჟღენტის** ხელმძღვანელობით ემზადებოდა, მას მერე კი ევრობასკეტიდან დავით უსტიაშვილი დაბრუნდა და საკლუბო საქმიანობას შეუდგა. გუნდი ამჟამად „დინამოს“ ბაზაზე გადის ათდღიან შეკრებას, რომლის შემდეგაც დუდუ დადიანის მემორიალისთვის მზადებას განაგრძობს.

დავით უსტიაშვილს შსს-ს მიზნებზეც ვკითხეთ.

- ვიბრძოლებთ საპრიზო სამეულისთვის, რაც დიდ შრომას მოითხოვს. თუმცა საამისო რესურსი ჩვენს გუნდს გააჩნია. საერთოდ კი ჩვენი მიზანია თითოეულ მატჩში კარგი, დისციპლინირებული კალათბურთი ვუჩვენოთ და ეტაპობრივად ვიაროთ დასახული მიზნისკენ.

ᲓᲝᲡᲘᲔ
რᲝᲑᲝ ᲙᲠᲔᲞᲡᲘ

ᲤᲝᲠᲡᲐᲘᲗᲘ, ᲘᲚᲘᲜᲝᲘᲡᲘ (ᲐᲨᲨ)
ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲐ: 23.08.1988
ᲡᲘᲛᲐᲦᲚᲔ: 183 სმ.
ᲐᲛᲠᲚᲣᲐ: უკანახაზელი

ᲙᲐᲠᲘᲔᲠᲐ

ᲬᲔᲚᲘ	ᲒᲣᲜᲓᲘ	ᲬᲗ	ᲗᲐᲛ. ᲡᲠ.	%	3Ქ	%	1Ქ	%	Მ	Პ	Დ	Ჩ	Ფ	Შ	Ქ
ᲯᲐᲛᲘ															
2007-08	ᲘᲚᲘᲜᲝᲘᲡᲘ	673	92-189	48.7	49-106	46.2	35-47	745	73	45	1	27	41	40	268
2008-09	ᲘᲚᲘᲜᲝᲘᲡᲘ	1011	132-299	44.1	54-133	40.6	63-75	840	94	47	0	35	39	45	381
2009-10	ᲘᲚᲘᲜᲝᲘᲡᲘ	1070	142-398	35.7	56-187	29.9	116-137	847	116	64	1	42	38	65	456
2010-11	ᲘᲚᲘᲜᲝᲘᲡᲘ	1190	167-400	41.8	71-197	36.0	84-106	792	131	90	2	42	51	76	489
ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝᲓ															
ᲬᲔᲚᲘ	ᲒᲣᲜᲓᲘ	ᲬᲗ	ᲗᲐᲛ. ᲡᲠ.	%	3Ქ	%	1Ქ	%	Მ	Პ	Დ	Ჩ	Ფ	Შ	Ქ
2007-08	ᲘᲚᲘᲜᲝᲘᲡᲘ	20.4	2.8-5.7	48.7	1.5-3.2	46.2	1.1-1.4	74.5	2.2	1.4	0.0	0.8	1.2	1.2	8.1
2008-09	ᲘᲚᲘᲜᲝᲘᲡᲘ	32.6	4.3-9.6	44.1	1.7-4.3	40.6	2.0-2.4	84.0	3.0	1.5	0.0	1.1	1.3	1.5	12.3
2009-10	ᲘᲚᲘᲜᲝᲘᲡᲘ	35.7	4.7-13.3	35.7	1.9-6.2	29.9	3.9-4.6	84.7	3.9	2.1	0.0	1.4	1.3	2.2	15.2
2010-11	ᲘᲚᲘᲜᲝᲘᲡᲘ	38.4	5.4-12.9	41.8	2.3-6.4	36.0	2.7-3.4	79.2	4.2	2.9	0.1	1.4	1.6	2.5	15.8

● ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲢᲠᲐᲜᲡᲤᲔᲠᲘ

...ᲓᲐ ᲚᲐᲒᲣᲜ ᲐᲠᲝ

ᲩᲕᲔᲜᲘ გაზეთის გუშინდელ ნომერში ვწერდით, რომ **გიორგი შერმადინი** კარიერას ბერძნულ „პანათინაიკოსში“ აღარ გააგრძელებს. ისიც გითხარით, რომ მისი გადაბირების სურვილს იტალიური „კანტუ“ და ლატვიური „ვეფ რიგა“ გამოთქვამენ.

გამოჩნდა კიდევ ერთი მსურველი - ესპანური „ლაგუნ არო“. სან-სებასტიანის კლუბში გასულ სეზონში **ნიკა ცქიტიშვილი** თამაშობდა, თუმცა გუნდი ნაადრევად, მარტში დატოვა. „ლაგუნ არო“ ახალ სეზონში ესპანეთის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში იასპარეზებს, რაც გიორგი შერმადინისთვის ურიგო პერსპექტივა ნამდვილად არ არის.

თუმცა ვფიქრობთ, მისთვის უკეთესი იქნება იტალიურ „კანტუში“ გადასვლა. საამისოდ არაერთი მიზეზი არსებობს. დავიწყოთ იქიდან, რომ კანტუელთა ღირსებას მესამე წელია იცავს **მანუჩარ მარკოიშვილი,** რომელიც გუნდის ლიდერად ჩამოყალიბდა. იგი შედარებით ახალგაზრდა შერმადინს გუნდთან ადაპტაციას გაუადვილებს. მეორე მიზეზი მთავარი მწვრთნელი **ანდრეა ტრინჩიერია**. ეს სპეციალისტი გასულ სეზონში იტალიის ჩემპიონატის რეგულარული ეტაპის საუკეთესო მწვრთნელად დასახელდა. როგორც წესი, მის გუნდში თითოეული კალათბურთელი ბოლომდე იხსნება და ამიტომაც აღწევს შედეგს - გასულ ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა. შერმადინსაც სწორედ ასეთი მწვრთნელი სჭირდება.

და მესამე მიზეზი, რატომაც უნდა გადავიდეს გიორგი „კანტუში“ - ევროლიგაა. ტრინჩიერის გუნდი მომავალ სეზონში იტალიის პირველობის პარალელურად ევროლიგაზე იასპარეზებს, სადაც მისი მეტოქეები იქნებიან „ბილბაო“ (ესპანეთი), „კახა ლაბორალი“ (ესპანეთი), „ულქერი“ (თურქეთი), „ნანსი“ (საფრანგეთი) და „ოლიმპიაკოსი“ (საბერძნეთი).

გიორგი შერმადინი ამჟამად ათენშია და „პანათინაიკოსთან“ არკვევს ურთიერთობას. მისი ბედი უახლოეს დღეებში გადაწყდება, იტალიისა და ესპანეთის ჩემპიონატები ხომ ორ კვირაში, 9 ოქტომბერს დაიწყება.

● ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ

მარკოიშვილმა ჩინლანდიას თასი მოიგო

ᲛᲐᲜᲣ ᲝᲗᲮᲘᲗ ᲘᲬᲧᲔᲑᲡ

ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ჩემპიონატის დაწყებამდე გუნდები გამალებით ემზადებიან ახალი სეზონისთვის. ევროპის ჩემპიონატზე მოთამაშე კალათბურთელები კლუბებს ცოტა დაგვიანებით შეუერთდნენ. მათ შორის არიან საქართველოს ნაკრების წევრები. **მანუჩარ მარკოიშვილი** იტალიაში საქართველოდან 18 სექტემბერს ჩავიდა, „კანტუსთან“ რამდენიმე ვარჯიშის ჩატარება მოასწრო და პირველ საკონტროლო მატჩშიც მიიღო მონაწილეობა.

„კანტუ“ „ჩინლანდიას თასისთვის“ მატჩში „მონფერატოს“ დაუპირისპირდა. პირველი ტაიმი თანაბრად წარიმართა და „მონფერატოს“ მინიმალური გამარჯვებით დასრულდა (30:29). მეორე ტაიმი მანუჩარ მარკოიშვილმა ორქულიანით გახსნა, „კანტუ“ 31:30 დაანინაურა და მას მერე ლურჯ-თეთრებს ინიციატივა ხელიდან არ გაუშვიათ. საბოლოოდ 65:58 მანუს თანაგუნდელთა სასარგებლოდ.

ქართველმა უკანახაზელმა მატჩი 4 ქულით დასრულა, ყველაზე მეტი კი ურუგვაელმა **ნიკოლა მაზარინომ** ჩააგდო - 13. საყურადღებოა, რომ მატჩში მონაწილეობა არ მიუღიათ კანტუელთა შარშანდელ ბომბარდირ **ლეუნენსა** და ახალწვეულ **ბაზილეს**.

„კანტუ“ იტალიის ჩემპიონატის პირველ მატჩს კრემონას „ვანოლისთან“ სტუმრად 9 ოქტომბერს ჩაატარებს.

ᲛᲘᲜᲘᲛᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲙᲝᲡᲗᲐᲜ

ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡუმაღლეს ლიგაში წლეულს გადასული „დინამო სისარი“ საკონტროლო შეხვედრებში დამაჯერებელ თამაშს უჩვენებს. შეგახსენებთ, რომ **ნიკა მეტრეველის** თანაგუნდელებმა თურქულ „ბეშიქთაშთან“ და იტალიურ „მილანთან“ ღირსეულად იბრძოლეს, 21 სექტემბერს კი კიდევ ერთ ევროგრანდს დაუდგნენ ვაჟკაცურად: ევროლიგის წარმომადგენელ „ოლიმპიაკოსს“ პირველი ტაიმიც მოუგეს და მეოთხე პერიოდის წინაც ჰქონდათ უპირატესობა, მაგრამ ბოლო რაუნდში ბერძნებმა თამაშის შემოტრიალება მოახერხეს და 62:61 გაიმარჯვეს.

ნიკა მეტრეველი „ოლიმპიაკოსის“ წინააღმდეგ მატჩში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო, მესამე პერიოდში საჯარიმოს ხაზიდან დინამოელები 44:37 დაანინაურა... საბოლოოდ ქართველი ფორვარდის ანგარიშზე 3 ქულა დაფიქსირდა. მეტრეველის თანაგუნდელმა, საქართველოს ნაკრების ყოფილმა კალათბურთელმა **ქუინტონ ჰოსლიმ** 11 ქულა მიითვალა და **ტრევის დიენერთან** ერთად „დინამო სისარის“ თანაბომბარდირი გახდა. მატჩის სნაიპერი კი „ოლიმპიაკოსის“ ამერიკელი ლეგიონერი **კალინ ლუკასი** გახდა - 16 ქულა.

დღეს დინამოელები „კალიარის თასის“ ნახევარფინალს ითამაშებენ. მათი მეტოქე სერბული „პარტიზანი“ იქნება. ტურნირის ფინალი 24 სექტემბერს შედგება.

გᲕᲘᲠᲓᲘ მᲝᲐᲛᲖᲐᲓᲐ
ᲕᲐᲟᲐ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲐ

მეტრეველს ოლიმპიაკოსის დამარცხებამდე ცოტა დააკლდა

ტყვიის სროლა. მსოფლიოს სუპერთასი

მეათე გამარჯვება რეკორდის გასაუმჯობესებლად

ვროცლავში გრძელდება მსოფლიოს სუპერთასის ფინალური ტურნირი ტყვიის სროლაში. ხვალ შეჯიბრება პნევმატური პისტოლეტით სროლაში გაიმართება, რომელშიც ჩვენი სახელოვანი მსროლელი, ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **ნინო სალუქვაძეც** ისასპარეზებს. ამ დისციპლინაში სულ ცხრა მანდილოსანია დაშვებული: სალუქვაძე, ფრანგი ევროპის ჩემპიონი **სელინ გობერვილი** და მისი თანამემამულე, ევროპის ბრინჯაოს პრიზიორი **სტეფანიე ტიროდე**, ფინელი ევროპის ვიცე-ჩემპიონი **მირა სუპონენი**, რუსი მსოფლიოს ჩემპიონი **კირა კლიმოვა**, ავსტრალიელი მსოფლიოს ბრინჯაოსა და ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი **ლოლიტა იევლევსკაია**, უკრაინელი მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **ოლენა კოსტევიჩი**, სერბი მსოფლიოს ჩემპიონი **ზორანა არუნოვიჩი** და ჩინელი **სუნ ქი**. როგორც ვხედავთ, აქ უფრო სუსტი შემადგენლობაა შეკრებილი, ვიდრე - სპორტული პისტოლეტიდან სროლაში იყო, სადაც სალუქვაძემ ორი დღის წინ ვერცხლის მედალი მოიპოვა. თუმცა ჩვენთვის ყველაზე უფრო საინტერესო ამ სიაში სერბი ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონ **იასნა სეკარიჩის** არყოფნაა, რაც იმას ნიშნავს, რომ სალუქვაძე მსოფლიოს სუპერთასის რაოდენობით მასთან არსებულ სამთასიან უპირატესობას მინიმუმ, ერთი ნლით შეინარჩუნებს. შეგახსენებთ, რომ ჩვენებურს ეს პრესტიჟული პრიზი 9-ჯერ მოუპოვებია, 6-6 სუპერთასი სეკარიჩს და სპორტიდან წასულ ჩინელ ოლიმპიურ ჩემპიონ **ტაო ლუნას** აქვთ. სალუქვაძის მთავარი ამოცანა სუპერთასის მეათედ მოგებაა, რითაც თავის რეკორდს კიდევ უფრო გაზრდის. მას ამის შანსი ორი დღის წინაც მიეცა სპორტულში, თუმცა ჩეხ ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონ **ლენკა მარუსკოვას** ჩამორჩა და ვერცხლს დასჯერდა.

ბარემ აქვე შეგახსენებთ, რომ სეკარიჩი სალუქვაძის მეორე რეკორდის პოტენციური კონკურენტიცაა - სერბი თუ გაისად მოიპოვებს ოლიმპიადის ლიცენზიას, მაშინ ისიც მეშვიდე თამაშებზე გამოვა. ჯერჯერობით საგზური არც მას აქვს და კიდევ ერთ 6-გზის ოლიმპიელს, ბერძენ **აგატა კასუომის**, რომელიც ცალი ფეხით უკვე წასულია სპორტიდან და მხოლოდ თამაშებზე მეშვიდედ მოხვედრის სურვილით აგრძელებს ასპარეზობას, მაგრამ - ინერციით.

ირაკლი თავაძე

თავისუფალი ჭიდაობა. სტუმარი

ბუვაისა საიტიევი საქართველომ მოხიბლა

ამ დღეებში საქართველოს სახელოვანი რუსი ფალავანი, თავისუფალ ჭიდაობაში ოლიმპიადის სამგზის, მსოფლიოსა და ევროპის 6-6-გზის ჩემპიონი **ბუვაისა საიტიევი** სტუმრობს თავის მწვრთნელთან ერთად. ის სტამბოლში მსოფლიოს ჩემპიონატს ესწრებოდა, სამშობლოში დაბრუნება კი საქართველოს გავლით განიზრახა. ლეგენდარული ფალავანი პირველად ესტუმრა ჩვენს ქვეყანას, ჯერ ბათუმში ჩამოვიდა და იქაურობა თურმე იმდენად მოეწონა, ერთი დღით დარჩა. ქალაქის ღირსშესანიშნაობების დათვალიერების გარდა, იქაურ საჭიდაო დარბაზსაც ესტუმრა, გუშინ კი თბილისისკენ გამოეშურა. აქაც სურდა ფალავანთა კლუბში მისვლა, ოღონდ უკვე გვიანი იყო და სტუმრობა მეორე დღისთვის გადადო. სამაგიეროდ, დრო არ დაკარგა და იმავე დღეს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ახალგახსნილ ოფისს ესტუმრა, ოლიმპიური მუზეუმი დაათვალიერა და შეხვდა სეოკ-ის ხელმძღვანელობას. იმავე ღამეს აპირებდა რუსეთში გამგზავრებას, მაგრამ კიდევ ერთი დღით აქ დარჩენა და ქალაქის დათვალიერება გადწყვიტა, სამშობლოში კი წუხელ გაემგზავრა ლარსის გავლით.

საიტიევი ეროვნებით ჩეჩენია, თუმცა კარიერის უმეტესი ნაწილი კრასნოიარსკში გაატარა, სადაც დიდი ხნის განმავლობაში **დიმიტრი მინდიაშვილი** ავარჯიშებდა. ის **ალექსანდრ მედვედთან** და **ალექსანდრ კარელინთან** ერთად ერთ-ერთია ჭიდაობაში სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონთაგან. მომავალი ლეგენდა ნაკრებში 1994 წელს 19 წლისა გამოჩნდა და მსოფლიოს თასზე მესამე ადგილზე გავიდა, 1995 ნლიდან კი რუსთა გუნდში 76 კგ წონის (რომელიც მოგვიანებით 74-ად გადაკეთდა) ლიდერად იქცა. სწორედ ამ პერიოდში მოიპოვა მან ფენომენური შედეგები. 13 ნლის განმავლობაში ერთის გარდა, მოიგო უკლებლივ ყველა დიდი ტურნირი, სადაც კი იჭიდავა - ევროპისა და მსოფლიოს პირველობა, ოლიმპიადა, სხვადასხვა რანგის პრესტიჟული საერთაშორისო შეჯიბრებები. საინტერესოა, რომ ერთხელ ზედა წონაშიც იჭიდავა - ევროპის პირველობაზე და იქაც გაიმარჯვა. ის ერთადერთი ჩაგდებული შეჯიბრება სიდნეის ოლიმპიადაა, თუმცა მათი ოჯახი არც იქ დარჩენილა უჩემპიონოდ - მაშინდელ 85 კილოგრამში მისმა უმცროსმა ძმამ, **ადამ საიტიევმა** გაიმარჯვა. ამჟამად უფროსი საიტიევი დაღესტანში, ხასავიურტში ცხოვრობს, სადაც საკუთარი სახელობის საჭიდაო სკოლა გახსნა და მის დირექტორად მუშაობს. არ გამორიცხავენ სპორტში მის დაბრუნებას, თუმცა პეკინის 2008 წლის შემდეგ, სადაც მესამედ გახდა ოლიმპიური ჩემპიონი, პრაქტიკულად, არ უჭიდავია. დაბრუნების შესაძლებლობა მას არც დაუდასტურებია, მაგრამ არც კატეგორიულად უარყვია. რაღაც ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, რომ ეს საკითხი მართლაც არაა გამორიცხული, თუმცა დღეს მას ნაკრებში მძლავრი კონკურენციის დაძლევა მოუწევს - იქ ხომ მსოფლიოსა და ევროპის ორგზის ჩემპიონი **დენის ცარგუში** ელოდება. მართალია, მან ნლევანდელი მსოფლიო ჩააგდო, თუმცა მაინც ძლიერი კონკურენტია. „თქვენს ქვეყანაში პირველად ვარ და ძალიან მომეწონა აქაურობა. მე ვიცი, რომ საქართველო საჭიდაო ქვეყანაა, მოჭიდავეები კი ერთი ოჯახი ვართ“, - ამ სიტყვებით დაგვემშვიდობა საიტიევი.

ირაკლი თავაძე

წყალბურთი. ევროპის თასი


ალექსანდრე ჯოტორაშვილის ფოტო

ეროვნული

საწყალობურთო ჭიდაობა ლიგამუსი

22 სექტემბერი, 2011 წელი

წყალბურთელ ვაჟთა ევროპის თასის გათამაშების პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი

ლიგამუსი -დე ჟილ ლეიდენი 11:9

2:2, 3:3, 3:2, 3:2

ლიგამუსი (საქართველო): **ჭუმბურიძე, ქენქაძე, ლაზარიდი, პოპოვიჩი, კორდიჩი (2 გოლი), ხვედელიანი, ლაითაძე, ბაღათურია (5), რურუა (3), გეგელაშვილი (1), ნიკოლეიშვილი, ბაბუნაშვილი, სტრუიჩი, მთავარი მწვრთნელი - დავითიანი, მწვრთნელი - ასათიანი.**

დე ჟილ ლეიდენი (ჰოლანდია): **ვან ბერკელი, ბახი (2), ქაჩაჩი, ვენენი, გოედი (1), მოერლანდი (2), ტურკი (1), დალმინი, ვერსლუისი, ნედერენდი (3), დე გროოტი, ვან დერ მეერი, რაშვანი, მთავარი მწვრთნელი - სპიკერი.**

მსაჯები: **ლევინი (ისრაელი), ვეკეროი (რუმინეთი)**

დელეგატი: **ვატერი (გერმანია).**

ლიგამუსმა მოგებით დაიწყო

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა სამი ნლის წინათ მამულიშვილურ საქმეს ჩაუყარა საფუძველი - საწყლოსნო კლუბი „ლიგამუსი“ ჩამოაყალიბა და ერთი ნლის შემდეგ წყალბურთელთა გუნდი ევროტურნირებში ჩართო. შარშან ლენტროფის გათამაშების პირველ ეტაპს „ლიგამუსი-თბილისმა“ „ოლიმპიკის“ აუზში უმასპინძლა. ევროპის წყალბურთის მამებს საქართველოს დედაქალაქში ორგანიზებული ტურნირი ისე მოეწონათ, რომ წლეულს ევროპის თასის გათამაშების პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის A ჯგუფის მატჩები უყოყმანოდ თბილისში დანიშნეს. ხუთი ქვეყნის გუნდები ენვიენენ ჩვენს დედაქალაქს. „ლიგამუსთან“ ერთად, როგორც გაუწყეთ, მომდევნო რაუნდში გასასვლელი 4 საგზურისთვის უნგრეთის „ჰონვედი“, საფრანგეთის „ოლიმპიკი“, რუსეთის „სანკტ-პეტერბურგი“, ხორვატიის „ვკ მედვეჟაკი“ და ჰოლანდიის „დე ჟილ ლეიდენი“ იბრძვიან. გუშინ პირველ ტურში ლიგამუსელებს სწორედ ტიტების ქვეყნის წარმომადგენლები დაუპირისპირდნენ. ნიდერლანდების თასის ოთხგზის მფლობელი და ეროვნული ჩემპიონატების მრავალგზის პრიზიორი წლეულს დაარსების 40 ნლისთავს ზეიმობს. თუმცა ჰოლანდიის წყალბურთს უფრო დიდი ხნის ისტორია აქვს. დასტურად ისიც გამოდგება, რომ ჰოლანდიის ნაკრები თბილისს პირველად 48 ნლის წინათ ეწვია. მაშინ სტუმრებმა თბილისის „დინამოსთან“ 2:5, ხოლო საქართველოს ნაკრებთან 2:6 წააგეს. ლიგამუსელებმა უფროსი თაობის წყალბურთელთა ტრადიცია გუშინ ღირსეულად განაგრძეს - 11:9 დაამარცხეს მეტოქე.

დაძაბული შეხვედრა იყო და მატჩი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. მე-2 წუთზე გუნდის კაპიტანმა **რურუამ** ანგარიში გახსნა, თუმცა ჰოლანდიელებმა მალევე წონასწორობა აღადგინეს (ტურკი). მე-5 წუთზე რურუამ ისევ დააწინაურა ლიგამუსელები. პირველი პერიოდის ბოლომდე ბახმა მეორე გოლი გაგვიტანა.

ასპარეზობის მეორე რვაწუთიან მონაკვეთშიც ვერც ერთმა მხარემ ვერ იყოჩაღა - 3:3. მე-3 ტაიმის დასაწყისში „ლიგამუსმა“ შეძლო მატჩში ერთგვარი გარდატეხის შეტანა, რაც კარის დარაჯად **სტრუიჩის** ნაცვლად **ჭუმბურძის** შემოსვლამ და მისმა დამაჯერებელმა თამაშმაც განაპირობა. თუმცა, მასპინძელთა სიხარული ნაადრევი გამოდგა - სტუმრებმა ქართველთა დაცვაში ბზარი იპოვეს და ზედიზედ სამი ბურთი გაიტანეს. ყოველივეს მიუხედავად, ჩვენმა წყალბურთელებმა, რომლებიც ეროვნული ნაკრების ძირითად ბირთვს წარმოადგენენ, მეტოქის წინააღმდეგობა მაინც გატეხეს და 11:9 აჯობეს, რითაც მეორე ეტაპისკენ პირველი ნაბიჯი გადადგეს.

მატჩის შემდეგ ცნობილ ქართველ წყალბურთელს - **ლერი გოგოლაძეს** ვესაუბრე. „დაძაბული და საინტერესო შეხვედრა იყო. ჩვენები კლასით მაღლა იდგნენ, ამის მიუხედავად, უამრავი შეცდომა დაუშვეს დაცვასა და თავდასხმაში, სამბურთიანი სხვაობის ასე იოლად განიავება არ შეიძლება. მეკარე სტრუიჩიც ვერ იყო მონოდების სიმაღლეზე, აშკარად იგრძნობოდა ცენტრში რვავაზ ჩომახიძის არყოფნაც. ჩვენს გუნდს ვულოცავ პირველ გამარჯვებას. იმედია, მომდევნო პაექრობებშ უკეთ ითამაშებენ“,- გვითხრა რომის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა.

გულშემატკივრებს შევახსენებთ, რომ **რევაზ ჩომახიძე** ტრავმის გამო ვერ შეეშველა „ლიგამუსს“, სამაგიეროდ, თურქეთში მთავარ მწვრთნელად ახლავს თბილისის „ივერიას“. საქართველოს ახალგაზრდა წყალბურთელებით დაკომპლექტებულმა გუნდმა, რომელიც, ასევე, ევროპის თასის გათამაშებაში (B ჯგუფი) მონაწილეობს, გუშინ 2011 ნლის ლენტროფის თასის მფლობელ ათენის „პანიონიოსთან“ 2:17 დამარცხდა. აქვე გაუწყებთ თბილისის ჯგუფში გუშინ გამართული დანარჩენი ორთაბრძოლების შედეგებს: „ოლიმპიკი“ (საფრანგეთი)-“ვკ მედვეჟაკი“ (ხორვატია) 4:10 (1:3, 1:2, 1:2, 1:3), „ჰონვედი“ (უნგრეთი)-“სანკტ-პეტერბურგი“ (რუსეთი) 20:2 (5:0, 4:1, 5:0, 6:1).

დღეს ერთბაშად ორი ტურის მატჩები ჩატარდება. **დილით:** ოლიმპიკი-დე ჟილ ლეიდენი, ლიგამუსი-ჰონვედი, სანკტ-პეტერბურგი-ვკ მედვეჟაკი; **საღამოს:** ჰონვედი-ოლიმპიკი, ლიგამუსი-სანკტ-პეტერბურგი, დრ ჟილ ლეიდენი-ვკ მედვეჟაკი.

ვაჟა დანელია

ჩოგბურთი

ნავთობგერმინალს ქვაცაბაია შეემორჩა

ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე „ბათუმის ნავთობტერმინალის“ თასის გათამაშების (საპრიზო ფონდი 25 000$) ძირითად ბადეში ოთხი ქართველი ჩაება: **სოფიო შაფათავა** რეიტინგით მოხვდა, წინა ტურნირის გამარჯვებულმა **თათია მიქაძემ** და **ეკა გორგოძემ** საკვალიფიკაციოდან გაიკვალეს გზა ორ-ორი მეტოქის ძლევით, ხოლო **სოფიო ქვაცაბაია**, რომელმაც „საქართველოს თასზე“ ერთეულებში მეორე ადგილი დაიკავა და წყვილებში მიქაძესთან ერთად ყველას აჯობა, შეჯიბრების ორგანიზატორებმა „ველური ბარათით“ დაუშვეს. ისიც იმედებს ამართლებს: პირველ წრეში სოფიომ კვალიფიკაციიდან შემოსული ალექსანდრა არტამონოვა (რუსეთი) დაამარცხა 6:3, 4:6, 6:1, შემდეგ მე-6 ნომრად განთესილი უკრაინელი ვერონიკა კაპშაი ჩამოიცილა გზიდან - საამისოდ აქაც სამი სეტის გამართვამ მოუწია: 3:6, 7:5, 6:3. მეოთხედფინალში ქვაცაბაია ტურნირის მეოთხე ნომერს, უნგრელ რეკა-ლუკა იანის დაუპირისპირდება.



სოფიო ქვაცაბაია

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

რაც შეეხებათ დანარჩენ ქართველ ჩოგბურთელებს, ისინი პირველსავე წრეში გამოეთიშნენ შეჯიბრებას. საქართველოს ნაკრების წევრი სოფიო შაფათავა ირინა ხრომაჩევას (რუსეთი) დანებდა - 6:7, 1:6, თათია მიქაძე რეკა-ლუკა იანისთან დამარცხდა - 4:6, 2:6, ხოლო ეკატერინე გორგოძეს ნიკოლა ჰოფმანოვამ (ავსტრია) აჯობა - 6:1, 6:2.

წყვილთა პაექრობებსაც მხოლოდ სოფიო ქვაცაბაია შემორჩა, რომელმაც ბელარუს პოლინა პეხოვასთან ერთად პირველ წრეში მიქაძე-შაფათავას დუეტს აჯობა - 3:6, 6:3, 11:9, მეოთხედფინალში ელენა ბოგდანსა (რუმინეთი) და ანდრეა კოჩ-ბენვენუტოს (ჩილე) დაუპირისპირდება.

აქვე გაუწყებთ ერთეულთა და წყვილთა თანრიგში გუშინ გამართული შეხვედრების შედეგებს:

ერთეულები: ლესია ცურენკო (უკრაინა)-ელინა სვიტოლინა (უკრაინა) 7:5, 6:3, ირინა ხრომაჩევა (რუსეთი)-ირინა ბურიაჩოკი (უკრაინა) 6:3, 3:6, 6:3, იულია კოჰენი (აშშ)- ოქსანა ლიუბცოვას (უკრაინა) შეხვედრა დღეს გაიმართება, ანდრეა კოჩ-ბენვენუტო (ჩილე)-ოლგა იანჩუკი (უკრაინა) 6:1, 6:3, სოფიო ქვაცაბაია (საქართველო)-ვერონიკა კაპშაი (უკრაინა) 3:6, 7:5, 6:3, რეკა-ლუკა იანი (უნგრეთი)- დანკა კოვინიჩი (ჩერნოგორია) 7:5, 6:1, იონა-რალუკა ოლარუ (რუმინეთი)-პოლინა პეხოვა (ბელარუსი) 6:4, 6:4, ელენა ბოგდანი რუმინეთი)- ნიკოლა ჰოფმანოვა (ავსტრია) 6:4, 3:6, 6:2

წყვილები: ოლარუ (რუმინეთი), ცურენკო (უკრაინა)-კოჰენი (აშშ), ძალამიძე (რუსეთი) - 1:6, 6:4, 10:5, იანჩუკი (უკრაინა), კაციტაძე (რუსეთი)-მონოვა (რუსეთი), პირაჟენკა (ბელარუსი) 7:5, 6:4, ბოგდანი (რუმინეთი), კოჩ-ბენვენუტო (ჩილე)-ამირაგიანი (სომხეთი), შკუდუნი (უკრაინა) 6:2, 3:6, 10:5, ქვაცაბაია (საქართველო), რეხოვა (ბელარუსი)-მიქაძე (საქართველო), შაფათავა (საქართველო) 3:6, 6:3, 11:9, კაპშაი (უკრაინა), ზეკ-პესკირიჩი (სლოვენია)-გეგია (საქართველო), ჯიქია (საქართველო) 6:3, 6:4, ბურიაჩოკი (უკრაინა), იანი (უნგრეთი)-მაჩაიძე (საქართველო), სუჯაშვილი (საქართველო) 6:1, 3:0, იანჩუკი (უკრაინა), ზანევსკა (უკრაინა)-გორგოძე (საქართველო), იაკუპოვიჩი (სლოვენია) 6:3, 6:1, ჰოფმანოვა (ავსტრია), კლაფნერი (ავსტრია)-არტამონოვა (რუსეთი), მაროზავა (ბელარუსი) 6:1, 3:6, 10:6

ვაჟა დანელია

msy-gov-ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

● ინგლისის ლიგის თასი

კეთილი იყოს თქვენი დაბრუნება



კრეიგ ბელამის დარტყმა და 1:0

ყველაზე დიდი ყურადღება ჩემპიონშიპის ლიდერ "ბრაიტონისა" და "ლივერპულის" შეხვედრამ მიიპყრო. მიუხედავად ანგარიშისა, ბრძოლა პრინციპში არ შედგა, რადგან მერსისაიდელებს ძალიან დიდი უპირატესობა ეპყრათ ხელთ და ანგარიში მატჩის მიმდინარეობას არ ასახავს. სტუმრებმა ანგარიში მე-7 წუთზევე გახსნეს. **მაქსი როდრიგესისა** და **ლუის სუარესის** მიერ გათამაშებული კომბინაციის შემდეგ მახვილი კუთხიდან მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა **კრეიგ ბელამი,** ვინც შორეულ დაბალ კუთხეში გაიტანა 1:0. ორიოდე წუთში მარჯვენა ფლანგზე როდრიგესმა ბურთი ლამის კუთხურის პირით ხაზთან დაიმორჩილა და შორეულ ძელთან **დირკ კუიტს** გადაანოდა. ჰოლანდიელს ბურთი ფეხიდან ააცალეს. დაინიშნა კუთხური, რომელიც ბელამიმ **ლუკას ლეივასთან** გაითამაშა. ბრაზილიელის ჩაწოდებული სუარესს თავში უხერხულად მოხვდა და საწინააღმდეგო ფლანგზე ისევ კუიტს მიუვიდა. ჰოლანდიელმა ლამის ნულოვანი კუთხიდან თავით ბურთი კარში გადაგზავნა, მაგრამ ბრაიტონელებმა ის ცარიელი ხაზიდან გამოიტანეს. ამის გარდა "ნითლებს" რამდენიმე მომენტი კიდევ ჰქონდათ: სუარესმა ძელს სულ რამდენიმე სანტიმეტრში ააცილა დარტყმა, ამის შემდეგ ურუგვაელმა ლუკასის ჯარიმის შემდეგ თავით ძელს გაარტყა, მას მიჰბაძა ბელამიმაც, რომელმაც დაახლოებით 30 მეტრიდან ყუმბარისებურად გაისროლა. ცოტა უფრო ახლოდან დაჭექა **ჯეი სპირინგმაც** და მანაც მაინცდამაინც ძელს დაუმიზნა. "ლივერპული" იმდენად იოლად ქმნიდა მომენტებს და ისე მსუბუქად ირჯებოდა, რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ მეორე გოლის გატანა მხოლოდ დროის საკითხი იყო. პირველ ტაიმში **გუსტავო პოიეტის** შეგირდებმა რეინა რეალურად ერთხელ შეაწუხეს, თუმცა სიტუაცია ჯერ ესპანელმა განბუტტა, შემდეგ კი დამატებაზე წასულ თავდამსხმელს **მარტინ კელიმ** დაასწრო. პირველი ნახევარი ენფილდელთა მინიმალური უპირატესობით დასრულდა. დაიწყო მეორე ტაიმი და სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. ახლა უკვე **ხოსე რეინას** კართან იძაბებოდა სიტუაცია ერთმანეთის მიყოლებით. თუმცა საგოლე დარტყმამდე საქმე არ მიდიოდა. **კენი დალგლიშს** მხოლოდ ერთხელ შეეკუმშებოდა გული, როცა **სებასტიან კოატესის** შეცდომის შემდეგ **კრეიგ ნუნმა** კინაღამ ხარიხა ჩამოიღო. 75-ე წუთზე მინდორზე **სტივ ჯერარდი** დაბრუნდა, რასაც ტრიბუნების გამოცოცხლება მოჰყვა. გატანა შეეძლო **მეტიუ სპეროუსაც,** მაგრამ რეინამ მისი დარტყმა ისე აიღო, ერთი წარბი არ შეუხრია. „ლივერპულმა" მეორე გოლი სამაგალითო კონტრშეტევით გაიტანა. საჯარიმოდან ბურთი ჯერარდმა გამოიტანა და დაახლოებით 60-მეტრიანი პასით მეტოქის ნახევარზე თანაგუნდელი მონახა. იქვე იდეალურად გაიხსნენ როდრიგესი და კუიტი. არგენტინელმა საბოლოოდ ჰოლანდიელი მეკარესთან ერთი-ერთზე დატოვა და დანარჩენი უკვე ტექნიკის საქმე იყო – 0:2. თუმცა ეს არ იყო ბოლო, რაც ამ შეხვედრაში მოხდა. 90-ე წუთზე სპირინგმა რატომღაც ბოლომდე იბრძოლა ბურთის მოედანზე დასატოვებლად. მან ეს კი მოახერხა, მაგრამ მოედნის ფარგლებს გარეთ თავად ნაიქცა. **ვისენტემ** ამ შეცდომით ისარგებლა, ბურთი ხელში ჩაიგდო და კარისკენ დაიძრა. **ჯეიმი კარაგერი** იძულებული გახდა, მასთან ორთაბრძოლაში ჩაბმულიყო და წესები დაერღვია. პენალტის ნიშნულიდან **ეშლი ბარნსმა** რეინა უშანსოდ დატოვა – 1:2.

თამაშის შემდეგ ყველაზე დიდი ინტერესი **სტივენ ჯერარდმა** მიიპყრო. გთავაზობთ ამონარიდს მისი პრესკონფერენციიდან: *"ჩემთვის ეს კოშმარი იყო, რადგან შეუძლებელია არ ვთამაშობდე და თავს კომფორტულად ვგრძნობდე. უკანასკნელი 6 თვე ძალიან რთული იყო ჩემს ცხოვრებაში, ის რაღაცით ამერიკულ მთებს ჰგავდა. კარგია, რომ ახლა უკვე ყველაფერი წარსულში დარჩა. ერთი სული მაქვს, როდის ჩავდგები ფორმაში, რათა ძირითად შემადგენლობაში ადგილი დავიბრუნო. ამხელა პაუზის შემდეგ მინდორზე გასვლა და მაისურის ჩაცმა განსაკუთრებული გრძნობა იყო. თანაც, დღეს საღამოს გავიმარჯვეთ კიდეც".*

ლიგის თასის შარშანდელმა გამარჯვებულმა "ბირმინგემმა" "მანჩესტერ სიტის" უმასპინძლა და შინ 0:2 დამარცხდა. ამ შეხვედრაში ერთი აღსანიშნავი ფაქტი მოხდა. ლამის სრული სამნლიანი უქმობის, ტრავმების, მკურნალობის, მისდამი უნდობლობისა და ეჭვების შემდეგ მინდორს **ოუენ ჰარგრივსი** დაუბრუნდა. 30 წლის ფეხბურთელმა ეს ფაქტი ფანტასტიკური გოლით აღნიშნა. ჰარგრივსის გოლს ერთი **მარიო ბალოტელიმაც** დაამატა. "ქალაქელებმა" შემდეგ ეტაპზე ძალების დაძაბვის გარეშე გააღწიეს. თამაშის შემდეგ **რობერტო მანჩინიმ** აქო და ადიდა იმ საღამოს მთავარი მოქმედი პირი, განაცხადა, დარწმუნებული ვარ, ოუენი ოდესმე ადგილს ინგლისის ნაკრებშიც დაიბრუნებსო. იტალიელმა სპეციალისტმა ჰარგრივსს მოულოდნელად ადგილი ძირითად შემადგენლობაში ანდო და მინდორზე მთელი საათი გააჩერა. *"მიხარია მისი წარმატებები. მიხარია, ისიც, რომ შეუძლია ჩვენი გუნდისთვის მნიშვნელოვანი ფეხბურთელი გახდეს. ოუენმა 60 წუთი ითამაშა და ახლა ძალების აღდგენა აუცილებლად დასჭირდება. მნიშვნელოვანია, რომ ამხელა პაუზის შემდეგ ის არ გადავღალოთ, რათა ძველ დიდებულ ფორმას რაც შეიძლება მალე დაუბრუნდეს,"* – განაცხადა მაჩინიმ. „დეილი მეილის" კორესპონდენტმა თავად ოუენთან გასაუბრებაც მოახერხა. აი, რას ამბობს ფეხბურთელი: *"თავს კარგად ვგრძნობ. ეს იყო ჩემი პირველი სრულფასოვანი თამაში 3 წლისა და 4 თვის შემდეგ. ცოტა მეშინოდა კიდეც, მიუხედავად იმისა, რომ ზაფხულზე ძალიან ბევრს ვშრომობდი. „სიტის" ექიმებმა უზარმაზარი სამუშაო გასწიეს და ჩემს პროგრესში უდიდესი როლი ითამაშეს. ინდივიდუალურად მზადების გეგმას ჯგუფთან ერთად ვარჯიში ვარჩიეთ და ამან შედეგი მოიტანა. დღევანდელი დღე ჩემთვის უმნიშვნელოვანესი იყო".*

შემდეგ ეტაპზე გავიდა "ჩელსიც". თუმცა ლონდონელებმა "ფულჰემთან" მატჩში ბეწვის ხიდზე გაიარეს. პირველი უგოლო ტაიმის შემდეგ "არისტოკრატთა" გადახალისებული შემადგენლობა მძიმე ამოცანის წინაშე დადგა. არბიტრმა **კევინ ფრაეს** წინააღმდეგ "ბოლო იმედის ჯარიმისთვის" **ალექსი** მინდვრიდან მიაბრძანა. **როს ტერნბულმა** კი **პაიტიმა კასამის** პენალტი აუღო. "ჩელსიმ" დანის პირზე კიდევ ერთხელ პენალტების სერიაშიც გაიარა, როცა **მარკ შვარცერმა ფრენკ ლემპარდს** პირველივე დარტყმა აუღო. თუმცა **მუსა დემბელესა** და **ბრაიან რუისის** შეცდომების წყალობით "ჩელსიმ" მის წინაშე დასახული ამოცანა მაინც გადაჭრა. თამაშის შემდეგ **ანდრე ვილაშ-ბოაში** გამოტყდა, რომ "ჩელსი" პენალტების დარტყმაში ბევრს მეცადინეობდა. პორტუგალიელმა განაცხადა, ბოლო პერიოდში ამ კომპონენტს სათანადო ყურადღებას ვაქცევთო. აქვე გეტყვით, რომ "ფულჰემთან" პირველ ტაიმში დაშავდნენ **პეტრ ჩეხი** და **დენიელ სტარიჯი,** თუმცა უკვე გაირკვა, რომ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობას სერიოზული საფრთხელ არ ემუქრება.

● ამბები

ბენაიუნი დაიმტვრა

"არსენალის" ებრაელ ნახევარმცველს **იოსი ბენაიუნს** "შრიუსბერისთან" შეხვედრაში მუხლის მყესები დაეჭიმა და 7-10 დღე დასვენება მოუწევს. მას პრემიერ-ლიგაში "ბოლტონთან" და ჩემპიონთა ლიგაში "ოლიმპიაკოსთან" შეხვედრების გამოტოვება მოუხდება. თუკი ფეხბურთელს ტრავმა მალე დაუამდა, მას 2 ოქტომბერს "ტოტენჰემთან" პრინციპულ დაპირისპირებაში დაბრუნება შეეძლება.

ჰლატინის იდეები

უეფას აღმასკომის სხდომა ამ დღეებში კვიპროსში გაიმართა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი რაც აღნიშნულმა ორგანომ განიხილა, ეს 2016 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპისთვის ფორმულის შეცვლაა. შეგახსენებთ, რომ საფრანგეთში გამართული ევროპის ჩემპიონატი პირველი იქნება, რომელშიც 24 ნაკრები ითამაშებს. მუსიე მიშელის იდეა ასეთია: უეფას წევრი 52 ქვეყანა 13 4-4-წევრიან ჯგუფებში განაწილდეს. გამარჯვებულები პირდაპირ მოიპოვებენ ჩემპიონატის საგზურს. ეს 14 ქვეყანა გამოდის, თუკი გავითვალისწინებთ, რომ საფრანგეთი მასპინძლის სტატუსით უკვე დაშვებულია. რაც შეეხება დარჩენილ 10 საგზურს, მას დარჩენილი ქვეყნები ერთმანეთში გაითამაშებენ.

● ლიგა 1. VII ტური

ლოიკ რემის დუბლმა მარსელს ჩემპიონატში პირველი გამარჯვება მოუტანა

წითელი საფრანგეთი

მე-7 ტურის ცენტრალური მატჩი დანარჩენებზე ერთი დღით ადრე ბორდოში შედგა, სადაც ადგილობრივმა კლუბმა ქვეყნის ჩემპიონ "ლილს" უმასპინძლა. საინტერესო დაპირისპირება 2:2 დასრულდა. ამაზე გუშინდელ ნომერში ვწერდით. საინტერესო შეხვედრა შედგა კანშიც, "მიშელ დორნანოს" "ლიონი" სტუმრობდა. **რემი გარდის** გუნდს ჩემპიონატში აქამდე წაგება არ ჰქონდა. კარგად გამოიყურება ის ჩემპიონთა ლიგაშიც, ასე რომ, მარცხს არაფერი მოასწავებდა. მასპინძლები პირველ ტაიმში საკუთარ ნახევარზე დიდი ძალებით გამაგრდნენ და მხოლოდ კონტრშეტევების იმედად დარჩნენ. ტაიმის შუაში თავის გამოჩენა შეეძლო **მიშელ ბაშტოშს,** მაგრამ ჯარიმა ძელს გაარტყა. არავინ იცის მეორე ნახევარში რა მოხდებოდა, რომ არა 44-ე წუთზე **უგო ლორისის** გაძევება. მეკარემ საკუთარ საჯარიმოში "ბოლო იმედის ჯარიმისთვის" წითელი ბარათი ალალად დაიმსახურა. **ბაფეტიმბი გომისის** ნაცვლად მოედანზე გამოსულმა გოლკიპერმა **რემი ვერკუტრმა** გუნდს ვერაფრით უშველა – **ბენჟამენ ნივემ** გოლი აუღელვებლად გაიტანა. შესვენების შემდეგ მიუხედავად რიცხობრივი უმცირესობისა, "ლიონი" ბევრად უკეთესად გამოიყურებოდა. კანელები იძულებული გახდნენ, სტუმართა ტექნიკურ თამაშს უხეშობით დაჰპირისპირებოდნენ. 62-ე წუთზე ერთ-ერთ ასეთ ეპიზოდში მსაჯმა ნივეც ლორისის გზას გაუყენა, რადგან მან **გონალონის** წინააღმდეგ ითამაშა უხეშად. ფავორიტებმა ამის შემდეგ უფრო მოუმატეს ტემპს. გატანა ისევ ბასტოსს მართებდა და ისევ ჯარიმიდან, მაგრამ ბრაზილიელს მეკარემ დაუჯერებელი ბურთი აუღო. საბოლოოდ ყველაფერი ასევე დამთავრდა - "კანმა" გაძლო. "ლიონმა" პირველი მატჩიც დათმო და პირველი ადგილიც ცხრილის სათავეში.

თავისი პირველი "მარსელისაც" ჰქონდა... მოგეხსენებათ, საფრანგეთის ციცაჩემპიონებს ყველასთვის მოულოდნელად ნარუმატებელი სერია ძალიან გაენელათ. ლიგის დებიუტანტ "ევიანთან" **მარსელ დეშამის** სამწყსომ 3 ქულა იოლად აიღო. ზღვისპირელებმა შეხვედრა ეფექტურად ჩაატარეს და ყველას დაუმტკიცეს, რომ ლაპარაკი მათ ჩამონერაზე ძალიან ადრეა. ტრავმის შემდეგ ძირითადში დაბრუნდა **ანდრე აიუ,** სასტარტოში გამოჩნდნენ ასევე **ნკულუ** და **ამალფიტანო.** 25 წუთზე ანგარიში **ლოიკ რემმ** გახსნა. შესვენებამდე "ევიანი" 10 კაცით დარჩა – არბიტრმა **ბარტოლომეი ვარელამ გიიომ რიპერი** გასახდელში ვადაზე ადრე გაუშვა. შესვენების შემდეგ პროვანსელთა უპირატესობა კიდევ უფრო გამოიკვეთა, თუმცა მათ ერთი გოლის გატანაღა შეძლეს და ეს ისევ და ისევ რემმ გააკეთა.

ჩემპიონატის ლიდერმა, **რენე ჟირარის** "მონპელიემ", შეიძლება ითქვას, რომ იოლად მოიგო. მე-10 წუთზე **კაბელასა** და **ესტრადას** გოლებით ფავორიტს უკვე 2:0 მიჰყავდა. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან "აიაჩო" ის გუნდია, რომელსაც ლიგა 1-ში ყველაზე სუსტი დაცვა ჰყავს, ხოლო "მონპელიე" დიდებული თავდასხმით იწონებს თავს.

"პარკ დე პრენსზე" პსჟ "ნიცას" შეხვდა. მატჩის დაწყებამდე ფავორიტად აქაც გამოკვეთილი იყო. აშკარაა, რომ გამოცდილი მწვრთნელის ხელში თავმოყრილი ფეხბურთელები ერთმანეთთან საერთო ენას უკვე ნახულობენ და გუნდიც თანდათან უფრო დაბალანსებულად გამოიყურება. **ანტუამ კომბუარეს** ბიჭებმა გულშემატკივარს ლაღი და ტექნიკური ფეხბურთი შესთავაზეს. "ნიცამ" **პასტორეს, ნენეს, გამეიროსა** და **მენეზის** შემტევ პოტენციალს ვერ გაუძლო. სარეკორდო თანხად შეძენილი არგენტინელი უკვე გახდა პარიზელ გულშემატკივართა კერპი. ბურთის ყოველ შეხებაზე, ყოველ ფინტზე სტადიონი განსაკუთრებულად რეაგირებს. ასე იყო ამჯერადაც, სადაც ხავიერმა დიდი ნილი დაიდო გამარჯვებაში, სწორედ მის გარღვევას მოჰყვა მეორე პენალტი სტუმართა კარში, როცა მცველმა ბურთი ხელითღა შეაჩერა. მე-7 ტურის "ტრადიცია" არც ამ შეხვედრაში დარღვეულა: არბიტრმა მინდვრიდან 2 ფეხბურთელი გააძევა. 78-ე წუთზე ჯერ მასპინძელი **კრისტოფ ჟალე,** ზუსტად რვა წუთში კი სტუმართაგან ერთადერთი გოლის ავტორი **ფაბიან მონსონი.**

რა თქმა უნდა, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ შეხვედრას, სადაც ევროპის ლიგის ყოფილი (სოშო) და მოქმედი (რენი) მონაწილეები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს და სადაც 8 გოლი გავიდა. წინა ტურიდან გამომდინარე ამ შედეგის წინასწარმეტყველება აბსოლუტურად წარმოუდგენელი იყო, რადგან "სოშომ" ჩემპიონ "ლილს" გასვლაზე ქულა აართვა, "რენმა" კი შინ აუტსაიდერ "ნანსისთან" დაკარგა ქულები. თანაბარი პირველი ტაიმის შემდეგ, რაც მეორეში მოხდა, ახსნას არ ექვემდებარება. **ფრედერიკ ანტონეტის** შეგირდებმა მეტოქისგან ქვა ქვაზე არ დატოვეს და ერთბაშად 4 გოლი გაუტანეს.

დასკვნის სახით კი გეტყვით, რომ მე-7 ტურში მსაჯებმა 8 წითელი ბარათი ააფრიალეს.

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. მონპელიე	7	5	1	1	15-6	16
2. რენი	7	4	2	1	17-11	14
3. ლიონი	7	4	2	1	11-6	14
4. პსჟ	7	4	2	1	11-7	14
5. ტულუზი	7	4	2	1	11-7	14
6. ლილი	7	3	3	1	12-9	12
7. ლორიანი	7	3	3	1	9-6	12
8. კანი	7	3	1	3	8-8	10
9. სოშო	7	2	3	2	12-15	9
10. დიჟონი	7	3	0	4	6-13	9
11. ოსერი	7	1	5	1	10-9	8
12. სტ. ეტიენი	7	2	2	3	6-10	8
13. ბორდო	7	1	4	2	8-9	7
14. ევიანი	7	1	4	2	6-8	7
15. მარსელი	7	1	3	3	8-10	6
16. ვალანსიენი	7	1	2	4	8-9	5
17. ნიცა	7	1	2	4	6-8	5
18. ბრესტი	7	0	5	2	5-7	5
19. აიაჩო	7	1	2	4	7-15	5
20. ნანსი	7	0	4	3	5-8	4

ბომბარდირები: 5 - **ალან ტრაორე** (ოსერი), 4-4 **ფრედერიკ სამარიტანი** (აიაჩო), **ბაფეტიმბი გომისი** (ლიონი), **ოლივიე ჟირუ** (მონპელიე), **ლოიკ რემი** (მარსელი), **ედენ აზარი** (ლილი), **უგო მონტანა** (რენი)

გვერდი მოამზადა
ლევან ბიბილაშვილმა

პორტუგალია. ლიგა საგრეში

პორტუგალიური დერბის წინ

LIGA ZON SAGRES

დღეს პორტუგალიის პრიმეირალიგაში, რომელსაც სპონსორის გამო ოფიციალურად „ლიგა ზონ საგრეში“ ეწოდება, ჩემპიონატის ცენტრალური მატჩია - „დრაგაუზე“ ჩემპიონი „პორტუ“ ლისაბონის „ბენფიკას“ მასპინძლობს. ეს ხომ პორტუგალიის დერბია! გუნდებიც სათანადოდ ხვდებიან დიდ მატჩს, „პორტუ“ და „ბენფიკა“ 5 ტურის შემდეგ 13-13 ქულით ლიდერობენ. რა თქმა უნდა, ბრძოლაში შეიძლება ისევ ჩაებას „ბრაგა“, შესაძლოა, „სპორტინგმაც“ მოიკრიბოს ძალები, მაგრამ მაინც გვგონია, რომ ტიტულის ბედი ამ ორი გრანდის გადასაწყვეტია.

წლეულს ლიგა საგრეშის 78-ე გათამაშებაა და წინა 77-დან 75 „დიდი სამეულის“ მოგებულია. დიდ სამეულში „პორტუ“, „ბენფიკა“ და „სპორტინგი“ ითვლებიან. მხოლოდ თითოჯერ მოხდა სანაცვლოდ და სხვა კლუბებმა შეძლეს გაჩემპიონება - „ბელენენსეშმა“ ეს 1946 წელს მოახერხა, ხოლო „ბოავიშტამ“ - 2001 წელს. სხვათა შორის, ეს ორი კლუბიც ორი მთავარი ქალაქიდანაა („ბელენენსეში“ ლისაბონიდან, ხოლო „ბოავიშტა“ ოპორტოდან). „ბელენენსეში“ ახლა რანგით მეორე დივიზიონშია, ხოლო „ბოავიშტა“ - მესამეში. ტიტულების რიცხვით „პორტუ“ ჯერ ახლოს ვერ მიდის „ბენფიკასთან“ - ლისაბონელები 32-ჯერ გახდნენ ჩემპიონები, მათი ჩრდილოელი მეტოქეები კი 25-ჯერ.

ლიგა საგრეში ევროპული რეიტინგით მე-6 ჩემპიონატია „დიდი ხუთეულის“ შემდეგ. შარშან **ანდრე ვილაშ-ბოაშის** „პორტუმ“ სასწაული შეძლო - დაუმარცხებლად ჩაამთავრა ჩემპიონატი და უახლოეს კონკურენტ „ბენფიკას“ 21 ქულით გაუსწრო. „სპორტინგი“, რომელიც მესამეზე გავიდა, ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ვერ მონაწილეობდა და ჩემპიონს საბოლოოდ 36 ქულით ჩამორჩა!

ისევე როგორც ადრე, პორტუგალიის ლიგამ ამ ზაფხულსაც დაკარგა მთავარი ვარსკვლავები - „პორტუ“ 40 მილიონ ევროდ კოლუმბიელ **რადამელ ფალკაოს** შეელია, რომელიც ახლა „ატლეტიკოში“ ბრწყინავს, ხოლო „ბენფიკამ“ „რეალს“ 30 მილიონად (თუმცა **ფლორენტინო პერესი** ამ თანხას არ ადასტურებს) **ფაბიო კოენტრაო** მიჰყიდა. ამას დავურთოთ ანდრე ვილაშ-ბოაშის ტრანსფერიც „ჩელსიში“, ჩემპიონთა 33 წლის მწვრთნელი ხომ ერთ-ერთი მთავარი ვარსკვლავი იყო გასულ სეზონში. ბრაზილიელი **დანილო** „სანტოსიდან“ „პორტუში“ 13 მილიონ ევროდ გადავიდა.

„ბენფიკას“ შური აქვს საძიებელი, შარშან „პორტუმ“ ხომ 5:0 გაანადგურა მეტოქე. ჩემპიონს არ ეყოლება შესანიშნავ ფორმაში მყოფი 20 წლის კოლუმბიელი შემტევი **ჯეიმს როდრიგესი**. როდრიგესმა ნინა ტურში, „ფეირენშესთან“ მატჩში წითელი ბარათი მიიღო. ახალწვეული **ალექს სანდრო** კვლავ ტრავმირებულია.

ბენფიკელმა **ნელსონ ფერეირამ** ხელზე თითი მოიტეხა და ვერ ითამაშებს. მწვრთნელმა უნდა გადაწყვიტოს, ვინ ითამაშებს მარცხენა ფრთაზე, **ნოლიტო** თუ **ბრუნო სეზარი**. სავარაუდოდ, მაინც ესპანელი დაიწყებს, რადგან ის ბრწყინვალე ფორმაშია და გოლებიც გააქვს.

პორტუ (სავარაუდო): *ელტონი - ა. პერეირა, ოტამენდი, როლანდო, ფუსილე - ფერნანდო, მოუტინიო, დეფური - ვარელა, ჰალკი, კლებერი.*

ბენფიკა (სავარაუდო): *არტური - ემერსონი, გარაი, ლუი ზაო, მ. პერეირა - ხავი გარსია, ვისტელი, ნოლიტო, გაიტანი - აიმარი, კარდოსო.*

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. პორტუ	5	4	1	0	12-3	13
2. ბენფიკა	5	4	1	0	13-5	13
3. ბრაგა	5	3	2	0	7-2	11
4. მარიტიმუ	5	3	1	1	8-6	10
5. აკადემიკა	5	3	0	2	8-7	9
6. სპორტინგი	5	2	2	1	9-8	8
7. სეტუბალი	5	2	1	2	5-7	7
8. ოლანენშე	5	1	3	1	6-6	6
9. ფეირენშე	5	1	3	1	3-4	6
10. ბეირა მარი	5	1	2	2	3-2	5
11. ჟილ ვისენტე	5	1	2	2	7-9	5
12. გიმარაეში	5	1	1	3	6-8	4
13. ფერეირა	5	1	1	3	5-7	4
14. ნასიონალი	5	1	1	3	2-10	4
15. ლეირია	5	1	0	4	6-12	3
16. რიუ ავე	5	0	1	4	3-7	1

ბომბარდირები: 5 - ბაბა (მარიტიმუ), ედერი (აკადემიკა), ოსკარ კარდოსო (ბენფიკა).

მომდევნო ტური

23 სექტემბერი: **პორტუ-ბენფიკა.**

24 სექტემბერი: **ბრაგა-ნასიონალი, სპორტინგი-სეტუბალი.**

25 სექტემბერი: **ბეირა მარი-რიუ ავე, ფერეირა-ჟილ ვისენტე, ოლანენშე-ლეირია, მარიტიმუ-გიმარაეში.**

26 სექტემბერი: **აკადემიკა-ფეირენშე.**

ნიკოლოზ ნეფარიძე

● ინგლისური პრემიერლიგა

დამსახურებული ალიყური

"ლიონის" მთავარმა მწვრთნელმა **რემი გარდმა** მე-7 ტურში "კანთან" დამარცხების შემდეგ განაცხადა, ეს ნაგება დადებითად წაადგებათ ჩემს შეგირდებს, რადგან მათ გამოფიზლებას ხელს შეუწყობსო. *"რეალურად არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა. ჩვენ თამაშის მიმდინარეობას ვაკონტროლებდით, ტემპს განვსაზღვრავდით, მაგრამ გატანა ვერაფრით მოვახერხეთ. "კანთან" წამყვან ფეხბურთელებს დასვენების საშუალება მივეცი, რადგან იქამდე "მარსელთან" და "აიაქსთან" დაძაბული შეხვედრები გვქონდა. ჩემპიონატში პირველი მარცხი პირველი დამსახურებული ალიყურია. ის ჩვენ ნამდვილად გამოგვადგება,"* – უთხრა გარდმა "ფრანს ფუტბოლს".

"მარსელთან" მე-6 ტურის შეხვედრის მეორე ტაიმში "ლიონის" ნახევარმცველმა **კიმ კალსტრიომმა** კოჭი იტკინა. რემი გარდი იძულებული გახდა, შვედი 68-ე წუთზე შეეცვალა. კოჭი ანუხებთ ასევე მის თანაგუნდელებს **ლისანდრო ლოპესსა** და **იოან გურკუფს**. თუ ამ უკანასკნელის მდგომარეობა უმძიმესია და მთელი 4 თვე ვერ ითამაშებს, კიმის თავს სერიოზული არაფერია. შვედი ლაზარეთში დაახლოებით 10 დღეს გაატარებს და ჩემპიონატში "ბორდოსთან" და პსჟ-სთან შეხვედრებს გამოტოვებს. ის არ იქნება არც ჩემპიონთა ლიგაში ზაგრების "დინამოსთან".

"ლიონის" 34 წლის ცენტრალური მცველის, ბრაზილიელი **კრისის** თქმით, ის ფეხბურთიდან წასვლას "ლიონთან" კონტრაქტის ამონურვისთანავე გეგმავს. მხარეთა შორის გაფორმებულ კონტრაქტს ვადა 2013 წელს გასდის. კრისი 2004 წლიდან "ლიონშია". მან 3-ჯერ მოასწრო საფრანგეთის ჩემპიონობა, ხოლო ორჯერ საფრანგეთის წლის ფეხბურთელის წოდება დაიმსახურა.

ლევან ბიბილაშვილი

კიმ კალსტრიომი

● პორტუ

ბრანსფერები (მივიდნენ)

ფეხბ.	საიდან	თანხა
დანილო (ბრაზ)	სანტოსი	13 მლნ. ევრო
ალექს სანდრო (ბრაზ)	დეპ. მალდონადო	9,6
ელიაკიმ მანგალა (საფრ)	სტანდარდი	6,5
სტივ დეფური (ბელგ)	სტანდარდი	6
კლებერი (ბრაზ)	ატლ. მინეირო	2,4
ჯალმა (ანგ)	მარიტიმუ	თავ. აგენტი
რაფაელ ბრაკალი (ბრაზ)	ნასიონალი	–
დავიდ ადი (ბან)	აკადემიკა	იჯარა

წავიდნენ: *ჟორჟე ჩულა, ჟოზუე, რენატო, მარიანო გონსალესი, რაბიოლა, დიასი, ტომას კოსტა, რუი პედრო, ორლანდო სა, რუბენ მიკაელი, რადამელ ფალკაო, ბურა, კალიდუ კულიბალი, დანილო, კელვინი, ენრიკე სერენო, პედრო მორეირა, აბდუალიე, ივო პინტო, სოარესი, დიოგო ვიანა, სერჟიო ოლივეირა, პაველ კიესეკი, ბეტო, ატსუ, ბრუნო.*

პორტუ 2011/12

მეკარეები: **ელტონი** (ბრაზილია, 33 წლის), **რაფაელ ბრაკალი** (ბრაზილია, 30), **კადუ** (ანგოლა, 16).

მცველები: **მაიკონი** (ბრაზილია, 23), **ხორხე ფუსილე** (ურუგვაი, 26), **ემიდიო რაფაელი** (25), **ელიაკიმ მანგალა** (საფრანგეთი, 20), **მიგელ ლოპესი** (24), **ალვარო პერეირა** (ურუგვაი, 25), **როლანდო** (26), **კრისტიან სეპუნარუ** (რუმინეთი, 27), **ნიკოლას ოტამენდი** (არგენტინა, 23).

ნახევარმცველები: **ფრედი გუარინი** (კოლუმბია, 25), **ჟოაო მოუტინიო** (25), **ფერნანდო** (ბრაზილია, 24), **ფერნანდო ბელუში** (არგენტინა, 28), **სოუზა** (ბრაზილია, 22), **სტივ დეფური** (ბელგია, 23).

თავდამსხმელები: **კრისტიან როდრიგესი** (ურუგვაი, 25), **ჰალკი** (ბრაზილია, 25), **ვალტერი** (ბრაზილია, 22), **ჯალმა** (ანგოლა, 24), **კლებერი** (ბრაზილია, 21), **სილვესტრე ვარელა** (26), **ჯეიმს როდრიგესი** (კოლუმბია, 20), **ხუან მანუელ იტურბე** (არგენტინა, 18).

მწვრთნელი: ვიქტორ პერეირა

პორტუს მთავარი დამრტყმელი ძალა - ბრაზილიელი ჰალკი

ლიგა საგრეშის TOP 10 ბრანსფერი (მივიდნენ)

ფეხბ.	საიდან	სად	თანხა
1. დანილო	სანტოსი	პორტუ	13 მლნ. ევრო
2. ალექს სანდრო	დეპ. მალდონადო	პორტუ	9,6
3. აძსელ ვიტსელი	სტანდარდი	ბენფიკა	9
4. ელიასი	ატლეტიკო	სპორტინგი	8,8
5. ელიაკიმ მანგალა	სტანდარდი	პორტუ	6,5
6. სტივ დეფური	სტანდარდი	პორტუ	6
7. ესეკილ გარაი	რეალი	ბენფიკა	5,5
8. ბრუნო სეზარი	კორინთიანსი	ბენფიკა	5,3
9. რიკი ვან ვოლფსვინკელი	უტრეხტი	სპორტინგი	5,1
10. ნემანია მატიჩი	ჩელსი	ბენფიკა	5

● ბენფიკა

ბენფიკას ლიდერი ოსკარ კარდოსო

ბრანსფერები (მივიდნენ)

ფეხბ.	საიდან	თანხა
აძსელ ვიტსელი (ბელგ)	სტანდარდი	9 მლნ. ევრო
ბრუნო სეზარი (ბრაზ)	კორინთიანსი	5,3
ნემანია მატიჩი (სერბ)	ჩელსი	5
ესეკილ გარაი (არგ)	რეალი	5
ენცო პერესი (არგ)	ესტუდიანტესი	2,4
ემერსონი (ბრაზ)	ლილი	2
მიკა	ლეირია	0,5
ნუნუ კეოლიო	აკადემიკა	თავ. აგენტი
არტურ მორაეში	ბრაგა	–
ნოლიტო (ესპ)	ბარსელონა II	–
როდრიგო მორა (ურუგ)	დეფენსორი	–
ხოან კაპდევილა	ვილიარეალი	–

წავიდნენ: *ველდონი, ნუნუ გომეში, ლუიშ ფილიპე, ჟოაო პერეირა, მარიო რუი, სანა კამარა, ანდრე კარბალიაში, ფრედი ადუ, რობერტო ხიმენესი, ჟოზე მორეირა, ფაბიო კოენტრაო, ხავიერ ბალბოა, ჟორჟე რიბეირო, ჰასან იუბდა, ივან სანტოსი, აბელ პერეირა, ანდრე სოარესი, იან ობლაკი, ევანდრო ბრანდაო, ლიონელ კროლე, ელვისი, დანიელ ვასი, აირტონი, ფრანკო ხარა, სიდნეი, ხოსე ლუის ფერნანდესი, კარლუშ მარტინში, ჟულიო სეზარი, როდერიკი, ნუნუ კოელიო.*

ბენფიკა 2011/12

მეკარეები: **არტურ მორაეში** (ბრაზილია, 30), **ედუარდო** (29), **მიკა** (20), **ბრუნო ვარელა** (16).

მცველები: **ემერსონი** (ბრაზილია, 25), **მაქსი პერეირა** (ურუგვაი, 27), **მიგელ ვიტორი** (22), **ხოან კაპდევილა** (ესპანეთი, 33), **ლუიზაო** (ბრაზილია, 30), **ესეკილ გარაი** (არგენტინა, 24), **ჟარდელი** (ბრაზილია, 25).

ნახევარმცველები: **რუბენ ამორიმი** (26), **ბრუნო სეზარი** (ბრაზილია, 22), **ნიკოლას გაიტანი** (არგენტინა, 23), **დავიდ სიმაო** (21), **ენცო პერესი** (არგენტინა, 25), **ხავი გარსია** (ესპანეთი, 24), **პაბლო აიმარი** (არგენტინა, 31), **ნემანია მატიჩი** (სერბეთი, 23), **აქსელ ვიტსელი** (ბელგია, 22), **რუბენ პინტო** (19).

თავდამსხმელები: **ოსკარ კარდოსო** (პარაგვაი, 28), **როდრიგო** (ესპანეთი, 20), **ხავიერ სავიოლა** (არგენტინა, 29), **ნოლიტო** (ესპანეთი, 24), **როდრიგო მორა** (ურუგვაი, 23), **ნელსონ ოლივეირა** (პორტუგალია, 20).

მწვრთნელი: ჟორჟე ჟეზუსი

ნიკოლოზ ნეფარიძე

ლიგა საგრეშის TOP 10 ბრანსფერი (წავიდნენ)

ფეხბ.	საიდან	სად	თანხა
1. რადამელ ფალკაო	პორტუ	ატლეტიკო	40 მლნ. ევრო
2. ფაბიო კოენტრაო	ბენფიკა	რეალი	30
3. რობერტო ხიმენესი	ბენფიკა	სარაგოსა	8,6
4. სილვიო	ბრაგა	ატლეტიკო	8
5. რუბენ მიკაელი	პორტუ	ატლეტიკო	5
6. იანიკ ჯალო	სპორტინგი	ნიცა	4,5
7. ჟულიო ალვეში	რიუ ავე	ატლეტიკო	2,5
8. ზიმონ ვუკჩევიჩი	სპორტინგი	ბლეიზერნი	2,3
9. რუი მიგელი	გიმარაეში	კრასნოდარი	1
10. ელდერ პოშტიგა	სპორტინგი	სარაგოსა	1

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

● ბრაზილია

ვარსკვლავები რჩებიან და ბრუნდებიან

ბრაზილია ყოველთვის განთქმული იყო იმით, რომ ყოველწლიურად გზავნიდა ევროპულ კლუბებში ნიჭიერ ახალგაზრდა ფეხბურთელებს, რომლებიც შემდეგ მსოფლიო დონის ვარსკვლავები ხდებოდნენ.

რამდენიმე კარგად ჩატარებული მატჩი და ფინტები საკმარისი გახლდათ რომელიმე ევროპული კლუბის ანკესზე წამოსაგებად. მათი წარმომადგენლები ხომ მუდმივად სტუმრობდნენ და სტუმრობენ ნიჭიერი ფეხბურთელებით სავსე ქვეყანას.

ხმაურიანი ბრაზილიური ტრანსფერების ჩამოთვლა მრავლად შეიძლება, მაგალითად, 2003 წელს „სან პაულუდან" „მილანში" **კაკას** 8.5 მილიონ დოლარად გადასვლა, ან 2007 წელს მადრიდის „რეალის" მიერ „ფლუმინენსესთვის" გადახდილი 6.5 მილიონი დოლარი **მარსელოს** სანაცვლოდ.

მაგრამ ახლა დროება შეიცვალა და ბრაზილიელი ვარსკვლავები შინ რჩებიან.

„დღეს ბრაზილიური ბაზარი ძალიან შეიცვალა. ადრე, 20 ან 30 მილიონი დოლარის შეთავაზების შემთხვევაში, ბრაზილიური კლუბი დაუფიქრებლად უშვებდა ფეხბურთელს ევროპაში, რადგან ეს ძალიან დიდი ფული იყო. მაგრამ დღეს სულ სხვა სიტუაციაა - ბრაზილიური ვალუტის გაძლიერების გამო, ასეთი თანხები უკვე აღარ არის მიმზიდველი", - ამბობს სპორტული მარკეტინგის სპეციალისტი **ამირ სომოგი**.

„სანტოსის" ვუნდერკინდი **ნეიმარია** ის მოთამაშე, რომელიც ამ ახალ ტენდენციას ადასტურებს. „ჩელსიმ" 2010 წლის აგვისტოში ახალგაზრდა ვარსკვლავის სანაცვლოდ 20 მილიონის გადახდა გადაწყვიტა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

ცოტა ხნის წინ კი ესპანურმა გრანდებმა - „რეალმა" და „ბარსელონამ" ეს თანხა გაარომაგეს. ორივე შემთხვევაში „სანტოსმა" მოაზადა ფინანსური პაკეტი, რათა თავისი ლიდერი კლუბში შეენარჩუნებინა. როგორც ვარაუდობენ, ამჟამად ნეიმარის ხელფასი „სანტოსში" დაახლოებით 500 ათას ევროს იღებს თვეში.

ნეიმარის თანაგუნდელი - **განსო** კიდევ ერთი სასურველი მოთამაშეა ევროპული გრანდებისთვის. „სანტოსმა" ის 50 მილიონ დოლარად შეაფასა, ამიტომაც არ არის გამორიცხული, რომ განსო კიდევ კარგა ხანი შერჩება თავის ამჟამინდელ გუნდს. „სანტოსს" სულაც არ ეჩქარება მისი გაყიდვა.

ისევ ამირ სომოგის მოვუსმინოთ: *„ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ბაზარი შეიცვალა, ბრაზილიური ვალუტა გამყარდა და ახლა აქაური კლუბები მზად არიან შეინარჩუნონ საკუთარი მოთამაშეები"*.

გასულ წელს, ზაფხულში ბრაზილიიდან ევროპაში 45 ფეხბურთელი წავიდა, 2011 წელს ეს რიცხვი 19-მდე დავიდა.

2003 წელს, კლუბების შემოსავლის 37 პროცენტი მოთამაშეთა გაყიდვაზე მოდიოდა, 2010 წლისთვის ქვეყნის მთავარი კლუბებისთვის ეს მაჩვენებელი 15 პროცენტამდე დაეცა.

„დღეს ბრაზილიაში ისეთივე ხელფასები გვაქვს, როგორიც ესპანური კლუბების ფეხბურთელებს. რა თქმა უნდა, „რეალსა" და „ბარსელონას" არ ვგულისხმობ. კარგია, რომ ძლიერი ფეხბურთელები აქ რჩებიან, ხოლო სხვები სამშობლოში ბრუნდებიან", - ამბობს „სან პაულუს" ლეგენდარული კაპიტანი და გოლეადორი მეკარე **როჟერიო სენი**.

„სან პაულუ" კიდევ ერთი კლუბია, რომელსაც თავისი ვარსკვლავების შესანარჩუნებლად უწევს ზრუნვა. და ამას კარგად ახერხებს. ცოტა ხნის წინ, **ლუკას მოურას** 2015 წლის ბოლომდე გაუხანგრძლივეს კონტრაქტი. მისი ხელფასი შესამჩნევად გაიზარდა და ახლა, ლუკასის მსურველ კლუბებს მის შესაძენად 80 მილიონის გადახდა მოუწევთ.

20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრაზილიის ნაკრები ჩემპიონი გახდა, ხოლო მისი ლიდერი **კაზემირო** ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს. ამის შემდეგ „სან პაულუს" ხელმძღვანელობამ ასევე 2015 წლამდე გაიფორმა ეს 20 წლის ნახევარმცველი და ახლა, მის სანაცვლოდ 50 მილიონს ითხოვს. შეგახსენებთ, რომ ამ ზაფხულს კაზემიროთი „იუვენტუსი" და „ლაციო" იყვნენ დაინტერესებულნი.

■ ■ ■

მაგრამ ბრაზილიური კლუბები მხოლოდ ახალგაზრდა ვარსკვლავების შენარჩუნებით არ არიან დაკავებული. მაგალითად, „სან პაულუმ" წელს ყველაზე დიდი თანხა გადაიხადა შემადგენლობის გასაძლიერებლად - მან 7.6 მილიონი ევრო გადაიხადა ბრაზილიელი ფორვარდისთვის **ლუიშ ფაბიანოსთვის**.

ერთ-ერთი ფინანსური კვლევის თანახმად, გასული რვა წლის განმავლობაში ბრაზილიური კლუბების შემოსავალი 171 პროცენტით გაიზარდა - ძირითადად სპონსორებისა და სწორი მარკეტინგის წყალობით.

2012 წელს ეს რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდება, რადგან ამოქმედდება წელიწადში 450 მილიონი ევროს ოდენობის სატელევიზიო კონტრაქტი.

„თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ 2011 წლის ბოლოს, ყველაზე შემოსავლიანი კლუბების საუკეთესო ოცეულში ერთ ან ორ ბრაზილიურ გუნდს ვიხილავთ. ეს ერთ-ერთი საშუალებაა იმის შესაფასებლად, რამდენად გაიზარდა ბრაზილიური საკლუბო ფეხბურთის დონე", - ამბობს „სან პაულუს" მარკეტინგის დირექტორი **ადალბერტო ბაპტიშტა**.

კიდევ ერთი ფეხბურთელი, რომელიც ამ ზაფხულს შინ დაბრუნდა, ნახევარმცველი **ალექსი** გახლავთ. მოსკოვის „სპარტაკში" ორი წელი თამაშის შემდეგ, 29 წლის ფეხბურთელი 6 მილიონ ევროდ გადავიდა „კორინთიანსში".

ნეიმარი ბრაზილიაშიც ბედნიერია

„ბევრი ჩვენგანი, რომლებმაც ბრაზილია უკეთესი ფინანსური პირობების საძებნელად დავტოვეთ, უკან ვბრუნდებით და ხშირ შემთხვევაში, აქ უკეთესი ფინანსური პირობები გვხვდება, ვიდრე საზღვარგარეთ გვქონდა", - აცხადებს ალექსი.

ძლიერი ეკონომიკის წყალობით, ბრაზილიური ფეხბურთი არასოდეს ყოფილა მსოფლიო ბაზარზე ასეთი კონკურენტუნარიანი. თანაც მხოლოდ გრანდები არ მომძლავრებულან ფინანსურად - საშუალო დონის კლუბებიც მყარად დგანან ფეხზე და ისინიც ცდილობენ საკუთარი ფეხბურთელების უკან დაბრუნებას.

დათვლილია, რომ გასულ სეზონში ბრაზილია რეპატრირებული ფეხბურთელების რაოდენობით ლიდერია ყველა ქვეყანას შორის. ჯამში სამშობლოში 135 ფეხბურთელი დაბრუნდა.

„კარგია, რომ კლუბებმა ისწავლეს, როგორ გამოიყენონ საკუთარ ინტერესებში ბრაზილიის ახალი ეკონომიკა. ისწავლეს, როგორ იმუშაონ ასეთ სიტუაციაში და როგორ მიიღონ მოგება. ეს ყველაფერი საშუალებას აძლევს კლუბებს უფრო მეტი ფული იშოვონ და უკეთესი პირობები შეუქმნან საკუთარ ფეხბურთელებს", - ესეც ალექსის სიტყვებია.

თანაც, გასული წლებისგან განსხვავებით, აქ მხოლოდ ვეტერანები არ ჩამოდიან კარიერის დასასრულებლად. **რონალდინიო** „მილანიდან" „ფლამენგოში" ამ წლის დასაწყისში გადავიდა და ყოველთვიური ხელფასის სახით 600 ათას ევრო მიიღო. 30 წლის ფეხბურთელს თავის კარიერაში ერთ-ერთ საუკეთესო პერიოდი უდგას. დაახლოებით ისეთი, როგორიც „ბარსელონაში" ჰქონდა. შესაბამისად, ის ცოტა ხნის წინ ბრაზილიის ნაკრებში დააბრუნეს.

ამჟამად, მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატისთვის ბრაზილიაში 12 სტადიონს უტარებენ რეკონსტრუქციას, რის შემდეგაც ბრაზილეირაოს მატჩები უფრო სასიამოვნო სანახავი იქნება.

მოკლედ, ქვეყანაში ნიჭიერი ფეხბურთელების გადინების შეჩერება და ლეგიონერების დაბრუნება - ბრაზილიური კლუბების ახალი რეალობაა.

შედეგი კი ის არის, რომ მოედანზე უფრო დაძაბულ ბრძოლებს ვხედავთ, ტრიბუნებზე - მეტ აღფრთოვანებას.

ლეანდრო დამიაო

ბრაზილიის ახალი გოლეადორი

გოლეადორი ბრაზილიურ პრესაში ბევრს წერენ „ინტერნასიონალის" ფორვარდ ლეანდრო დამიაოზე, რომელიც, ბევრის აზრით ქვეყნის ეროვნული ნაკრების შეუცვლელი ცენტრფორვარდი უნდა გახდეს. ბოლო პერიოდში, პენტაკამპიონთა შემადგენლობაში ყველაზე მეტად სწორედ ეს პოზიციაა პრობლემური. გაზეთი O'Globo „ინტერის" თავდამსხმელზე გვიყვება.

ლეანდრო დამიაო ერთი მეტრი და 93 სანტიმეტრი სიმაღლისაა და შესაბამისად, გამორჩეული ფიგურაა მოედანზე. მაგრამ ის არა სიმაღლით, არამედ სწორედ თავისი ტემპის, ტექნიკისა და ოსტატობის წყალობით დგას სხვებზე მაღლა. 2011 წელს გატანილმა 40-მა გოლმა დამიაო ბრაზილიური ფეხბურთის ახალ გოლეადორად აქცია.

„არ აქვს მნიშვნელობა ფინალს ვთამაშობ თუ რაიმე სხვა მნიშვნელობის მატჩს. ყოველ შეხვედრაში ისე თამაშს ვცდილობ, თითქოს ის ბოლო იყოს ჩემს კარიერაში. მაქსიმალურად ვიხარჯები", - ამბობს დამიაო.

22 წლის ფორვარდმა სულ ცოტა ხნის წინ პირველი გოლი გაიტანა ბრაზილიის ნაკრების ყვითელი მაისურით. განას ნაკრების კარში გატანილმა ბურთმა შენყვიტა მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონთა 13-თვიანი მოუგებელი სერია იმ გუნდების წინააღმდეგ, რომლებიც 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მონაწილეობდნენ.

„ეროვნული ნაკრები - ჩემი ახდენილი ოცნებაა. ნებისმიერ მოთამაშეს სურს იქ მოხვედრა. როგორც იცით, ბოლო პერიოდში ეროვნულ [illegible]ნდს პრობლემა შეექმნა რეგულარ[illegible] ტრფორვარდის ძიების მხრი[illegible] ლიც სტაბილურად გაიტანდა გოლებს. მე ახალგაზრდა ვარ, ახლახან დავიწყე თამაში „ინტერნასიონალის" შემადგენლობაში და ახლა ვიმკვიდრებ ადგილს ბრაზილიურ ფეხბურთში. ასე რომ, ის გოლი ჩემთვისაც და ბრაზილიისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო", - აგრძელებს დამიაო.

ფორვარდს მიაჩნია, რომ მის კარიერაში გარდატეხა გასული წლის აგვისტოში მოხდა, როცა ის ლიბერტადორესის თასის ფინალის მეორე მატჩში „გვადალახარას" წინააღმდეგ 72-ე წუთზე შევიდა მოედანზე და ოთხ წუთში გოლი გაიტანა.

„ლიბერტადორესის თასზე მუდმივად დავყვებოდი გუნდს, მაგრამ ხანდახან განაცხადშიც ვერ ვხვდებოდი. მაგრამ ფინალის მეორე მატჩის მეორე ტაიმში ტრავმა მიიღო რაფაელ სობისმა და გუნდის მაშინდელმა მწვრთნელმა სელსო როტმა მოედანზე შემიშვა. ეს ჩემი შანსი იყო, რომელიც აუცილებლად უნდა გამომეყენებინა".

დღეს კი ფორვარდის შეძენით ბევრი დიდი ევროპული კლუბია დაინტერესებული. როგორც ბრაზილიური პრესა წერს, „ტოტენჰემმა" 19 მილიონი ევრო შესთავაზა „ინტერნასიონალს". ეს თანხა ძალიან შორს არის იმ 15 დოლარისგან, რომელსაც დამიაო იღებდა ქალაქ სან-პაულუს ღარიბ რეგიონში მოყვარულთა დონეზე ერთი მატჩის სანაცვლოდ.

„ოთხი წლის წინ სან-პაულუში მოყვარულთა დონეზე ვთამაშობდი. მაშინ არც კი ვფიქრობდი პროფესიულ ფეხბურთზე, რადგან უკვე საკმაოდ ასაკოვანი ვიყავი ამისთვის. სამუშაოს ვეძებდი. სწორედ მაშინ მამაჩემის მეგობარმა, რომელიც სანტა კატარინაში ცხოვრობდა, თავისთან წამიყვანა სამოყვარულო გუნდში სათამაშოდ. იქ ორი კვირა დავრჩი და „იბირამა ატლეტიკოს" იუნიორთა გუნდში ვითამაშე. უკვე ერთი კვირის შემდეგ პირველ გუნდში გადამიყვანეს".

დამიაო სან-პაულუს უბან ჟარდიმ ანჟელაში ძალიან ღარიბულად ცხოვრობდა. ფეხბურთელის მამა - **ნატალინო დუშ სანტუში** ყოფილი შვეიცარია.

„იმ რთული პერიოდის გახსენებისას, ხანდახან ტირილი მინდება. ბევრი სირთულე გადავიტანეთ. როცა ის სანტა კატარინაში წავიდა, პერიოდულად მირეკავდა და საჭმლის ფულს მთხოვდა, მაგრამ არასოდეს ამბობდა რამდენი სჭირდებოდა. თვეში მხოლოდ 30, 50 ან 100 რეალის გაგზავნას ვახერხებდით", - ამბობს ნატალინო დუს სანტუში.

ლეანდრო დამიაო: *„იქ ერთი წელი დავრჩი და საქმეები მაინცდამაინც კარგად არ მიდიოდა, ამიტომაც ჯერ ისევ ვფიქრობდი ფეხბურთისთვის თავის დანებებას. მაგრამ საბედნიეროდ ეს არ გავაკეთე და უკვე მომავალ წელს, შტატის ჩემპიონატში გუნდის საუკეთესო ბომბარდირი გავხდი. ამასობაში, ჩემით „ინტერნასიონალი" დაინტერესდა და მისმა პრეზიდენტმა ჯოვანი ლუიჯიმ და ჩემმა აგენტმა სამთვიან იჯარაზე მიაღწიეს შეთანხმებას"*.

დამიაო კარგად აცნობიერებდა, რომ მას უდიდესი შანსი მისცეს. ის მოხვდა კლუბში, რომელსაც აღზრდილი ჰყავდა ბრაზილიის საუკეთესო ფორვარდები - **რაფაელ სობისი, ნილმარი, ალეშანდრო პატუ...**

„ინტერნასიონალში" ბევრი სათამაშო კომპონენტის გაუმჯობესებაზე უნდა მეფიქრა, რადგან იუნიორთა გუნდში ჩამოვრჩებოდი თანაგუნდელებს. არ ვიცოდი ბურთის კონტროლი, მისი შენარჩუნება და სხვა ელემენტები, რაც საჭიროა ცენტრალური ფორვარდისთვის".

მოყვარულის სტატუსიდან ქვეყნის მთავარ გოლეადორამდე გზა იოლი არ ყოფილა. იუნიორთა გუნდში ძალიან გაუჭირდა, რადგან პარტნიორებისგან ბევრ ცუდ გადაცემას იღებდა და დიდი შრომა უწევდა გოლების გასატანად.

„რაც მთავარია, სურვილი მქონდა. ნებისმიერი მატჩის დროს ჩემს მომავალსა და შანსზე ვფიქრობდი. იუნიორთა გუნდში თამაშმა ბევრი რამ მომცა და ის გამოცდილება რომ არა, შეიძლება დღეს სულ სხვა დონეზე ვყოფილიყავი".

ამჟამად ლეანდრო დამიაო ბრაზილიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირობისთვის იბრძვის. მას 2014 წლის ბოლომდე აქვს გაფორმებული კონტრაქტი „ინტერნასიონალთან". მიმდინარე ჩემპიონატში უკვე 13 გოლი დაუგროვდა, აქედან ცხრა ბოლო ცხრა მატჩში გაიტანა და რაც მთავარია, „ინტერნასიონალმა" ლიბერტადორესის თასის საგზურისთვის ბრძოლის შანსი მიიღო.

„ხშირად მოგებულ მატჩებში ვუშვებთ ხელიდან გამარჯვებას. თითქოს უნდა მოვიგოთ, მაგრამ შეხვედრა ფრედ სრულდება. ამის გამო ბევრი ქულა დავკარგეთ".

დამიაომ ამ ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი მე-18 ტურში „ფლამენგოს" წინააღმდეგ ჩაატარა და ამ სეზონის ერთ-ერთი ულამაზესი გოლიც გაიტანა.

„ის მაკრატელა ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის. ვაგებდით, თან მსაჯმა ერთი ფეხბურთელი გაგვიგდო მოედნიდან. სწორედ ჩემი გოლი გახდა გარდამტეხი მომენტი. ისეთი ძლიერი კლუბის წინააღმდეგ თავის გამოჩენა, როგორიც „ფლამენგოა", უმნიშვნელოვანესი მომენტი გახლდათ".

მოკლედ, ლეანდრო დამიაომ რთული გზა გაიარა პროფესიონალ ფეხბურთელობამდე. და ამ გზის ლოგიკური და ლამაზი დასასრული იქნება 2014 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრება.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

● მძლეოსნობა

შეგვია ბოლტზე

გასულ კვირას 21 წლის იამაიკელის **იოჰან ბლეიკის** მიერ ნაჩვენებმა ფანტასტიკურმა დრომ (200 მეტრი - 19.26) შოკში ჩააგდო მძლეოსნობის ყველა მოყვარული, მათ შორის - ერთადერთი მორბენალი ისტორიაში, ვისაც ეს დისტანცია უკეთეს დროში აქვს დაფარული - **უსაინ ბოლტი.**

პლანეტის უსწრაფესი ადამიანი მართლაც გაოგნებული იყო. სამწლიანი პოპულარობისა და დომინირების პირობებში უსაინმა ათასგვარი ხრიკი ისწავლა, მათ შორის, ემოციების დაფარვა. მაგრამ ამჯერად თვით ბოლტმაც ვერ დამალა განცვიფრება.

„ეს მართლაც ძალიან ძლიერი შედეგია, - განაცხადა იმ გარბენის კომენტარისას ბოლტმა. - *გაოცებული ვარ. რამდენჯერმე მინახავს იოჰანი 200 მეტრ დისტანციაზე და ეს არ ყოფილა მაინცდამაინც კარგი გარბენი. ვირაჟის გავლისას მოიკოჭლებდა. დღეს კი მან იდეალურად გაირბინა. მე შგონი, მას ჩემი რჩევები აღარ სჭირდება".*

თავად ბოლტმა ბრიუსელში წელს საუკეთესო გარბენი აჩვენა. ამ სეზონში უსაინი ძირითადად, სუსტად დარბოდა, ხოლო მისი მოკრძალებული გამოსვლის მწვერვალი გახდა ფაულსტარტი მსოფლიოს ჩემპიონატზე. ამიტომაც სჭირდებოდა მას ბელგიაში სწრაფი დროის დაბრუნება. და დაიბრუნა კიდეც. ასი მეტრი 9.76 წამში გაირბინა, რითაც სეზონში საუკეთესო შედეგი აჩვენა. მაგრამ... მოულოდნელად დაკარგა პირველი ადგილი 200 მეტრის რეიტინგში.

ბლეიკის მიერ ნაჩვენები დრო მხოლოდ 0.07 წამით უარესია ბოლტის რეკორდზე (19,19), რომელიც ჯერ კიდევ გუშინ ყველას მიუღწეველი ეგონა. უფრო მეტიც, 19,26 წამი მეორე დროა მძლეოსნობის ისტორიაში: ბლეიკმა შეძლო ფენომენური ამერიკელის **მაიკლ ჯონსონის** გასწრება, რომელმაც 1996 წელს ატლანტას ოლიმპიადაზე „გრძელი სპრინტი" 19,23 წამში გაირბინა და თითქოს „სამუდამო" რეკორდი დაამყარა.

■ ■ ■

ბლეიკი, რომელიც ბევრისთვის არსაიდან გამოჩნდა, ბოლტთან ერთად რამდენიმე წელია ვარჯიშობს ქალაქ კინგსტონის კლუბ Racers Track-ში. ორივენი სპრინტში მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელის **გლენ მილზის** შეგირდები არიან. მრავალი წლის განმავლობაში მილზი იამაიკის ოლიმპიური ნაკრების დამრიგებელი იყო, მაგრამ 2009 წელს დატოვა პოსტი, რათა მთლიანად გადართულიყო ბოლტის მომზადებაზე.

მილზი დიდი ხანია ბლეიკს ბრწყინვალე მომავალს უწინასწარმეტყველებდა. ამას ხმამაღლა არ აკეთებდა, მაგრამ შემდეგ ყველამ გაიხსენა მწვრთნელის განცხადებები, როცა ტეგუში იოჰანი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა 100 მეტრ დისტანციაზე. გაიხსენეს თავად ბოლტის სიტყვებიც: ბლეიკი იამაიკის სპრინტის მომავალია.

არადა, ბლეიკს თავად იამაიკაშიც კი დიდად არ აფასებდნენ. ბევრი დარწმუნებული იყო, რომ იოჰანი საერთოდ ვერ მოიპოვებდა მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურს სპრინტში არსებული უდიდესი კონკურენციის გამო. როცა ქვეყნის ჩემპიონატში მან მეორე ადგილი დაკავა **ასაფა პაუელის** შემდეგ, იოჰანმა დემონსტრაციულად ჩაიარა იამაიკელი ჟურნალისტების წინ, რომლებსაც ეჭვი ეპარებოდათ მის შესაძლებლობებში.

დღეს, რა თქმა უნდა, ვერავინ იძლევა იმის გარანტიას, რომ 21 წლის ბიჭი სრულად ჩამოყალიბდა დიდი გამარჯვებებისთვის. დამაჯერებლად მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ იამაიკის სპრინტის მომავალი სინამდვილედ იქცა. ბლეიკს, რომელიც სპრინტში მსოფლიოს ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი გახდა, არავინ აღარ დაუძახებს ბოლტის სპარინგ-პარტნიორს.

დიადი სპრინტერებიდან იშვიათად ვინმეს ასე დაეწყოს კარიერა. უფრო სწორად, არც არავის დაუწყია. ლეგენდარულმა **კარლ ლუისმა** პირველად 100 მეტრი მსოფლიოს ჩემპიონატზე 22 წლის ასაკში მოიგო (1983). ბოლტი პეკინში ოლიმპიადის ორგზის ჩემპიონი თითქმის 22 წლის ასაკში გახდა. 200 მეტრის ფინალი, სადაც ბოლტმა 19,30 წამით გრანდიოზულ გარღვევას მიაღწია, მისი დაბადების დღის წინ შედგა, ხოლო 4x100 მეტრი ესტაფეტის დროს, როცა ბოლტი სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, იამაიკელი უკვე 22 წლის იყო. პეკინამდე ბოლტი 200 მეტრს მხოლოდ 19,67 წამში დარბოდა, ხოლო 2007 წელს ოსაკაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ის მეორე იყო **ტაისონ გაის** შემდეგ შედეგით - 19,91.

ბლეიკს 22 წელი მხოლოდ 26 დეკემბერს შეუსრულდება და მას უკვე აქვს 19,26 წამი. ამიერიდან ის ბოლტისთვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს.

იოჰან ბლეიკი

● ამბები

ველოსპორტი

ჩემპიონაბი ამერიკას მისცეს

ველომრბოლთა საერთაშორისო კავშირმა ვირჯინიის შტატის ქალაქი რიჩმონდი აირჩია მსოფლიოს 2015 წლის ჩემპიონატის მასპინძელ ქალაქად. ტურნირი 19-27 სექტემბერს გაიმართება, პროგრამაში შეტანილი იქნება ჯგუფური რბოლა, აგრეთვე ინდივიდუალური და გუნდური განცალკევებითი რბოლები.

ამერიკა 1986 წლის შემდეგ პირველად მიიღებს მსოფლიოს ჩემპიონატს. მაშინ პლანეტის პირველობას კოლორადოსპრინგმა უმასპინძლა.

ციგურებით სრბილი

ლეგენდამ კარიერა დაასრულა

სახელგანოქმულმა კანადელმა მოციგურავემ **კრისტინა გროუვზმა** კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადა. 2010 წლის ნოემბერში 34 წლის სპორტსმენმა მსოფლიოს თასის ერთ-ერთი ეტაპზე დაცემის დროს ტვინის შერყევა მიიღო და ამით ის სეზონი მისთვის ნაადრევად დასრულდა.

ვანკუვერის ოლიმპიადაზე გროუვზმა ორი მედალი მოიპოვა: ვერცხლი 1500 მეტრზე და ბრინჯაო - 3000 მეტრზე. სულ კარიერაში კანადელის ანგარიშზე ოთხი ოლიმპიური მედალი და მსოფლიოს ჩემპიონატის 18 პოდიუმი მოდის.

პოკერი

ჯექსის მცველი ცოხე ეშუქრება

„ვინიპეგ ჯეტსის" წამყვან მცველს **დასტინ ბაფლინს** არაფხიზელ მდგომარეობაში კატერის მართვისთვის ბრალი წაუყენეს. აგვისტოს ბოლოს ჰოკეისტი პოლიციამ დააკავა - ბაფლინი სიმთვარისგან ნონასწორობას ვერ იკავებდა და მისი ლაპარაკის გარჩევა შეუძლებელი იყო. გარდა ამისა, კატერზე, რომელსაც ბაფლინი მართავდა, დამონტაჟებული არ იყო სასიგნალო ფანრები და არც მაშველი ჟილეტები მოიპოვებდა, თავად ჰოკეისტმა კი უარი თქვა სამედიცინო ექსპერტიზის გავლაზე.

თუ სასამართლო ჰოკეისტს მაქსიმალურად შესაძლებელ განაჩენს გამოუტანს, ბაფლინს ერთი წლით ჩასვამენ ციხეში.

პირველი შვეიცარიელი კაპიტანი

„ნიუ იორკ აილენდერსმა" მომავალი სეზონისთვის ახალი კაპიტანი აირჩია. დამდეგ რეგულარულ ჩემპიონატში გუნდს თამაშებზე მცველი **მარკ შტრაიტი** გაიყვანს. 33 წლის შვეიცარიელი ნიუ-იორკულ კლუბში 2008 წლიდან თამაშობს. ამ დროის განმავლობაში მან 156 მატჩში მიიღო მონაწილეობა და 105 ქულა (27+78) დააგროვა.

აღსანიშნავია, რომ შტრაიტი პირველი შვეიცარიელი კაპიტანია ჰოკეის ეროვნული ლიგის ისტორიაში.

შარშან, „აილენდერსის" კაპიტანი გახლდათ ფორვარდი **დაგ უეიტი**, რომელმაც დაასრულა კარიერა.

ოლიმპიზმი

ჩინეთმა 20 წელი უნდა მოიცადოს

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **ჟან როგემ** ჟურნალისტებს განუცხადა, რომ უახლოესი 20 წლის განმავლობაში ჩინეთი ვერ შეძლებს ოლიმპიადის მიღებას. მისი აზრით, სხვა ქვეყნებსაც დიდი სურვილი აქვთ ოლიმპიადის მასპინძლობის, ჩინეთმა კი 2008 წელს ჩაატარა ზაფხულის თამაშები.

„ბევრ ჩინურ ქალაქს სურს ოლიმპიადის მიღება, მათ შორის შანხაისა და გუანგჯოუს, - ამბობს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, - *მაგრამ მათ მინიმუმ 20 წელი მოცდა მოუწევთ, შეიძლება უფრო მეტის. ოლიმპიადა მთელს მსოფლიოს ეკუთვნის. ამიტომაც ოლიმპიურ კომიტეტს იმედი აქვს, რომ ნებისმიერი ქვეყანა შეძლებს თამაშების მასპინძლობას".*

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

● ცხელი ხაზი

ფეხბურთი

იტალია

რომა-სიენა	1:1

ესპანეთი

ესპანიოლი-ხეტაფე	1:0
ბეტისი-სარაგოსა	4:3

გერმანია

რეგიონალლიგა (დასავლეთი)

დორტმუნდი A-ფორტუნა A	2:4

პოლანდიის თასი

ახილესი-ტელსტარი	1:1 პენ. 2:1
ალკმაარი-გრონინგენი	1:1 დ.დ. 4:2

პორტუგალია

II დივიზიონი

მადეირა-ტროფენსე	0:1

დანიის თასი

ფრედერისია-ოდენსე	1:0

ნორვეგია

რუსენბორგი-სიოგნდალი	2:1

ნორვეგიის თასი

ოლესუნდი-სტარტი	1:0

შვედეთი

გიოტებორგი-ჰაკენი	2:2

უნიეთი

მარიეჰამნი-ტურკუ	0:3

II დივიზიონი

კოტეპე-იიპო	1:0
კემი-პკ 35	3:0

შვეიცარია

სერვეტი-ლუცერნი	0:2
სიონი-გრასჰოპერსი	2:0

თურქეთი

ანკაგიუჯუ-ზივასი	1:2
ბურსა-ბეშიქთაში	1:2

ინგლისი

კეფლავიკი-რეიკიავიკი	2:3

რუსეთი

II დივიზიონი

სკა ენერგია-ენისეი	4:3
მორდოვია-ურალი	4:2
კამაზ-გაზოვიკი	1:3
ბალტიკა-ხიმკი	4:1

ეროვნული ჩემპიონატი

გოდოი-უნიონი	1:1

პოკერი

კალ

ავანგარდი-სევერსტალი	5:2
მეტალურგი (მ)-ვიტიაზი	4:0
იუგრა-სპარტაკი	1:2

დანია

როდოვრე-ოლბორგი	3:5
ჰვიდოვრე-ჰერლევი	1:2
ფრედერიკშავნი-ესბერგი	4:1
ჰერნინგი-ოდენსე	1:4

ნორვეგია

ლილეჰამერი-ფრისკ ასკერი	4:1
ლორენსკოგი-რუსენბორგი	5:0
სტიორნენი-სპარტა	5:2

ფინეთი

ჰიფკ-ტაპარა	6:0

ჩეხეთი

ლიბერეცი-ვიტკოვიცე	0:6

შვედეთი

ლინეჩოპინგი-შელეფტეო	0:4
ლულეო-იურგორდენი	5:2
ვოდო-აიკ	0:2

ჩოგბურთი

ATP. ბუქარესტი

რიბა-**რამოსი**	6:2, 4:6, 5:7
სოუზა-უნგური	4:6, 7:6, 6:1
ვოლანდრი-გრანოლერსი	6:1, 6:3
ბერლოკი-**ფ. მაიერი**	2:6, 6:0, 4:6
ჟილი-**ჯანესი**	6:7, 6:0, 3:6
ანდუხარი-კოპილი	6:2, 6:3

ATP. მეცი

კუნიცინი-**მალისე**	4:6, 2:6
კოლშრაიბერი-**სისლინგი**	4:6, 5:7
მაუ-კლემანი	3:6, 7:5, 6:3
ცონგა-როდრიგესი	6:3, 6:4
ო. როხუსი-**გასკე**	2:6, 1:6

WTA. გუანგჯოუ

უ. რადვანსკა-**სხეპერსი**	6:4, 6:7, 3:6
კირილენკო-ლუჟანსკა	6:1, 7:5
ჟენგი-მარტიჩი	1:6, 6:4, 6:3
რიბარიკოვა-გაიდოშოვა	6:4, 6:3

WTA. სეული

დანილიდუ-**გორჯესი**	4:6, 5:7
ბენეშოვა-**ვოსკობოევა**	4:6, 4:6
მარტინეს სანჩესი-პლიშკოვა	7:6, 6:2
დუშევინა-დულგერუ	6:3, 6:1

● TV პროგრამა

23 სექტემბერი. პარასკევი

GMG-ფეხბურთი

10:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. XXIV ტურის მიმოხილვა.
10:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL.
11:00 არგენტინის ჩემპიონატი. V ტურის მიმოხილვა.
12:00 ესპანეთის ჩემპიონატი. რასინგი-რეალი.
14:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-ბარსელონა.
16:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. სან პაულუ-სპარა.
17:00 იტალიის ჩემპიონატი. IV ტურის მიმოხილვა.
19:00 არგენტინის ჩემპიონატი. ბოკა ხუნიორსი-ესტუდიანტესი.
21:00 ესპანეთის ჩემპიონატი. V ტურის მიმოხილვა.
22:00 იტალიის შოუ.
22:30 გერმანიის ჩემპიონატი. VII ტური. შტუტგარტი-ჰამბურგი (LIVE).
00:30 სუპერმატჩი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ჩელსი.

GMG-სპორტი

10:00 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ევიანი-პსჟ.
12:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. რუმინეთის ღია პირველობა. 1/4 ფინალი. ბუქარესტი (LIVE).
20:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-რომა.
22:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ემოციები.
22:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. 1/8 ფინალი. ფილიპ კოშრაიბერი-ხუან მარტინ დელ პოტრო. ინდიან უელსი. აშშ.
00:55 გოლფი.

I არხი

12:25 რაგბი. მსოფლიოს თასი. ჯგუფური ეტაპი. ავსტრალია-აშშ. ახალი ზელანდია (LIVE).
17:00 წყალბურთი. ევროპის საკლუბო ჩემპიონატი. თბილისი. საქართველო (LIVE).
18:30 წყალბურთი. ევროპის საკლუბო ჩემპიონატი. თბილისი. საქართველო (LIVE).

HTB-პლუსი (ფეხბურთი)

22:25 გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-ჰამბურგი (LIVE).

HTB-პლუსი (სპორტი)

21:55 მხატვრული ტანვარჯიში. მსოფლიოს ჩემპიონატი. მრავალჭიდი. ფინალი. საფრანგეთი (LIVE).

HTB-პლუსი (ონლაინი)

19:25 ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. თურქეთი-აზერბაიჯანი. ჩეხეთი (LIVE).
23:00 რაგბილიგა. ევროპის სუპერლიგა. პლეი ოფი. ჰადერსფილდი-ლიდსი (LIVE).

HTB-პლუსი (ჩოგბურთი)

12:00 ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ბუქარესტი. რუმინეთი (LIVE).
16:00 ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. მეცი. საფრანგეთი (LIVE).

SPORT+

22:10 ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. რუსეთი-ბულგარეთი. იტალია (LIVE).

EUROSPORT

11:30 ველოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ჯგუფური რბოლა. ქალები. კოპენჰაგენი. დანია (LIVE).
15:00 ველოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ჯგუფური რბოლა. იუნიორები. კოპენჰაგენი. დანია (LIVE).
22:45 პროფესიული კრივი. ტურნირი Bigger's Better. მძიმე წონა. ვილნიუსი. ლიტვა (LIVE).

EUROSPORT-2

18:30 კრიკეტი. ჩემპიონთა ლიგა. Twenty20. საკვალიფიკაციო რაუნდი. ინდოეთი (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სკანდალი

ერთ-ერთი სკანდალური ფოტო

უცნაური სპორტი

წესების გარეშე ბრძოლებთან დაკავშირებით ინგლისში სერიოზული სკანდალი აგორდა. საქმე ისაა, რომ ორთაბრძოლებში მონაწილეობდნენ ხუთიდან რვა წლამდე ბავშვები. ამ უცნაური სანახაობის ორგანიზატორი იყო ქალაქ პრესტონის ერთ-ერთი კლუბი - Greenlands Labour Club. ბრძოლები შერეული ორთაბრძოლეების წესებით მიმდინარეობდა, თუმცა მონაწილეები დარტყმების არსენალში შეზღუდულები იყვნენ.

როგორც გაზეთი The Sun იუწყება, ბრიტანეთის სამედიცინო ასოციაციამ უკვე აკრძალა ამგვარი კომერციული შეჯიბრება, პოლიციამ კი გამოძიება დაიწყო.

„არც ერთი მათგანის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრებოდა, - განაცხადა ერთი-ერთი არასრულწლოვანი მებრძოლის მამამ. - *ყოველგვარი დაზიანება გამორიცხული იყო“.*

კლუბის მფლობელმა და ბრძოლების ორგანიზატორმა, 28 წლის **სტივენ ნაიტინგეილმა** განაცხადა, რომ „ეს იყო სრულიად უწყინარი, კარგი და საინტერესო ღონისძიება“. *„მონაწილეთა საწყისი ასაკი - 5 წელია. ორთაბრძოლები ჭიდაობის ილეთებს ეფუძნება, რადგან 14-15 წლის ასაკამდე დარტყმები აკრძალულია“,* - ამბობს ნაიტინგეილი, რომელიც თავად იყო შერეული ორთაბრძოლების მონაწილე. მან ისიც დაამატა, რომ მსგავსი ბრძოლები სულ უფრო მეტად პოპულარული ხდება.

ბრძოლის დროს ერთ-ერთი ატირებული ბავშვის შესახებ ნაიტინგეილმა უპასუხა: *„უბრალოდ, იმ ბიჭს წაგება არ ჰქონდა და როცა პირველად დამარცხდა, ემოციები ვეღარ შეიკავა“.*

ბრიტანეთის მედიცინის ასოციაციამ დაგმო ბავშვების ბრძოლები წესების გარეშე: *„ჩვენ უარს ვამბობთ გალიებში ჩხუბზე. მაგრამ მსგავსი ბრძოლები ბავშვებს შორის განსაკუთრებით საგანგაშოა“.*

● ამბები

კალათბურთი

ჩინური რეკორდი

„დალას მავერიქსის“ ფორვარდმა **კენიონ მარტინმა** ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა ჩინეთის კალათბურთის ასოციაციის კლუბ „სინციანთან“. ხელშეკრულების თანახმად, მარტინი წელიწადში 2.65 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს.

აღსანიშნავია, რომ ეს ხელშეკრულება რეკორდული გახლავთ ჩინური ლიგის ისტორიაში.

აგენტები ნანობენ

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის მოთამაშეთა აგენტები სინანულს გამოთქვამენ იმის გამო, რომ აჩქარდნენ და ზაფხულში უარი თქვეს ევროპული კლუბების შემოთავაზებებზე.

როგორც ამერიკული პრესა წერს, მოთამაშეთა წარმომადგენლებს თავიანთი კლიენტების ფასის აწევა სურდათ, მაგრამ ახალ წინადადებებს ისინი მაინც ვერ ეღირსნენ.

შეგახსენებთ, რომ პირველი მოთამაშე, რომელმაც სიტუაციას ალღო ალღო და „ბებერ კონტინენტზე“ გადასვლა გადაწყვიტა, „ნიუ ჯერსის“ ვარსკვლავი გამთამაშებელი **დერონ უილიამსი** იყო, რომელმაც თურქულ „ბეშიქთაშთან“ გააფორმა კონტრაქტი.

უკრაინაში კალათბურთელებს სჯიან

უკრაინის კალათბურთის ფედერაციის აღმასკომმა ორი კალათბურთელი დასაჯა, რომლებმაც წელს ეროვნული ნაკრების რიგებში ევრობასკეტზე თამაში არ მოისურვეს.

პირველი ნაკრების წევრები - **არტურ დროზდოვი** და **კირილ ნატიაჟკო** ერთი წლით არიან დისკვალიფიცირებული ფედერაციის ეგიდით გამართულ ნებისმიერ ტურნირზე. იგივე ვადით დაისაჯნენ **ალექსეი ლენი** და **რომან გუმენიუკი**, რომლებიც სტუდენტურ ნაკრებს უნივერსიადაზე არ გაჰყვნენ.

ყველაზე მეტად ამ სიტუაციაში დროზდოვი დაზარალდა, რადგან ის უკრაინაში თამაშობს.

ფორმულა 1

მაკლარენი მერსედესის ერთგულია

„მაკლარენის“ ხელმძღვანელობა არ აპირებს უახლოეს პერიოდში უარი თქვას ძრავებზე, რომელსაც გერმანული ავტოგიგანტი „მერსედესი“ აწვდის. ეს თანამშრომლობა მინიმუმ 2015 წლამდე გაგრძელდება, მიუხედავად იმისა, რომ 2014 წლის სეზონიდან ფორმულა 1 1.6 მოცულობის ტურბოძრავებზე გადასვლას აპირებს.

აღსანიშნავია, რომ ბრიტანული საჯინიბოს კონკურენტები არ იყენებენ „მერსედესის“ ძრავებს: „რედ ბული“ „რენოს“ ძრავებით მოძრაობს, „ფერარი“ და „მერსედეს გრან-პრი“ კი თავად აწარმოებენ ძრავებს შესაბამისად, მარანელოსა და ბრისკფორში.

რენოდან პეტროვსაც უშვებენ

ბოლო დროს „ლოტუს-რენოს“ პილოტების გარშემო დიდი აჟიოტაჟია ატეხილი. ამჯერად ყურადღების ცენტრში მოექცა რუსი **ვიტალი პეტროვი**, რომელსაც ასევე ემუქრება ფრანგული საჯინიბოს დატოვება.

ამას წინათ რუსმა პილოტმა განაცხადა, რომ არ ღელავს საკუთარი მომავლის გამო, რადგან 2012 წლისთვის გარანტირებული კონტრაქტი აქვს, მაგრამ მისმა ბოსმა **ერიკ ბუიემ** ამ დღეებში ასეთი რამ თქვა: *„მას კონტრაქტი აქვს, მაგრამ იქ ხელშეკრულების ცალმხრივად გაწყვეტის პუნქტი არსებობს“.*

როგორც ვარაუდობენ, რუსის ადგილი მომავალ სეზონში, შესაძლოა, ბუიეს თანამემამულემ **რომან გროსჟანმა** დაიკავოს.

● ფორმულა 1

კვირას ფორმულა 1-ის განათლება

უახლოეს უქმეებზე ფორმულა 1-ის პილოტები წლევანდელი სეზონის ბოლო მესამედ ნანილს გახსნიან - „მარინა-ბეის“ ქუჩის ტრასაზე სინგაპურის გრან-პრი გაიმართება, ერთადერთი ეტაპი, რომელიც ხელოვნული განათების ქვეშ მიმდინარეობს.

ამ რბოლის ისტორია 2007 წლის ბოლოდან იწყება, როცა **ბერნი ეკლსტოუნმა** და სინგაპურის ტურიზმის საბჭომ ხუთწლიანი გააფორმეს ფორმულა 1-ის ეტაპის ჩატარებაზე. სწორედ მაშინ გამოცხადდა, რომ რბოლა ღამით გაიმართებოდა და ტრასას ხელოვნურად გაანათებდნენ.

ბერნისა და ორგანიზატორების ჩანაფიქრმა გაამართლა - მაყურებელი უნიკალური სანახაობის მონმე გახდა, გარდა ამისა, ევროპულმა ტელეაუდიტორიამ რბოლა ჩვეულებრივ დროს იხილა.

სინგაპურის რბოლა ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივია - ყველაზე „სწრაფი“ გამარჯვება აქ **ლუის ჰემილტონს** ჰქონდა 2009 წელს, როცა ბრიტანელმა ფინიშს საათსა და 56 წუთში მიაღწია. მაღალი ტემპერატურა, კიდევ უფრო მაღალი ტენიანობა და ტრასა, რომელიც მუდმივ კონცენტრაციას ითხოვს თითქმის ორი საათის განმავლობაში, ერთ-ერთი ყველაზე დამქანცველი გამოცდაა პილოტებისთვის.

სინგაპურის რბოლის ტრადიციული ატრიბუტი გახდა უსაფრთხოების მანქანა, რომელსაც ბევრჯერ შეუწყვეტია რბოლის მსვლელობა. ამ გრან-პრიზე სტრატეგიის დაგეგმვისას საჯინიბოები ამ ფაქტორსაც ითვალისწინებენ, რადგან პეისკარის გამოსვლის შემთხვევაში სწრაფად და სწორად რეაგირებამ, შესაძლოა, პილოტს პოდიუმი ან საერთოდ გამარჯვება მოუტანოს.

თუ ლიდერებზე ვილაპარკებთ, ტრადიციულად მთავარ ფავორიტად სებასტიან ფეტელსა და „რედ ბულს“ ასახელებენ. მაგრამ წელს ავსტრიელებს სერიოზული წინააღმდეგობა შეხვდებათ „ფერარისგან“. მარანელოს მანქანა ტრადიციულად საკმაოდ ძლიერია ნელი დამახრუჭების დროს, გარდა ამისა, „რედ ბულზე“ ეკონომიურია საბურავების გამოყენებისას, რაც „ფერარის“ მომავალ რბოლაში ერთ-ერთ ფავორიტად აქცევს. თანაც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ **ფერნანდო ალონსოს** ეს ეტაპი ორჯერ აქვს მოგებული - ერთი წლის წინ ესპანელმა სტარტიდან ფინიშამდე არავის დაუთმო ლიდერობა და კარიერაში 25-ე რბოლა მოიგო.

თუმცა „რედ ბულისა“ და „ფერარის“ ბრძოლაში ჩარევა შეუძლიათ „მაკლარენის“ პილოტებს. ლუის ჰემილტონი ტრადიციულად ძლიერად გამოდის სინგაპურში - 2008 წელს ბრიტანელმა პოდიუმზე დაასრულა რბოლა, 2009 წელს კი გამარჯვება მოიპოვა. სიურპრიზის შემოთავაზება შეუძლია **ჯენსონ ბატონსაც**, რომელმაც წელს მესამე და პირველი ადგილები დაიკავა სინგაპურთან ნაწილობრივ მიმსგავსებულ მონაკოსა და უნგრეთის ტრასებზე.

მომავალ რბოლას კიდევ ერთი ფაქტორი ანიჭებს მომხიბვლელობას - პირველად ისტორიაში სინგაპურის გრან-პრი შეიძლება გახდეს გადამწყვეტი ეტაპი ჩემპიონობისთვის ბრძოლაში. თუ სებასტიან ფეტელი ალონსოს 13 ქულას მოუგებს, ბატონსა და **უებერზე** რვა ქულით მეტს დააგროვებს, ხოლო ჰემილტონთან ერთზე მეტს არ წააგებს, მაშინ ადგილობრივი დროით 21 საათზე „რედ ბული“ და ფეტელი ზედიზედ მეორე ჩემპიონობას იზეიმებენ.

■ ■ ■

საინტერესოა ერთი მომენტი - ზედიზედ მეორე ნელია სინგაპურის გრანპრის წინ პრესა ავრცელებს ინფორმაციას ეტაპის გაუქმების შესახებ. ამის მიზეზად ისინი ასახელებენ მეზობელ ქვეყნებში ტყის ხანძრებს, რაც რბოლის დროს ხილვადობის პრობლემას წარმოქმნის.

გრანპრის ორგანიზატორები საკმაოდ შეშფოთებულნი არიან მსგავსი ინფორმაციებით - ეტაპის გაუქმების საფრთხე არ არსებობს, მაგრამ ჭორებმა შეიძლება ააღელვოს ტურისტები და ამან ნეგატიურად იმოქმედოს დასწრებაზე. საზოგადოების დაასაწყნარებლად გუშინ ორგანიზატორებმა ოფიციალური განცხადება გამოაქვეყნეს - ჰაერის დაბინძურება დაშვებულ ნორმას არ აღემატება ეტაპი დაგეგმილი განრიგით გაიმართება.

ფეტელს ბოლიდს აჩუქებენ

დიტრიხ მატეშიცი

„რედ ბულის“ მფლობელი, ავსტრიელი მილიარდერი **დიტრიხ მატეშიცი** ჟურნალისტებს იმ საჩუქრის შესახებ მოუყვა, რომელსაც გერმანელ **სებასტიან ფეტელს** უმზადებს 2011 წლის ჩემპიონატის მოგებისთვის.

„ისევე როგორც გასულ სეზონში, ტიტულის მოპოვების შემთხვევაში სებასტიანი საჩუქრად თავისივე ბოლიდს მიიღებს“, - ამბობს მატეშიცი Auto Motor und Sport-თან ინტერვიუში.

ამასობაში, „რედ ბულის“ მეპატრონემ იმავე ინტერვიუში განაცხადა, რომ არ აპირებს თავის კუთვნილი მეორე საჯინიბოს - „ტორო როსოს“ გაყიდვას.

„ტორო როსო“ არ იყიდება, თუმცა ჩვენ არ გამოვრიცხავთ პარტნიორობას სხვა მხარესთან, თუ, რა თქმა უნდა, ეს იქნება სწორი პარტნიორი.

გადაწყვეტილება ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული - ფინანსურზე, პოლიტიკურზე, მარკეტინგულზე, მაგრამ მთავარია გვესმოდეს - ჩვენ ფორმულა 1-ში სპონსორის სტატუსით არ ვიმყოფებით, არამედ ორი გუნდის მფლობელები ვართ და შევინარჩუნებთ ამ სტატუსს“.

კიმის აგენტი მოლაპარაკებას უარყოფს

რალის მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილე **კიმი რაიკონენი** ესპანეთის ეტაპს გამოტოვებს. რბოლა 21-23 ოქტომბერს გაიმართება, თუმცა განცხადების მიღება 20 სექტემბერს დასრულდა და მონაწილეთა შორის არ აღმოჩნდა რაიკონენი.

თავდაპირველად ფინელს შეტანილი ჰქონდა ესპანეთის რალი საკუთარ განრიგში. ჟურნალისტებმა ჯერ ვერ გაარკვიეს კიმის უარის მიზეზი. რაიკონენმა ამას წინათ გამოტოვა ავსტრალიის რალი და ამის გამო საერთო ჩათვლიდან ამოიღეს.

ბოლოდროინდელი ჭორების თანახმად, ფინელს კარიერის გაგრძელების რამდენიმე ვარიანტი აქვს: რალიში დარჩენა, ფორმულა 1-ში დაბრუნება, ნასკარის სერიაში ან ლე მანის 24-საათიან რბოლებში გადასვლა...

სხვათა შორის ფორმულა 1-ში დაბრუნებასთან დაკავშირებით გუშინ პირველი კომენტარი გააკეთა ფინელი პილოტის მენეჯერმა **სტივ რობერტსონმა**. მისი თქმით, კიმი ამჟამად არ აწარმოებს მოლაპარაკებებს „სამეფო რბოლების“ არც ერთ გუნდთან. ამასთან, რობერტსონმა განაცხადა, რომ ფინელი პილოტის მომავალი ზამთრის დასაწყისში გაირკვევა.

„დასაქმების უამრავი ვარიანტი არსებობს, - ამბობს რაიკონენის აგენტი. - *მაგრამ ამ მომენტისთვის ზუსტად მხოლოდ იმის თქმა შეიძლია, რომ ფორმულა 1-ის გუნდებთან მოლაპარაკებებს არ ვაწარმოებთ. შესაბამისად, არაფრის კომენტირება არ შეიძლია“.*

კიმი რალიზე

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა